საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA

ინტელექტუალური საკუთრება
პრაქტიკა და ანალიზი

# ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები და საქართველოს პრაქტიკა

## სასაქონლო ნიშნები, რომელთა რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს: საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს




ელენე სეხნიაშვილი

ინტელექტუალური საკუთრება
პრაქტიკა და ანალიზი

# ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები და საქართველოს პრაქტიკა

## სასაქონლო ნიშნები, რომელთა რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს: საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს

ელენე სეხნიაშვილი  LL.M (EMLE)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

წინამდებარე წიგნში ეროვნული და ევროკავშირის კანონმდებლობის სისტემური, შედარებით-სამართლებრივი მეთოდით ანალიზის საფუძველზე, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის, კერძოდ, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO) ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპების, ადამიანის უფლებების, ეროვნული სასამართლო და კონსტიტუციური სამართალწარმოების პრაქტიკიდან გამომდინარე, განხილულია სასაქონლო ნიშნები, რომელთა რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს: საჯარო წესრიგს და მორალის აღიარებულ პრინციპებს; განმარტებულია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც განსაზღვრულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით. ზემოაღნიშნული ნორმა გაანალიზებულია საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, ასევე, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული შეთანხმების ჭრილში. ნაშრომში ჩამოყალიბებულია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას ექსპერტიზისთვის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც სასარგებლო იქნება მოსამართლეებისთვის, საქპატენტის თანამშრომლებისთვის, პატენტრწმუნებულებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

© საქპატენტი, 2018

ISBN 978-9941-27-736-8

# წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს პირველ წიგნს გამოცემათა სერიაში „ინტელექტუალური საკუთრება, პრაქტიკა და ანალიზი“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ ექსპერტიზისთვის სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებას EUIPO-ს ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ასევე, ევროკავშირისა და ეროვნული სასამართლოს, საქპატენტისა და EUIPO-ს სააპელაციო პალატების მიერ გამოყენებული სტანდარტების განზოგადებასა და ანალიზს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზებული, ერთგვაროვანი და პროგნოზირებადი გადაწყვეტილებების მიღებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში.

ინტელექტუალური საკუთრების ნორმების სწორი აღსრულება პრაქტიკაში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების შემდგომი ნაბიჯია. მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო მიდგომებისა და უახლესი გამოცდილების გაზიარება, რომელსაც აყალიბებს, მაგალითად, ევროკავშირის დონეზე სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის მარეგისტრირებელი უწყება – ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO). ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების (ასოცირების შესახებ შეთანხმება) უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. ზემოაღნიშნული შეთანხმების მიხედვით, საქართველო უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის სისტემას, რომლის ფარგლებშიც საქპატენტის მიერ მიღებული ყოველი საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული.

წინამდებარე გამოცემა ხელს შეუწყობს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესახებ კანონმდებლობისა და პროცედურების გამჭვირვალობას, დასაბუთებულობას და ერთგვაროვნებას. წიგნში

განხილულია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთი აბსოლუტური საფუძველი, კერძოდ, ის შემთხვევები, როდესაც ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს: საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპებსა და ეროვნულ კანონმდებლობაზე, აგრეთვე, სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, დეტალურადაა გაანალიზებული სხვადასხვა შემთხვევა, თვალსაჩინოებისთვის მოცემულია მაგალითები ევროკავშირისა და საქართველოს პრაქტიკიდან; წარმოდგენილია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები ევროკავშირის სამართლისა და პრაქტიკის მიხედვით.

წიგნი მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და, პრაქტიკული თვალსაზრისით, განკუთვნილია სასაქონლო ნიშნების ექსპერტებისთვის, განმცხადებლებისთვის, პატენტრწმუნებულებისთვის, ადვოკატებისთვის, მოსამართლეებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ვინაიდან წინამდებარე სახელმძღვანელო პირველი გამოცემაა სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობის კომენტარების სერიიდან, საქპატენტი დიდი მადლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე
**ნიკოლოზ გოგილიძე**

# FOREWORD

The present publication is the first volume in a series on "Intellectual Property, Practice and Analysis". It is dedicated to draft guidelines for examination of trademarks in "Sakpatenti", the National Intellectual Property Center of Georgia, according to European Union Intellectual Property Office (EUIPO) guidelines on European Union Trademarks. The guidelines are designed to bring together, systematically, the principles of practice derived from the jurisprudence of National and European courts, the case-law of Sakpatenti's Chamber of Appeals as well as EUIPO's Boards of Appeals. They provide an important source to develop coherent, predictable decisions in the field of intellectual property rights in Georgia, in harmony with EU law.

The accurate enforcement of intellectual property rights is the next stage of the Georgian and EU law approximation process. It is therefore important to acknowledge international approaches and to reflect the general practice of the European Intellectual Property Office (EUIPO). Intellectual Property Rights are emphasized in the Deep and Comprehensive Free Trade Agreement which is an essential part of the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and Their Member States, Of the One Part, and Georgia, of the other Part ("Association Agreement"). It contains an economic integration mechanism with the EU and opens up the EU market for Georgia. According to the Association Agreement, each final decision taken by Sakpatenti shall be duly reasoned.

The current publication is drafted to ensure that the obligations according to the Association Agreement are met and that the respective trademark registration legislation and procedures in Georgia are transparent, rational and well-grounded. This publication examines one of the absolute grounds for the refusal of trademark applications: namely, public order and the accepted principles of morality. Various cases are analysed in detail, examples are presented and the Guidelines for the investigation of the Georgian law on Trademarks, Article 4(1)(g) are drafted. This norm stipulates one of the absolute grounds of refusal for trademark registration,

namely, if a sign or a combination of signs "insults or is contrary to national dignity, religious sentiment and traditions and moral standards". Consequently, Georgian law as well as EU and international trademark legislation stipulates public order and accepted principles of morality as grounds for the refusal of trademark registrations which shall be assessed according to the EUIPO's Guidelines for Examination and both National and EU case-law.

The aim of this publication is to raise public awareness about intellectual property rights. It is intended to be used in practice by trademark experts, applicants, trademark attorneys, lawyers, judges and any person interested in this subject-matter.

Insofar as it is the first publication in the series "A Commentary on the Georgian Law on Trademarks", Sakpatenti would be grateful to receive any comments and suggestions.

**Nikoloz Gogilidze**
Chairman of the National Intellectual Property Center of Georgia
"Sakpatenti"

# სარჩევი

სახელმძღვანელოს საგანი ........ 12

სახელმძღვანელოს დანიშნულება ........ 14

სახელმძღვანელოს სტრუქტურა ........ 15

1. საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები: ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სახელმძღვანელო ........ 17

1.1. საჯარო წესრიგი ........ 21

1.1.1. კონცეფცია და კატეგორიები ........ 21

1.2. მორალის აღიარებული პრინციპები ........ 23

1.3. კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი – მორალი და საჯარო წესრიგი ........ 28

1.4. EUIPO-ს სახელმძღვანელო მაგალითები: საჯარო წესრიგი და/ან მორალი ........ 29

1.4.1. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების განაცხადების რეგისტრაციაზე უარის თქმის მაგალითები (საჯარო წესრიგი და/ან მორალი) ........ 29

1.4.2. რეგისტრირებადი ნიშნების მაგალითები (საჯარო წესრიგი და/ან მორალი) ........ 33

2. ქართული პრაქტიკა ........ 35

2.1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები – კანონმდებლობით დადგენილ და/ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამობა ........ 35

2.1.1. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და გამოხატვის თავისუფლება ........ 36

2.2 რელიგიური ტერმინებისა და სიმბოლიკის
სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაცია ....................................39
2.2.1. სასამართლო პრაქტიკა...............................................43
2.2.2. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ პრაქტიკა.........................47
2.3. ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგია და სიმბოლიკა......55

3. სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზისას სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები EUIPO-ს სახელმძღვანელოს მიხედვით – სასაქონლო ნიშნები, რომელთა რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს („სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის 4(1)(ზ))..................................60
3.1. ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები..................................60
3.2. კანონმდებლობით დადგენილი ზნეობრივი ნორმები
(საჯარო წესრიგი) ...............................................................64
3.2.1. ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგია
და სიმბოლიკა ........................................................................70
3.3. საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმები
(მორალის აღიარებული პრინციპები)....................................74
3.3.1. რელიგიური ტერმინები და სიმბოლიკა ...........................79
3.4. კოლექტიური სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე
უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი – კანონმდებლობით
დადგენილი და საზოგადოებაში აღიარებული
ზნეობრივი ნორმები ..............................................................85

დანართი 1...........................................................................88
დანართი 2...........................................................................91
დანართი 3...........................................................................96
დანართი 4.........................................................................105
დანართი 5.........................................................................111
გამოყენებული ლიტერატურა ....................................................114

# აბრევიატურები

1. **DCFTA** (Deep and Comprehensive Free Trade Agreement) – ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
2. **EEA** (European Economic Area) – ევროპის ეკონომიკური ზონა
3. **ECJ** (European Court of Justice) – ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო
4. **EUCTM** (European Union collective mark) – ევროკავშირის კოლექტიური ნიშანი
5. **EUIPO** (European Union Intellectual Property Office) – ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება
6. **EUTM** (European Union trade mark) – ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი
7. **EUTMR** (Regulation (EU) 2017/1001 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 on the European Union trade mark (Text with EEA relevance)) – ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის რეგულაცია №2017/1001 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ (კოდიფიცირებული ვერსია) (ევროპის ეკონომიკურ ზონასთან [EEA] დაკავშირებული ტექსტი)
8. **დირექტივა (EU) 2015/2436** (Directive of the European Parliament and of the Council of 16 December 2015 to approximate the laws of the Member States relating to trade marks (Text with EEA relevance)) ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის დირექტივა 2015/2436 წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით
9. **OHIM** (Organization of Harmonization of Internal Market) – შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ორგანიზაცია/უწყება, EUIPO-ს ძველი სახელწოდება (2016 წლის 23 მარტამდე)

# I. სახელმძღვანელოს საგანი

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება, საინფორმაციო და შემეცნებითი ბროშურებისა და სხვა მასალების გამოქვეყნება და გავრცელება, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომენტარების მომზადება და გამოცემა.[1] ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საერთაშორისო პრინციპების გაზიარების, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქართული პრაქტიკის დამუშავებისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, საქპატენტი გამოსაცემად ამზადებს დარგობრივ ლიტერატურას საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების, ასევე, ქართული სასამართლო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიხედვით.

წინამდებარე გამოცემაში ევროკავშირის სამართლისა და პრაქტიკის, ასევე, ადამიანის უფლებების, ეროვნული სასამართლო და კონსტიტუციური სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით განხილულია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც განსაზღვრულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით: სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის მსგავსი საფუძველი განსაზღვრულია ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ რეგულაციის [EUTMR] 7(1)(f) მუხლით: ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ განცხადებული ნიშანი (სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა) ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს. ევროკავშირის სამართლით განსაზღვრული ცნებები „საჯარო წესრიგი და მორალის აღიარებული პრინციპი“ მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რაც განსაზღვრულია „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მუხლით 4(1)(ზ). ზემოაღნიშნულ ნორმაში მითითებული ტერმინი „ზნეობრივი ნორმები“ მოიცავს როგორც კანონით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს),

1 სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულება, მუხლი 3(მ)

ასევე საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (მორალის აღიარებულ პრინციპებს). ამ უკანასკნელ კატეგორიაში შედის, ასევე, საზოგადოებაში აღიარებული ისეთი ზნეობრივი ნორმები, როგორიცაა ეროვნული ღირსებები, რელიგია და ტრადიციები. შესაბამისად, საჯარო წესრიგი და მორალის აღიარებული პრინციპები წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთ აბსოლუტურ საფუძველს როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა საკითხი, რაც საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად პასუხს სცემს შემდეგ კითხვებს: შეიძლება თუ არა რელიგიური ტერმინისა და სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია? რომელი ტერმინები და სიმბოლოები უნდა ჩაითვალოს ამა თუ იმ რელიგიის, მათ შორის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებად? როგორ უნდა შეფასდეს, ეწინააღმდეგება თუ არა რელიგიური ტერმინი ან სიმბოლო რელიგიას, ანუ, საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს? რატომ უნდა ეთქვას უარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, რომელიც შედგება ტოტალიტარული (ფაშისტური ან კომუნისტური) იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი ტერმინებისა და სიმბოლოებისგან? რეგისტრირდება თუ არა სასაქონლო ნიშნად ტერმინები ან სიმბოლოები, რომლებიც ქართულ ენაზე აღნიშნავს უხამს, ვულგარულ ან რასისტულ, ასევე, გენდერულ სტერეოტიპებსა და დისკრიმინაციულ ტერმინებს და საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც შეურაცხმყოფელი სიტყვები? რა საფუძვლით არ დარეგისტრირდება სასაქონლო ნიშნად კრიმინალური მნიშვნელობის და/ან ჟღერადობის მქონე ტერმინი ან სიმბოლო? შესაძლებელია თუ არა სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირდეს ისეთი ტერმინი და/ან სიმბოლო, რომელიც შეიცავს ტერორისტად აღიარებული პირის ან დაჯგუფების აღმნიშვნელ ტერმინს თუ სიმბოლოს და/ან ნებისმიერი სახის სარგებელს გამოიწვევს ამ პირებისთვის? რა კრიტერიუმით უნდა ვისარგებლოთ საშუალო მომხმარებლის მიერ ტერმინის ან სიმბოლოს ნეგატიურად აღქმის, განცხადებული ნიშნის შეურაცხმყოფელი შინაარსის დადგენისას? შეიძლება თუ არა სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირდეს, ანუ განსაკუთრებული უფლებები გავრცელდეს ისეთ ტერმინზე ან სიმბოლოზე, რაც უკავშირდება საყოველთაოდ ცნობილ ტრაგიკულ შემთხვევას, რამაც გამოიწვია ადამიანების სიცოცხლის დაკარგვა? რა შემთხვევაში ეწინააღმდეგება კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშანი ზნეობრივ ნორმებს და არ რეგისტრირდება?

სახელმძღვანელო ჩამოყალიბებულია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში[2] ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზის 2017 წელს განახლებული სახელმძღვანელო პრინციპების (შემდგომში: EUIPO-ს სახელმძღვანელო)[3] მაგალითზე. განხილულია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საკითხი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიმართ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკისა და EUIPO-ს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით განმარტებულია: ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის რეგულაცია (EU) 2017/1001 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ (კოდიფიცირებული, ევროპის ეკონომიკურ ზონასთან [EEA] დაკავშირებული ტექსტი) მუხლი 7(1)(f), 76(1), 85 (1); ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის დირექტივა 2015/2436 წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით (დირექტივა (EU) 2015/2436) მუხლი 4(1)(f), მუხლი 31(1), (3)) *(იხ. დანართი 5).*

## II. სახელმძღვანელოს დანიშნულება

სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელოს შექმნა EUIPO-ს სახელმძღვანელოს მაგალითზე მიზნად ისახავს საქართველოში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ერთგვაროვანი პრაქტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფას, რაც, ამასთანავე, ექსპერტიზის გადაწყვეტილების პროგნოზირების საშუალებას იძლევა.[4] სახელმძღვანელო შეიცავს ზოგად ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით უნდა

[2] 2016 წლის 23 მარტიდან, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ №2015/2424 რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ „შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებას“ (OHIM) ეწოდება „ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება“ (EUIPO).

[3] ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზისთვის სახელმძღვანელო პრინციპები ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO), რედაქტორის წინასიტყვაობა და ზოგადი შესავალი; ნაწილი „ბ“, მე-4 ნაწილი, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები, პირველი თავი, ზოგადი პრინციპები; მე-7 თავი, სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და მორალის აღიარებულ პრინციპებს (მუხლი 7(1)(f) EUTMR); მე-15 თავი, ევროკავშირის კოლექტიური ნიშნები; მე-16 თავი, ევროკავშირის სასერტიფიკაციო ნიშნები. https://euipo.europa.eu/ohimportal/en/trade-mark-guidelines

[4] ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზისთვის სახელმძღვანელო პრინციპები ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO), რედაქტორის წინასიტყვაობა და ზოგადი შესავალი.

განიხილებოდეს კონკრეტული საქმის გარემოებები. EUIPO-ს პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ეყრდნობა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და EUIPO-ს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებებს, ჩამოყალიბებულია ევროკავშირის ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებს შორის პრაქტიკის დაახლოების პროგრამის შედეგად. შესაბამისად, წინამდებარე გამოცემა ეფუძნება ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და საქპატენტის პრაქტიკას და გამიზნულია როგორც ეროვნული მოხმარებისთვის, ასევე, EUIPO-სთვის გასაზიარებლად, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირთან საქართველოს შემდგომ დაახლოებას.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმებისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე[5], EUIPO-ს ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპებისა და საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გაზიარებით, საქართველოს კანონმდებლობა, სასამართლო თუ ადმინისტრაციული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან, რაც უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მაღალ ხარისხს. თავის მხრივ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ეფექტური სისტემის არსებობა ხელს შეუწყობს ინოვაციური და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებასა და შემდგომ კომერციალიზაციას.

წინამდებარე პუბლიკაცია, პრაქტიკული თვალსაზრისით, სასარგებლო იქნება განმცხადებლებისთვის, პატენტრწმუნებულებისთვის, ექსპერტებისთვის, მოსამართლეებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

## III. სახელმძღვანელოს სტრუქტურა

ნაშრომში განხილულია საქართველოსა და ევროკავშირში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ეხება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს, როდესაც ნიშნის რეგისტრაცია შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს.

---

5 ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) http://www.dcfta.gov.ge/

ევროკავშირში სასაქონლო ნიშნის ან კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის პრაქტიკასთან დაკავშირებით, აღწერილია EUIPO-ს ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები საჯარო წესრიგისა და/ან მორალის საფუძველზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (მუხლი 7(1)(f) [EUTMR]). განხილულია საჯარო წესრიგის ცნება, კატეგორიები, მოყვანილია ამ საფუძვლით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის მაგალითები. განხილულია, ასევე, ევროკავშირის კოლექტიური (ანალოგიურად, ევროკავშირის სასერტიფიკაციო) ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის სპეციფიკა, როდესაც ნიშანი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს.

მომდევნო თავში განხილულია საქართველოს სასამართლოსა და, ასევე, საქპატენტის პრაქტიკა რელიგიური, კერძოდ, მართლ-მადიდებლურ-ქრისტიანული ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის, ასევე, ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებული ტერმინებისა და სიმბოლოების სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაციასთან დაკავშირე-ბით; ზნეობრივი ნორმების (საჯარო წესრიგი და მორალი) საფუძველ-ზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმისა თუ რეგისტრა-ციის მაგალითები დაჯგუფებულია გარკვეული პრინციპების მიხედვით, რომლებსაც თავის გადაწყვეტილებებში დაეყრდნო სასამართლო და საქპატენტი.

გამოცემის დასკვნაში, ქართულ სასამართლო და საქპატენტის პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმძღვანელო პრინციპები შედა-რებულია ევროკავშირში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის პრინციპებთან და ჩამოყალიბებულია საქართველოში სასაქონლო ნიშნების (მათ შორის, კოლექტიური და, ანალოგიურად, სასერტიფი-კაციო ნიშნების) რეგისტრაციისას ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს საქპატენტისა და სასამართლოს მიერ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის განმარ-ტებასა და შეფასებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

# 1. ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ: ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ (EUIPO) ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციის [EUTMR] მე-7 (1) (f) მუხლი განიმარტება ევროკავშირის საერთო სტანდარტების მიხედვით. EUIPO სახელმძღვანელოს თანახმად, არასწორი იქნებოდა, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლად გამოიყენებოდეს საჯარო წესრიგისა და მორალის სხვადასხვა (უფრო რბილი ან მკაცრი) სტანდარტები, ამა თუ იმ წევრი ქვეყნის მიხედვით.[6] EUIPO სახელმძღვანელოს 2017 წლის ცვლილებებით საჯარო წესრიგის ცნება უფრო დაკონკრეტდა და დავიწროვდა. ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა გამოიყენება, როგორც მომხმარებლის აღქმის შეფასების ფაქტობრივი მტკიცებულება.

ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციის [EUTMR] მე-7(1) (f) მიხედვით, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალს [public policy or morality]. სახელმწიფო არ უშვებს ისეთი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას, როდესაც მონოპოლიური უფლების მინიჭება ეწინააღმდეგება სამართლებრივ წესრიგს ან, შესაბამისი საზოგადოების აღქმით, უშუალოდ უპირისპირდება არსებით ზნეობრივ ნორმებს. EUTMR რეგულაციის მე-7(1) (f) მუხლი ასახავს პარიზის კონვენციის მე-$6^{quinquies}$ (B(3)) მუხლს, რომელიც განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმისა და რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლებს, როდესაც ნიშანი „ეწინააღმდეგება მორალს და საზოგადოებრივ [საჯარო] წესრიგს“.[7]

EUTMR რეგულაციის მე-7(1)(f) მუხლის შინაარსი ძალიან ფართოა და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აღნიშნული ნორმის გონივრული გამოყენებისთვის აუცილებელია, დაბალანსდეს,

---

6 EUIPO სახელმძღვანელო, ნაწილი B, ექსპერტიზა, მე-4 განყოფილება, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები, თავი 1, ზოგადი პრინციპები

7 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენცია (შესწორებულია 1967 წლის 14 ივლისის სტოკჰოლმის აქტით), მუხლი $6^{quinquies}$ [ნიშნები: კავშირის ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნების დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში]

ერთი მხრივ, სავაჭრო ურთიერთობაში ჩართულ პირთა უფლება, თავისუფლად გამოიყენონ სხვადასხვა სიტყვა თუ გამოსახულება, რაც მათ სურთ, დაარეგისტრირონ სასაქონლო ნიშნად; მეორე მხრივ, საზოგადოების წევრებს გააჩნიათ უფლება, არ შეხვდნენ შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ, მუქარის შემცველ სასაქონლო ნიშნებს (06.07.2006 გადაწყვეტილება R0495/2005-G – SCREW YOU, პარაგ. 14).[8]

EUTMR რეგულაციის მე-7(1)(f) მუხლის მიზანია არა იმ ნიშნების იდენტიფიცირება და აკრძალვა, რომელთა გამოყენება ვაჭრობისას სრულიად დაუშვებელია, არამედ, ზემოაღნიშნული ნორმის დანიშნულებაა, არ დაუშვას ისეთი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, როდესაც მონოპოლიური უფლებების მინიჭება ეწინააღმდეგება დადგენილ კანონმდებლობას ან საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც ძირითადი ზნეობრივი ნორმების დარღვევა. სხვა სიტყვებით, უწყება ხელს არ უნდა უწყობდეს და სასაქონლო ნიშნიდან გამომდინარე განსაკუთრებულ უფლებებს არ უნდა ანიჭებდეს პირებს, რომელთაც სურთ საკუთარი სამეწარმეო მიზნების მიღწევა ისეთი სასაქონლო ნიშნებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ცივილიზებული საზოგადოების ფუძემდებლურ ღირებულებებს (06.07.2006 გადაწყვეტილება R0495/2005-G – SCREW YOU, პარაგ. 13).[9]

EUTMR რეგულაციის 7(1)(f) პუნქტი არ იზღუდება გამოხატვის თავისუფლებით (ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 10[10]) და, თავის მხრივ, არ არღვევს მას, რადგან რეგისტრაციაზე უარის თქმა ნიშნავს, რომ ამგვარ ნიშანზე არ ვრცელდება სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვა, თუმცა, ეს არ კრძალავს ნიშნის გამოყენებას, მათ შორის, კომერციული მიზნით (გადაწყვეტილება 09/03/2012, T-417/10, "¡Que buenu ye! Hijoputa"[11], პარაგ. 26).

---

8 EUIPO-ს სააპელაციო პალატის 2006 წლის გადაწყვეტილებების წლიური მიმოხილვა, გვ.18-19

9 იქვე

10 გამოხატვის თავისუფლებას იცავს, ასევე, ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა ქარტიის მე-11 მუხლი.

11 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს საერთო სასამართლოს (პირველი პალატის) 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება Federico Cortés del Valle López v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (¡Que buenu ye! HIJOPUTA) საქმე T-417/10. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-417/10&language=EN

EUIPO „საჯარო წესრიგს“ [ან „საჯარო პოლიტიკას“ public policy] და „მორალისა და ზნეობის აღიარებულ ნორმებს“ [accepted principles of morality] მიიჩნევს ორ განსხვავებულ კონცეფციად, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია ერთმანეთთან.

საჯარო წესრიგის ცნება, EUIPO-ს უახლესი პრაქტიკის მიხედვით, ვიწრო გაგებით განიხილება, ანუ, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება EUTMR 7(1)(f) მუხლის გამოყენებისას ითვალისწინებს უშუალოდ შესაბამის სფეროში მოქმედ ევროკავშირის სამართალს. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის განაცხადის ექსპერტიზისას EUIPO-ს ადრეული მიდგომით ითვლებოდა, რომ ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობას ან პრაქტიკას, ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო წესრიგსა და მორალს. EUIPO-მ ჩამოაყალიბა უფრო სისტემატური მიდგომა უარის თქმის ამ საფუძვლებთან დაკავშირებით. უწყება ითვალისწინებს, რომ ესა თუ ის სასაქონლო ნიშანი რომელიმე წევრ ქვეყანაში ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს. თუმცა, ეროვნული კანონმდებლობა მხედველობაში მიიღება არა მისი ნორმატიული შინაარსის გამო, არამედ, როგორც ფაქტობრივი მტკიცებულება, თუ როგორ აღიქვამს ნიშანს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა.[12]

არის თუ არა საქონელი ან მომსახურება დაშვებული და კანონიერი ევროკავშირის ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე – უმნიშვნელოა იმის დასადგენად, რომ ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება EUTMR რეგულაციის მე-7(1)(f) მუხლს (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს [Court of Justice of the European Union] გადაწყვეტილება 13/09/2005, T-140/02, „ინტერტოპს“ [„Intertops“], პარაგ. 33)[13]. ეწინააღმდეგება თუ არა სასაქონლო ნიშანი საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს, განისაზღვრება ნიშნის მახასიათებლებით და არა იმ გარემოებებით, რაც უკავშირდება სასაქონლო ნიშნის განმცხადებელ პირს (გადაწყვეტილება 13/09/2005, T-140/02, „Intertops“, პარაგ. 28). ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ზოგადმა სასამართლომ [General

---

12 ჟურნალი „Alicante News“, „ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებისა და კავშირის რეგისტრირებული დიზაინების შესახებ სახელმძღვანელო ცვლილებებითა და დამატებებით“, დეკემბერი 2016 გვ.12

13 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ზოგადი სასამართლოს (მეორე პალატის) 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება Sportwetten GmbH Gera v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (OHIM). საქმე T-140/02. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-140/02

Court][14] საბჭოთა გერბის შესახებ გადაწვეტილებაში (20/09/2011, T-232/10, [„Soviet Coat of Arms“]) დაადგინა, რომ „საჯარო წესრიგისა“ და „მორალის აღიარებული პრინციპების“ კონცეფციები უნდა განიმარტებოდეს არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული, საზოგადოდ აღიარებული ნორმების მიხედვით, არამედ **კონკრეტული წევრი ქვეყნისთვის** დამახასიათებელი „სპეციფიური გარემოებების გათვალისწინებით, რაც, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყანაში შესაბამისი საზოგადოების მიერ ნიშნის აღქმაზე“(პარაგ. 34).[15] ამ მხრივ, შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პრაქტიკა (მაგ. სუბიექტური აღქმის შეფასებისას), რაც განიხილება არა ნორმატიული შინაარსით, არამედ როგორც ფაქტი, ამა თუ იმ ქვეყანაში შესაბამისი საზოგადოებრივი აღქმის შესაფასებლად (გადაწყვეტილება 20/09/2011, T-232/10, „Soviet Coat of Arms“, პარაგ. 57[16]). EUTMR 7(1) (f) გამოსაყენებლად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ განცხადებული ნიშანი ევროკავშირის ზოგიერთ წევრ-ქვეყნებში მიჩნეულია უკანონოდ; ამ ფაქტს გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა, შესაბამისი საზოგადოების (მომხმარებლის) აღქმის შესაფასებლად.

გასათვალისწინებელია, რომ **ცალკეული** ქვეყნის სპეციფიკური გარემოებები, შესაძლებელია, ფართოდ ცნობილი არ იყოს ევროკავშირის ტერიტორიაზე, თუმცა, ექსპერტიზის დასკვნაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ცხადად უნდა იყოს ახსნილი ეს გარემოებები, რათა განმცხადებელმა სრულყოფილად გაიგოს უარის თქმის დასაბუთება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.[17]

---

14 ლუქსემბურგში მდებარე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო [The Court of Justice of the European Union] შედგება სამი სასამართლოსგან: მართლმსაჯულების სასამართლო [Court of Justice], ზოგადი სასამართლო [General Court] (შეიქმნა 1988 წ.) და საჯარო სამსახურის ტრიბუნალი [the Civil Service Tribunal] (შეიქმნა 2004წ.).

15 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ზოგადი სასამართლოს (მეოთხე პალატის) 2011 წ. 20 სექტემბრის გადაწყვეტილება Couture Tech Ltd v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (OHIM). საქმე T-232/10. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-232/10

16 იქვე

17 EUIPO-ს სახელმძღვანელო, ნაწილი B, მე-4 განყოფილება, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები, თავი 7, სასაქონლო ნიშნები საჯარო წესრიგისა და მორალის წინააღმდეგ.

## 1.1. საჯარო წესრიგი

### 1.1.1. კონცეფცია და კატეგორიები

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ ნიშანი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ემყარება ობიექტურ კრიტერიუმს. „საჯარო წესრიგი“ წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის და კანონის უზენაესობისთვის აუცილებელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას. EUTMR რეგულაციის მუხლით 7(1)(f) განსაზღვრული „საჯარო წესრიგი“ გულისხმობს **კონკრეტულ სფეროში მოქმედ ევროკავშირის კანონმდებლობას**, ასევე, სამართლებრივ წესრიგსა და კანონის უზენაესობას, **რაც განისაზღვრება საერთაშორისო შეთანხმებებითა და ევროკავშირის ე.წ. „მეორადი“ სამართლით** [secondary EU legislation][18] და ასახავს საზოგადოების ცნობიერებას ისეთი ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების შესახებ, როგორიცაა ადამიანის უფლებები.

დამატებითი სამართლის წყაროებს [sources of supplementary law] შორის, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის გარდა, შედის დაუწერელი სამართალი, როგორიცაა საერთაშორისო სამართალი და სამართლის ზოგადი პრინციპები, რაც ხელს უწყობს სასამართლოს, დააკავშიროს და ერთობლივად გამოიყენოს ე.წ. „პირველადი“ [primary law], ანუ, ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები და „მეორადი“ სამართალი [secondary law]. მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ემყარება საერთაშორისო სამართალს, მოყვანილია წერილობითი, ჩვეულებითი და საერთაშორისო სამართალგამოყენების მაგალითები. სამართლის ზოგადი პრინციპები სამართლის დაუწერელ წესებს წარმოადგენს, რაც გამომდინარეობს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკიდან. სამართლის ზოგადი წესები საშუალებას აძლევს სასამართლოს, გამოიყენოს ნორმები, რომლებიც პირდაპირ არ არის აღნიშნული ხელშეკრულებებში.

---

18 ევროკავშირის „მეორადი“ სამართალი მოიცავს: (ა) უნილატერულ აქტებსა და (ბ) შეთანხმებებს. (ა) უნილატერული აქტები შედგება: (1) რეგულაციების, დირექტივების, გადაწყვეტილებების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციებისგან, რაც ჩამოთვლილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 288-ე მუხლში. უნილატერული აქტები შედგება, ასევე, (2) ე.წ. „ატიპიური“ აქტებისგან, როგორიცაა კომუნიკაცია და რეკომენდაციები, ე.წ. სამოქმედო გეგმები [white and green papers.], რაც არ არის ჩამოთვლილი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 288-ე მუხლში.
(ბ) კონვენცია და შეთანხმებების ჯგუფი მოიცავს: (1) საერთაშორისო შეთანხმებებს, ევროკავშირსა და სხვა ორგანიზაციას ან ევროკავშირის არაწევრ, მესამე ქვეყანას შორის (მაგ.: DCFTA, საქართველო ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება); (2) წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმებებს; და (3) უწყებათშორის შეთანხმებებს, მაგ., ევროკავშირის უწყებებს შორის.

ქვემოთ მოცემულია, საჯარო წესრიგთან შეუსაბამობის საფუძველზე, ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის მაგალითები, რომელიც არ არის ამომწურავი:

- სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის პოლიტიკურ და სოციალურ წესრიგთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებსა და ფუნდამენტურ ღირებულებებს, განსაკუთრებით ისეთ უნივერსალურ ღირებულებებს, რომლებსაც ემყარება ევროკავშირი: ადამიანის ღირსებას, თავისუფლებას, თანასწორობასა და სოლიდარობას, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს, რაც გამოცხადებულია ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით.[19]
- 27.12.2001 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა ერთიანი მიდგომა [Common Position] 2001/931/CFSP ტერორიზმის დამარცხებისათვის განსაკუთრებული ღონისძიებების შესახებ,[20] რაც პერიოდულად განახლდება და შეიცავს იმ პირებისა და ჯგუფების ჩამონათვალს, რომლებიც ხელს უწყობენ, ახორციელებენ ან ცდილობენ, განახორციელონ ტერორისტული აქტები ევროკავშირის ტერიტორიაზე. ევროკავშიის ნებისმიერი სასაქონლო ნიშნის განაცხადი შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხელს შეუწყობს ან სარგებელს მოუტანს ამ ჩამონათვალში მოცემულ პირებსა თუ ჯგუფებს, შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე გამოტანილი იქნება უარყოფითი გადაწყვეტილება იმ საფუძვლით, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.[21] სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ანუ კანონით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს, თუ შეიცავს იმ პირების, ჯგუფებისა და გაერთიანებების დასახელებებს, რომლებიც მითითებულია ევროკავშირის აქტებით ტერორიზმში მხილებულ პირთა პერიოდულად განახლებად სიაში, რომლებზეც ვრცელდება ევროკავშირის ერთიანი მიდგომა ([Common Position] 2001/931/CFSP) ტერორიზმის დამარცხებისათვის განსაკუთრებული ღონისძიებების შესახებ.

---

19 Charter of Fundamental Rights of the European Union, OJ C 326, 26.10.2012, p. 391–407 ELI: http://data.europa.eu/eli/treaty/char_2012/oj

20 Council Common Position 2001/931/CFSP of 27 December 2001 on the application of specific measures to combat terrorism (OJ L 344, 28.12.2001, p. 93). http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2001:344:0093:0096:EN:PDF

21 EUIPO-ს სახელმძღვანელო, ნაწილი B, მე-4 განყოფილება, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები, თავი 7, სასაქონლო ნიშნები საჯარო წესრიგისა და მორალის წინააღმდეგ.

## 1.2. მორალის აღიარებული პრინციპები

მორალის აღიარებული პრინციპების საფუძველზე, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა ხდება **სუბიექტური ღირებულებების** გათვალისწინებით, რაც ექსპერტის მიერ მაქსიმალურად ობიექტურად უნდა შეფასდეს. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციისას აბსოლუტურად გამორიცხულია მკრეხელური, რასისტული, ან დისკრიმინაციული სიტყვებისა და ფრაზების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, თუ სიტყვათა ამგვარი მნიშვნელობა ცხადად და არაორაზროვნად გამოიხატება განცხადებულ ნიშანში; სტანდარტი, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული, გულისხმობს საშუალოდ მგრძნობიარე და ტოლერანტი გონიერი მომხმარებლის მიერ აღნიშნული საკითხის აღქმას (გადაწყვეტილება T-417/10 (09.03.2012), „¡Que buenu ye! HIJOPUTA", პარაგ. 21).[22]

EUTMR რეგულაციის 7(1)(f) პუნქტით განსაზღვრული მორალის კონცეფცია არ ეხება ცუდ გემოვნებას ან ცალკე აღებული პირის გრძნობებს. რეგულაციის ამ პუნქტის გამოსაყენებლად, შესაბამისი საზოგადოება, ან, თუნდაც, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა აღიქვამდეს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ეწინააღმდეგება საზოგადოების ძირითად მორალურ ნორმებს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმისთვის საკმარისი არ არის თუ ჩაითვლება, რომ ნიშანი სავარაუდოდ შეურაცხყოფს განსაკუთრებით პურიტანული (და კონსერვატორი) მოქალაქეების უმცირესობას. მეორე მხრივ, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ ნიშანი ადამიანების სხვა უმცირესობის მიერ აღიქმება, როგორც დასაშვები, რადგან ამ ადამიანთა კატეგორიისთვის მისაღებია ნებისმიერი, თუნდაც უხეში უხამსობა. სასაქონლო ნიშანი უნდა შეფასდეს იმ საშუალო მომხმარებლის მიხედვით, რომლის სტანდარტები და ღირებულებები ადამიანების ზემოაღნიშნულ ორ, ექსტრემალურ კატეგორიას შორის მერყეობს (გადაწყვეტილება R0495/2005-G (06.07.2006) – „SCREW YOU"[23], პარაგ. 20).

როგორც ზემოთ, ზოგად შენიშვნებში აღინიშნა, შესაძლებელია, გათვალისწინებული იქნეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, რაც მიუთითებს ამა თუ იმ წევრ ქვეყანაში შესაბამისი მომხმარებლის აღქმაზე გარკვეული კატეგორიის

---

[22] T-417/10 – Cortés del Valle López v OHIM (¡Que buenu ye! HIJOPUTA) 09/03/2012. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-417/10&language=EN

[23] 1.9.2011, R168/2011 (nrk) – Fucking Freezing http://www.eurolawyer.at/pdf/HABM-R-168-2011.pdf

ნიშნების შეფასებისას (გადაწყვეტილება T-232/10 (20.09.2011), “Soviet Coat of Arms”, პარაგ. 58[24]). თუმცა, უწყებამ უარი არ უნდა უთხრას ნიშნის რეგისტრაციაზე მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ ნიშანი ეწინააღმდეგება ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის კანონმდებლობასა და პრაქტიკას. ეროვნულ კანონმდებლობას გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა, ამა თუ იმ ქვეყნის ტეროტორიაზე შესაბამისი საზოგადოების (მომხმარებლის) აღქმის შესაფასებლად.

წარმოდგენილ მაგალითებში ეროვნული კანონმდებლობა გამოყენებულია, როგორც მტკიცებულება, რომ სასაქონლო ნიშანი ეწინააღმდეგება მორალის (ზნეობის) აღიარებულ ნორმებს:

- გარკვეული ანტიკონსტიტუციური პარტიების ან ორგანიზაციების სიმბოლოების და სახელწოდებების გამოყენება გერმანიაში[25] და ავსტრიაში[26] აკრძალულია.
- „ტოტალიტარულ რეჟიმებთან დაკავშირებული სიმბოლოების გამოყენება“ (მაგ.: ნამგალი და ურო და ხუთქიმიანი ვარსკვლავი), განსაკუთრებით, იმ ფორმით, რომლის მიზანია, შელახოს ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა უფლებები და მათი ხელშეუხებლობის უფლება, აკრძალულია უნგრეთში (2012წ. სისხლის სამართლის კოდექსის “C” ნაწილის ნაწილი 335). იხ. გადაწყვეტილება: T-232/10 (20.09.2011), “Soviet Coat of Arms of the Soviet Union”. [27]).

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ ნიშანი ეწინააღმდეგება მორალის აღიარებულ ნორმებს არ გამორიცხავს, რომ ნიშანი, ასევე, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (მაგალითად, საშუალო მომხმარებლისთვის ნიშანი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს როგორც საზოგადოების ძირითად მორალურ ღირებულებებს, ამავდროულად, არღვევდეს ევროკავშირის პოლიტიკური და სოციალური წესრიგის ძირითად პრინციპებსა და ფუნდამენტურ ღირებულებებს).

---

[24] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ზოგადი სასამართლოს (მეოთხე პალატის) 2011 წ. 20 სექტემბრის გადაწყვეტილება Couture Tech Ltd v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (OHIM). საქმე T-232/10. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-232/10#

[25] § 86a dt. StGB (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი), BGBl. Nr. I 75/1998

[26] § 1 öst. Abzeichengesetz (ავსტრიის კანონი სიმბოლოებისა და ორდენების შესახებ), BGBl. Nr. 84/1960 § 1 öst. Verbotsgesetz („აკრძალვების შესახებ“ ავსტრიის კანონი), BGBl. Nr. 25/1947.

[27] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ზოგადი სასამართლოს (მეოთხე პალატის) 2011 წ. 20 სექტემბრის გადაწყვეტილება Couture Tech Ltd v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (OHIM). საქმე T-232/10

EUTMR რეგულაციის 7(1)(f) პუნქტით განსაზღვრული საფუძვლის გამოსაყენებლად აუცილებელია იმ გარემოსა და **კონტექსტის** გათვალისწინება, სადაც ხვდება და გამოიყენება ნიშანი, რაც ნიშნავს, რომ ნიშანი უნდა შეფასდეს **განცხადებულ საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებით** (06.07.2006 R0495/2005-G – „SCREW YOU", პარაგ.21[28]). აუცილებელია განცხადებული საქონლისა და მომსახურების გათვალისწინება, ვინაიდან ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების მომხმარებელი განსხვავდება და საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა აღქმა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ცალსახად მიუღებელი და შეურაცხმყოფელი. მაგალითად, „პირი, რომელიც დაინტერესებულია [სექს-სათამაშოებით] და ყურადღებას არ აქცევს სასაქონლო ნიშნებს, რომლითაც ნიშანდებულია ეს საქონელი, სავარაუდოდ არ იქნება შეურაცხყოფილი უხამსი სექსუალური შინაარსის შემცველი ტერმინით" (გადაწყვეტილება R0495/2005-G (06.07/.2006) – „SCREW YOU", პარაგ. 29[29]). განცხადებული საქონელი და მომსახურება გასათვალისწინებელია იმ საზოგადოების იდენტიფიცირებისთვის, რომლის აღქმის შეფასებაც ხდება. თუმცა, სასამართლომ, ასევე, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ **შესაბამისი მომხმარებელი არ არის მხოლოდ ის, ვინც ყიდულობს აღნიშნული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებულ საქონელსა და მომსახურებას**, ვინაიდან ნიშანი, მიზნობრივი მომხმარებლის გარდა, ფართო საზოგადოებისთვისაც შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი (გადაწყვეტილება T-526/09 (05.10.2011), „PAKI", პარაგ.: 17, 18).[30]

EUTMR რეგულაციის მე-7(1)(ვ[f]) პუნქტის გამოსაყენებლად **არ არის აუცილებელი ადგილი ჰქონდეს რაიმე უკანონო ქმედებას**: არსებობს ისეთი სიტყვები და ნიშნები, რომელთა გამოყენება შესაძლოა არ გამოიწვევს სამართლებრივ დავას სასამართლოში, თუმცა, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ისინი საკმარისად შეურაცხმყოფელია საიმისოდ, რომ დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშნებად (გადაწყვეტილება R0168/2011-1 (01.09.2011), – „fucking freezing! by TÜRPITZ (BILDMARKE)", პარაგ. 16[31]). გარდა ამისა, არსებობს ინტერესი, რომ ბავშვები და ახალგაზრდები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ არიან საქონლისა და მომსახურების შესაბამისი მომხმარებლები, არ შეხვდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს მაღაზიებში. ლექსიკონური განმარტებები მიანიშნებენ, არის თუ არა ესა თუ ის

28 1.9.2011, R168/2011 (nrk) – Fucking Freezing

29 იქვე

30 საქმე T-526/09 – Paki

31 1.9.2011, R168/2011 (nrk) – Fucking Freezing

სადავო სიტყვა შეურაცხმყოფელი შესაბამის ენაზე (გადაწყვეტილება R0168/2011-1 (01.09.2011) – „fucking freezing! by TÜRPITZ (BILDMARKE)“, პარაგ. 25[32]), მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი უნდა იყოს შესაბამისი მომხმარებლის აღქმა სპეციფიკურ კონტექსტში, თუ როგორ და როდის ხვდება, ზოგადად, მომხმარებელი ამა თუ იმ საქონელსა და მომსახურებას.

მეორეს მხრივ, EUIPO-ს სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სიტყვა „kuro“ უნგრული მოსახლეობისთვის არ გადმოსცემს შეურაცხმყოფელ შინაარსს სიტყვა „kúró“-ს მნიშვნელობით (ინგლისურად „fucker“), რადგან ხმოვნები „ó“ და „ú“ სხვადასხვა ასოებია, რომლებიც განსხვავდებიან „o“ and „u“-სგან და გამოითქმება განსხვავებულად (გადაწყვეტილება R482/2012-1 (22.12.2012) – „kuro“, პარაგ. 12 et seq.).

არსებობს აშკარა საფრთხე იმისა, რომ რეგულაციის მე-7(1)(ვ) პუნქტი შესაძლოა გამოიყენებოდეს სუბიექტურად, თუ განცხადებული ნიშანი არ შეესაბამება ექსპერტის გემოვნებას. თუმცა, იმისათვის რომ მოხდეს სიტყვაზე/სიტყვებზე უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანა, ნიშანი აშკარად შეურაცხმყოფელი უნდა იყოს „საშუალოდ მგრძნობიარე ადამიანისთვის“ (გადაწყვეტილება T-417/10 09.03.2012), „¡Que buenu ye! HIJOPUTA“, პარაგ. 21).

აუცილებელი არ არის, რომ განმცხადებელს უნდოდეს შესაბამისი საზოგადოების შოკირება ან შეურაცხყოფა; საკმარისია ობიექტური ფაქტის არსებობა, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის განაცხადი შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც შოკისმომგვრელი ან შეურაცხმყოფელი (გადაწყვეტილება R1805/2007-1 (23.10.2009), – „Paki“, პარაგ. 27, დადასტურებული გადაწყვეტილებით T-526/09 05.10.2011), „Paki“ პარაგ. 20 et seq.).

დაბოლოს, ნიშნები შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხასიათდებიან „ნეგატიური“ შინაარსით. ზოგიერთი აღნიშვნის ბანალური გამოყენება პოზიტიური კონტექსტითაც კი შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს (მაგ., რელიგიური მნიშვნელობის ტერმინები ან სასულიერო და პოლიტიკური ღირებულებების მქონე ეროვნული სიმბოლოები, როგორიცაა ATATURK, ზოგადად, ევროპის თურქული წარმოშობის საზოგადოებისთვის (გადაწყვეტილება R2613/2011-2 (17.09.2012) – ATATURK[33], პარაგ. 31)).[34]

32 1.9.2011, R168/2011 (nrk) – Fucking Freezing

33 17.09.2012, R2613/2011-2 – ATATURK

34 EUIPO-ს სახელმძღვანელო, ნაწილი B, ექსპერტიზა, მე-4 განყოფილება, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები, თავი 7, სასაქონლო ნიშნები საჯარო წესრიგისა და მორალის წინააღმდეგ

„სკანდალური“ ნიშანი შეიძლება გამოიყენებოდეს სასაქონლო ნიშნის ფუნქციით, თუმცა, რეგისტრაციისთვის ექსპერტიზამ უნდა შეამოწმოს, აღიქვამს თუ არა მოსახლეობის არსებითი ნაწილი ამ ნიშანს შესაბამისი საქონლის ან მომსახურებისთვის სკანდალური, ამორალური და შეურაცხმყოფელი შინაარსით. თუ ექსპერტი მიიჩნევს, რომ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიმართ სასაქონლო ნიშანს მოსახლეობის არსებითი ნაწილი აღიქვამს სკანდალური, ამორალური და შეურაცხმყოფელი შინაარსით, მაშინ მან უნდა უარი თქვას ნიშნის რეგისტრაციაზე. ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი გადადის განმცხადებელზე, რომელმაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი, საპირისპირო მტკიცებულებები.[35]

მორალის აღიარებული პრინციპების საწინააღმდეგო სასაქონ-ლო ნიშნების მაგალითებს შორის აღსანიშნავია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ დაფიქსირებული პოზიცია, რომელიც შეეხებოდა სიტყვების „Je suis Charlie“ სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის პოტენციურ განაცხადებს. უწყების ოფიციალური განცხადებით, როგორც წესი, არ ხდებოდა რაიმე კომენტარის გაკეთება სასაქონლო ნიშნის ან დიზაინის განაცხადის შესახებ, ასევე, რეგისტრაციის ციკლის ნებისმიერ ეტაპზე, თუმცა, უწყებამ ხაზი გაუსვა, რომ სიტყვების „Je suis Charlie“ სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციასთან დაკავშირებით არსებობდა უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესი. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, EUIPO-მ მიუთითა, რომ ნებისმიერ განაცხადზე, რომელიც შეიცავდა ფრაზას „Je suis Charlie“, უწყება გამოიყენებდა უარის თქმის იმ საფუძველს, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ რეგულაციის მუხლში 7(1)(f), ვინაიდან განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს.[36]

[35] სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაცია (INTA) – სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები, 2007, გვ. 31

[36] EUIPO-ს სიახლეები: Je suis Charlie – acceptability by OHIM of any potential applications, 16.01.2015 https://euipo.europa.eu/ohimportal/en/news/-/action/view/1787585

### 1.3. კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი – მორალი და საჯარო წესრიგი

EUTMR რეგულაციის თანახმად, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის როგორც ფორმალური, ასევე არსობრივი ექსპერტიზის წესები, მათ შორის, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები ვრცელდება ევროკავშირის კოლექტიურ და სასერტიფიკაციო ნიშნებზეც.

ევროკავშირის კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები: ექსპერტებმა უნდა შეამოწმონ **კოლექტიური ნიშნის დებულება, ნიშნის გამოყენების წესები ეწინააღმდეგება თუ არა საჯარო წესრიგსა და მორალს.** ევროკავშირის კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, როდესაც ევროკავშირის კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება შეიცავს ისეთ მარეგულირებელ წესებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს, ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე კოლექტიური ნიშნის შემთხვევაში – EUTMR რეგულაციის 76(1) მუხლის (ბოლო წინადადების), ხოლო, სასერტიფიკაციო ნიშნის შემთხვევაში – EUTMR რეგულაციის 85(1) მუხლის (ბოლო წინადადების) საფუძველზე.

დებულების წესები, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და/ან მორალის აღიარებულ პრინციპებს, შეიძლება იყოს, მაგალითად, წესები, რომლებიც განსაზღვრავენ უფლებამოსილების მიცემის ან გამოყენების გაუმართლებლად დისკრიმინაციულ პირობებს (როდესაც არ არსებობს ამგვარი წესების გამოყენების ობიექტური კრიტერიუმი და გამოყენებული კრიტერიუმი არაპროპორციული და გაუმართლებელია); ასევე, როდესაც დებულება აწესებს ცალსახად დისკრიმინაციულ საწევრო შენატანებსა და გადასახადებს. ევროკავშირის კოლექტიური ან სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და/ან მორალის აღიარებულ წესებს მაშინაც, როდესაც ნიშნის გამოყენების (დებულების) წესები ადგენენ დისკრიმინაციულ მოპყრობას სქესის, რწმენის, ან რასის მიხედვით. მაგალითად, თუ დებულება განსაზღვრავს, რომ ქალებს ეკრძალებათ ნიშნის გამოყენება, ევროკავშირში ამგვარი კოლექტიური ან სასერტიფიკაციო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია დაუშვებელია მაშინაც, თუ მუხლის 7(1)(f) მიხედვით არ არსებობს ამ ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ექსპერტის უარი შეიძლება გაუქმდეს, თუ შეიცვლება რეგულაციები და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ნორმა ამოღებული იქნება. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია დაშვებული იქნება, თუ რეგულაციაში გაუქმდება ნორმა, რომელიც კრძალავს ქალების მიერ ამ ნიშნის გამოყენებას.[37]

## 1.4. EUIPO-ს სახელმძღვანელო მაგალითები: საჯარო წესრიგი და/ან მორალი

### 1.4.1. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების განაცხადების რეგისტრაციაზე უარის თქმის მაგალითები (საჯარო წესრიგი და/ან მორალი)

| ნიშანი | შესაბამისი მომხმარებელი | საჯარო წესრიგი / მორალი | საქმის № |
|---|---|---|---|
| BIN LADIN | საშუალო მომხმარებელი | ეწინააღმდეგება მორალს და საჯარო წესრიგს – ნიშანი საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის, ალ-ქაედას ლიდერის სახელი; ტერორისტული დანაშაული ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და მორალურ პრინციპებს (პარაგ. 17) [საქმის № R0176/2004] | R0176/2004-2 |
| CURVE 300 | საშუალო მომხმარებელი | ეწინააღმდეგება მორალს – „CURVE" არის შეურაცხმყოფელი და ვულგარული სიტყვა რუმინულ ენაზე (ნიშნავს მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალს). | R0288/2012-2 |
|   | საშუალო მომხმარებელი | ეწინააღმდეგება მორალს – „fucking" არის შეურაცხმყოფელი და ვულგარული სიტყვა ინგლისურად. | R0168/2011-1 |
|   | საშუალო მომხმარებელი | ეწინააღმდეგება მორალს – „HIJOPUTA" არის შეურაცხმყოფელი და ვულგარული სიტყვა ესპანურად. | T-417/10 |

[37] EUIPO-ს სახელმძღვანელო, ნაწილი B, მე-4 განყოფილება, თავი 15 (კოლექტიური ნიშნები, გვ. 6-7), თავი 16 (სასერტიფიკაციო ნიშნები, გვ.8-9) 01.10.2017; EUTMR 2017/1001 მ.: 76, 85

| | | | |
|---|---|---|---|
|  | საშუალო მომხმარებელი | ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს – უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს გარკვეულ „დესპოტიზმის სიმბოლოებს“ ნამგლისა და უროს ჩათვლით, ასევე, 5-ქიმიან ვარსკვლავს, რომელიც განასახიერებს ყოფილ სსრკ-ს. ეს კანონი გამოიყენება არა მისი ნორმატიული შინაარსის გამო, არამედ იმის მტკიცებულებად, რომ ამგვარი სიმბოლოები საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც დესპოტური, ტოტალიტარული რეჟიმის ამსახველი ნიშნები, რაც აკრძალულია კანონით (პარაგ. 59-63). [საქმე №: T-232/10] | T-232/10 |
| PAKI | საშუალო მომხმარებელი | ეწინააღმდეგება მორალს – „PAKI“ არის რასისტული შეურაცხყოფა ინგლისურად. | T-526/09 |
| FICKEN | საშუალო მომხმარებელი | ეწინააღმდეგება მორალს – „FICKEN“ არის შეურაცხმყოფელი და ვულგარული სიტყვა გერმანულად. | T-52/13 |
| ATATURK | ევროკავშირში თურქული წარმოშობის საშუალო მომხმარებელი | პოზიტიური ჟღერადობის ნიშნების ბანალური გამოყენება შეიძლება აღმოჩნდეს შეურაცხმყოფელი. „ათათურქი“ ეროვნული სიმბოლოა სულიერი და პოლიტიკური დატვირთვით ევროკავშირში, ზოგადად, თურქული წარმოშობის მომხმარებლისთვის [საქმე №: R2613/2011-2] | R2613/2011-2 |
| MECHANICAL APARTHEID | საშუალო მომხმარებელი | საჯარო წესრიგი – „APARTHEID“ უკავშირდება ყოფილ ძალადობრივ პოლიტიკურ რეჟიმს სამხრეთ აფრიკაში, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო ტერორს, წამებასა და ადამიანის ღირსების უგულვებელყოფას. სასაქონლო ნიშნის მიერ გადმოცემული შთაბეჭდილება, რომელიც განკუთვნილია კომპიუტერული თამაშებისთვის, მსგავსი გამოცემებისა და გართობის სფეროსთვის, ეწინააღმდეგება უნივერსალურ ღირებულებებს, რომლებსაც ემყარება ევროკავშირი: ადამიანის ღირსებას, თავისუფლებას, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, თანასწორობასა და სოლიდარობას, ასევე, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. | R2804/2014-5 |

| | | | |
|---|---|---|---|
| MH17<br>MH370 | საშუალო მომხმარებელი | მორალი – ფრენების აკრონიმები. ფინანსური სარგებლის მოპოვების განზრახვა იმ ფაქტიდან, რაც უნივერსალურად აღიარებულია, როგორც ტრაგიკული შემთხვევა და რამაც გამოიწვია ასეულობით სიცოცხლის დაკარგვა -ეწინააღმდეგება მორალის აღიარებულ ნორმებს. | EUTM 13 092 937<br>EUTM 12 839 486 |
| Fack Ju Göhte | საშუალო მომხმარებელი | მორალი- გამონათქვამი „fack ju“ არის ინგლისური ტერმინის „fuck you“ სლენგი, ვულგარული და შეურაცხმყოფელი გამოხატულება. | EUTM 13 971 163 (გასაჩივრე-ბულია: R2205/2015-5) |
|  | საშუალო მომხმარებელი | საჯარო წესრიგი და მორალი – მაფიის ტიპის ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს ცხად და აქტუალურ საფრთხეს ევროკავშირისთვის. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ექსპერტიზა უნდა მოხდეს ამ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით. სემანტიკური შინაარსი ამცირებს კრიმინალური ორგანიზაციიდან მომდინარე საფრთხის აღქმას, როდესაც მაფია გამოცხადებულია „თანამესუფრედ“ („se sienta a la mesa” – „მაფია თქვენს სუფრასთან“), რაც ანიჭებს სასაქონლო ნიშანს შეურაცხმყოფელ ბუნებას. | EUTM 5 510 921<br>11 247 C (გასაჩივრე-ბულია: R803/2016-1) |
| ETA | საშუალო მომხმარებელი | საჯარო წესრიგი და მორალი – „ETA“ ევროპაში, კერძოდ, ესპანეთში, მაშინვე აღიქმება, როგორც ტერორისტული ჯგუფის ETA-ს აღმნიშვნელი (პარა 2). ETA შედის იმ პირების და ჯგუფების სიაში, რომლებმაც ჩაიდინეს ან ცდილობენ, განახორციელონ ტერორისტული აქტები ან ხელს უწყობენ ამგვარ აქტებს. ([ევროკავშირის] საერთო პოზიცია 2001/931/ CFSP of 27/12/2001 ტერორიზმის დასამარცხებლად სპეციფიური ზომების გატარების თაობაზე, რომელიც განახლებულია საბჭოს საერთო პოზიციის საფუძველზე 2009/64/CFSP) (პარაგ. 14). კომერციული კონტექსტში, ცნება „ETA”-ს გაგონება ან წაკითხვა ჩვეუმებრივ, ნებისმიერი პირისთვის შოკის მომგვრელია, კერძოდ, ესპანეთის მოსახლეობისთვის, რომლისთვისაც განსაკუთრებით ნაცნობია ეს სიტყვა. ის ფაქტი, რომ ETA ამჟამად არ განიხილება ესპანეთისთვის უდიდეს საფრთხედ იმ გამოკვითხვის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა 2015 წლის ივნისში, არ ნიშნავს, რომ ეს ცნება, საზოგადოების აღქმით, აღარ არის ასოცირებული ზემოაღნიშნულ ტერორისტულ დაჯგუფებასთან (პარაგ. 15).* | R563/2016-2 |

* EUIPO-ს სახელმძღვანელო (01.10.2017), გვ. 11

| | | | |
|---|---|---|---|
| KB KRITIKAL BILBO | საშუალო მომხმარებელი | საჯარო წესრიგი და მორალი – სიტყვები “KRITIKAL BILBO” აღნიშნავს მცენარე“ კანაფის“ ნაირსახეობას – აგრეთვე, ეწოდება „მარიხუანა“ – რომელიც, მასში ტეტრაჰიდროკანაბიონოლის (THC) მაღალი, კერძოდ, 21.47 % შემცველობის გამო, გამოიყენება მარიხუანას დასამზადებლად (პარაგ.19). THC მაღალი შემადგენლობის შემცველი კანაფი ითვლება ნარკოტიკულ საშუალებად, რომელიც აკრძალულია ევროკავშირის უმეტეს წევრ ქვეყანაში (19/11/2009, T-234/06, კანაბისი, EU:T:2009:448). ზოგიერთი ნივთიერება, რომელიც არ არის ფსიქო-აქტიური – კანონიერ ნივთიერებად ითვლება და უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ ნებართვის/ლიცენზიის გაცემა მათი ამ (არა-ფსიქო-აქტიური ზეგავლენის) მიზნებით კულტივირებისთვის. თუმცა, მასში THC-ს მაღალი შემცველობის გამო შესაბამისი საქონელი არ წარმოადგენს ისეთს, რომელიც არ არის ფსიქო-აქტიური, არამედ წარმოადგენს მოსაწევად განკუთვნილ ნივთიერებას, რაც მკაცრად კონტროლდება ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაში (პარაგ. 22).<br><br>*ავტ. შენიშვნა:*<br>წარმოდგენილი ნიშანი არ დარეგისტრირდა 31-ე და 34-ე კლასების მიმართ EUTMR 2 საფუძვლით: წარმოდგენილი ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგსა და მორალს [7(1)(f)] და იყო აღწერილობითი შესაბამისი საქონლის მიმართ [7(1)(c)]; თუმცა, ნიშანი დარეგისტრირდა 20.06.2017 (ნიცის კლასიფიკაციით) მე-5 კლასში შემავალი საქონლისთვის: ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების პრეპარატები; ხელოვნური ჩაი [სამედიცინო მიზნებისთვის]; “კრეტეკის” (ყაყაჩოს) სიგარეტები სამედიცინო მიზნებისთვის; სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტები; მცენარეების ექსტრაქტები ფარმაცევტული მიზნებით; ჰერბიციდები; სამკურნალო მცენარეები; სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტები; მოსაწევი მცენარეები სამედიცინო მიზნებით; მცენარეული ნივთიერებები სამედიცინო მიზნებით; მცენარეული პრეპარატები; სიგარეტები თამბაქოს გარეშე სამედიცინო მიზნებით. | R1881/2015-1 (EUIPO-ს სააპელაციო პალატის პირველი კოლეგიის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტი-ლება) |

| | | | |
|---|---|---|---|
| FUCK CANCER | საშუალო მომხმარებელი | მორალი – სიტყვა „FUCK“ არის არა მხოლოდ „საკმაოდ უზრდელური სიტყვა“ სიტყვა „CANCER“-თან მიმართებით, არამედ შეურაცხმყოფელი და უხამსი, ყოველ შემთხვევაში, ევროკავშირის ინგლისურენოვანი მოსახლეობისთვის. | R0793/2014-2 |

## 1.4.2. რეგისტრირებადი ნიშნების მაგალითები (საჯარო წესრიგი და/ან მორალი)

| ნიშანი | შესაბამისი მომხმარებელი | საჯარო წესრიგი / მორალი | საქმის № |
|---|---|---|---|
| KURO | საშუალო მომხმარებელი | ის ფაქტი, რომ უცხოენოვანი ტერმინი, სახელი ან აბრევიატურა აჩვენებს შეურაცხმყოფელ სიტყვასთან გარკვეულ მსგავსებებს (მაგ., kúró) არ არის საკმარისი მიზეზი, რომ უარი ეთქვას ევროკავშირის ნიშანს (პარაგ. 20). უნგრული ხმოვნები „ò“ და „ù“ აქცენტის აშკარად განსხვავდებიან „o“ და „u“-საგან. გარდა ამისა, უნგრული სიტყვები არასდროს მთავრდებიან „o“ ასოთი აქცენტის გარეშე (პარაგ. 15-18) | R482/2012-1 |
| DE PUTA MADRE | საშუალო მომხმარებელი | მიუხედავად იმისა, რომ ესპანურად „puta“ ნიშნავს „მეძავს“, ეს გამოთქმა ესპანურ სლენგზე ნიშნავს „ძალიან მაგარს“. | CTM 3 798 469CTM 4 781 662CTM 5 028 477 |
| SCREW YOU | საშუალო მომხმარებელი (სექსუალური ხასიათის პროდუქციისთვის) | პიროვნება, რომელიც შედის სექს-მაღაზიაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეურაცხყოფილი იქნება ვულგარული, სექსუალური ტერმინოლოგიის შემცველი სასაქონლო ნიშნით (პარაგ. 26) | R495/2005-G |

| | | | |
|---|---|---|---|
| CONTRA -BANDO | საშუალო მომხმარებელი | განცხადებული საქონლისთვის – რომი (კლასი 33) – შესაბამისი მომხმარებელი ნიშანს აღიქვამს პროვოკაციული, რევოლუციური და სამართალდამრღვევი შინა-არსით, თუმცა, ვერ აღიქვამს, რომ ნიშანი მიუთითებს საქონლის კრიმინალურ წარმომავლობაზე (პარაგ. 23) | R2822/2014-5 |
| AIRCURVE | სპეციალური მომხმარებელი (სამედიცინო პერსონალი; პაციენტები სუნთქვის პრობლემებით) | განცხადებული სიტყვა „Curve“ [რუმინულად: მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალი), რომელიც უკავშირდება ინგლისურ სიტყვას „AIR“ და ქმნის სიტყვათა წყობას „AIRCURVE“, რაც, ერთიანობაში, ფანტაზიურია რუმინულ ენაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამის მომხმარებელს ესმის სიტყვა „AIR“ და ნიშანს აღიქვამს, როგორც ორი ელემენტისგან შემდგარს, „AIRCURVE“, აღნიშნავს „მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ჰაერში“, რაც, კონცეპტუალურად, ასევე, რესპირატორულ აპარატთან მიმართებით, მოკლებულია შინაარსს და ორაზროვანია იმდენად, რომ არ არის შეურაცხმყოფელი (პარაგ. 13 და სხვ).<br>რაც შეეხება ცალკე სიტყვას „CURVE“, იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითი (T-266/13**). | R0203/2014-2 |
| ILLICIT | საშუალო მომხმარებელი | სასაქონლო ნიშანი დასაშვებია EUTMR რეგულაციის 7(1)(f) პუნქტით, რადგან ცნება „illicit“ განსხვავდება სიტყვისგან „counterfeit“ (კონტრაფაქცია). ნიშანი აღიქმება, როგორც ფანტაზიური ისეთი საქონლის-თვის, როგორიცაა კოსმეტიკა და სუნამოები, შესაბამისად, მისი რეგისტრაცია დასაშვებია. | EUTM 13 469 523 |

***

** Case T-266/13: Judgment of the General Court of 26 September 2014 – Brainlab v OHIM (Curve) (Community trade mark – Application for Community word mark Curve – Absolute ground for refusal – Trade mark contrary to public policy or to accepted principles of morality – Article 7(1)(f) of Regulation (EC) №207/2009); OJ C 395, 10.11.2014, p. 45–46

*** EUIPO-ს სახელმძღვანელოს, ნაწილი B, მე-4 განყოფილება, თავი 7

# 2. ქართული პრაქტიკა

## 2.1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები – კანონმდებლობით დადგენილ და/ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამობა

„სასაქონლო ნიშნების შესახებ „საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებს შორის მითითებულია, რომ სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება (ა) ეროვნულ ღირსებებს, (ბ) რელიგიას, (გ) ტრადიციებს, (დ) ზნეობრივ ნორმებს.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ უნდა შეურაცხყოფდეს, ანუ – მოქმედებდეს პირის სუბიექტურ განცდებზე; ან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, ობიექტური შეფასებით, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგსა და მორალს – ზნეობრივი ნორმების ისეთ აღიარებულ პრინციპებს, როგორებიცაა: ეროვნული ღირსება, რელიგია, ტრადიციები. ჩამოთვლილი საფუძვლებიდან საკმარისია სასაქონლო ნიშანი შეურაცხყოფდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ერთ-ერთს, მაგალითად, რელიგიას, თუმცა, შესაძლებელია სასაქონლო ნიშანი, თავისი არსით, უპირისპირდებოდეს როგორც ეროვნულ ღირსებებს, ასევე, რელიგიას, ტრადიციებს და ზნეობრივ ნორმებს, ანუ ეწინააღმდეგებოდეს ან შეურაცხყოფდეს როგორც საჯარო წესრიგს და ადამიანის ღირსებას, ასევე საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ პრინციპებს.

იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შინაარსი მოიცავს ორ კატეგორიას: „ზნეობის ნორმებს და საზოგადოებრივ წესრიგს"[38], სადაც „ზნეობის ნორმები" მორალის აღიარებული პრინციპების მნიშვნელობით მოიაზრება, ხოლო „საზოგადოებრივი წესრიგი" საჯარო წესრიგს აღნიშნავს. თუმცა, „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ" მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტში ნახსენები არ არის სიტყვები „საზოგადოებრივი წესრიგი"; ნორმის შინაარსში აღნიშნულია,

[38] ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბილისი, 2012, გამომცემლობა „მერიდიანი", გვ. 213

რომ სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს ან რელიგიას. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული თითოეული ეს საფუძველი საკმაოდ ფართო და აბსტრაქტული ცნებაა. საჯარო წესრიგი (public order) ან „საზოგადოებრივი წესრიგი“ იგულისხმება საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში გამოყენებულ ცნებაში – „ზნეობრივი ნორმები“ და ნიშნავს კანონით, სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრულ ზნეობრივ ნორმათა ერთიანობას; ხოლო „ეროვნული ღირსება, ასევე, რელიგია და ტრადიციები“ უნდა განვიხილოთ მორალურ-ზნეობრივ კატეგორიად, ანუ საქართველოში, საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებად (accepted principles of morality).

### 2.1.1. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და გამოხატვის თავისუფლება

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია დაუშვებელია, თუ საქპატენტი მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიას, ტრადიციებსა და ზნეობრივ ნორმებს. საქპატენტში განცხადებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის ყველაზე ხშირ საფუძველს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენს „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა“, ანუ, საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა. მნიშვნელოვანია, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განხილვისას სწორად და მაქსიმალურად ობიექტურად შეფასდეს, რამდენად ეწინააღმდეგება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ზნეობრივ ნორმებს. ამასთანავე, სასაქონლო ნიშანი, როგორც სიტყვიერი და გრაფიკული გამოსახულება და ნიშანში ასახული ინფორმაცია დაცულია გამოხატვის თავისუფლებით.

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული სასამართლო (ევროსასამართლო) თავს იკავებს „მორალის“ (ზნეობის), როგორც სოციალურ-კულტურული ცნების შეფასებისაგან. აშშ-ის კონსტიტუციური სამართალი კი „მორალს“ უკავშირებს „უხამსობის“ კრიტერიუმს და ნებისმიერი ლიტერატურის,

ფილმის, ფერწერული ტილოსა და სხვა ნაწარმოებების გავრცელება იკრძალება, თუ მათში „უხამსობაა“ გადმოცემული.[39]

გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით (საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი), მსგავს საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“: „გამოხატვის თავისუფლება საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებაა, მაგრამ ამ უფლებების სრულყოფილი განხორციელებისთვის მხოლოდ საკანონმდებლო გარანტიები არ კმარა, საჭიროა, რომ თავად საზოგადოება იყოს შემწყნარებელი ინდივიდის უფლებისადმი, თავისუფლად და უშიშრად გამოხატოს საკუთარი აზრი. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ თმენის ვალდებულება იმ მოსაზრებების მიმართ, რომელთაც ისინი არ იზიარებენ ან, თუნდაც თვლიან ზნეობრივად გაუმართლებლად. დაუშვებელია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის ზნეობრივი ნორმების ან მსოფლმხედველობის საზოგადოების სხვა ჯგუფებზე თავსმოხვევა სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობით. ზოგადად, სახელმწიფოს არ შეუძლია, შეზ-ღუდოს ინფორმაციის თავისუფლება იმ საფუძვლით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს. ადამიანებს უფლება აქვთ, მიიღონ და გაავრცელონ იდეები და თავად გადაწყვიტონ, რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი... ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–10 მუხლის დაცვის სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდეებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება (Handyside v. UK , p. 48).“[40]

---

39 ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ. და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე: საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, სამეცნ. რედ. ტურავა პ. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი, „GIZ“, თბილისი, 2013წ. გვ. 249 http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf

40 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის, გადაწყვეტილება №1/3/421,422 (10.11.2009) საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ყიფიანი გ. და უნგიაძე ა. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილი II, პარაგ. 7, გვ. 16-17

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს. შესაძლოა, სახელმწიფოს ჰქონდეს ამ შეზღუდვის დაწესების უფლება, მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვენცია ასეთ შემთხვევებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ვალდებულებას არ აწესებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში დაწესებული ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის ტესტს უნდა აკმაყოფილებდეს... სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები... ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები უნდა იყოს გათვალისწინებული ნათლად განჭვრეტადი და ვიწროდ მიზანმიმართული კანონით.“ [41]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასაქონლო ნიშანი, რომელიც გამოხატავს გარკვეულ ინტელექტუალურ შემოქმედებას, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების, აგრეთვე, საკუთრების უფლების, შემოქმედებითი თავისუფლებისა და ინტელექტუალური საკუთრების კონსტიტუციური გარანტიებით დაცული ობიექტია, რომელიც შეიძლება, თუმცა, სავალდებულო არაა, შეიზღუდოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მათ შორის მაშინ, თუ არის უხამსი. ძირითადი კანონით დაცული ობიექტის „შეზღუდვაში“ იგულისხმება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა ნიშნავს, რომ ამგვარ ნიშანზე არ ვრცელდება სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვა, თუმცა, ეს ხელს არ უშლის ნიშნის გამოყენებას სამოქალაქო ბრუნვაში, მათ შორის, სამეწარმეო, სავაჭრო ურთიერთობებში.

---

[41] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის, გადაწყვეტილება №1/3/421,422 (10.11.2009) საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ყიფიანი გ. და უნგიაძე ა. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილი II, პარაგ. 7, გვ. 17

## 2.2 რელიგიური ტერმინებისა და სიმბოლიკის სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაცია

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, რელიგიური ტერმინებისა და სიმბოლიკის გამოყენება სასაქონლო ნიშნად აკრძალული არ არის. თუმცა, იმისათვის, რომ პირმა მოიპოვოს მათზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული უფლებები, აუცილებელია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია.

რელიგიური ტერმინოლოგიისა და სიმბოლოების გამოყენებას, სხვადასხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (კონკორდატი). საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, აღნიშნული შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული ხელშეკრულება საქართველოში მოქმედებს 2002 წლიდან. სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუციური შეთანხმება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ ნორმატიულ აქტთა იერარქიაში ყველაზე მაღალი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტია. კონკორდატი სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საზოგადოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.[42] აღნიშნული აქტი განსაზღვრავს როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ სტატუსს, ისე მისი საკუთრების უფლებას და ურთიერთობებს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სუბიექტებთან.

კონკორდატის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენების წესს: „სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.“

[42] კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, კომენტარები, რედ.: კორძაია-სამადაშვილი ნ. თბილისი, 2003. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3597; http://library.court.ge/gil/index.php?term_id=912

განსხვავებული სამართლებრივი რეგულირებისა და მოთხოვნების გამო, მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ რელიგიური ტერმინებისა და სიმბოლიკის გამოყენება და მათი რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად:

რელიგიური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებასთან დაკავშირებით (მათ შორის საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადება, შემოტანა და მიწოდება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შემთხვევაში, საუბარია მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის და არა ნებისმიერი სხვა რელიგიური მიმდინარეობის ოფიციალური ტერმინოლოგიის და სიმბოლიკის გამოყენებაზე, (ასევე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე), რასაც მოწმობს სადავო ნორმაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებაც.“[43] კონკორდატის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის განმარტებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საღვთისმსახურო პროდუქციის (ნივთების და სხვა) გარეგნული მსგავსება არ ნიშნავს მათ სრულ იდენტურობას. ყველა სხვა რელიგიურ ორგანიზაციას უფლება აქვს, თავისუფლად (შეუზღუდავად) აწარმოოს და მიაწოდოს საკუთარი საღვთისმსახურო პროდუქცია იმ აუცილებელი პირობით, რომ აღნიშნულ პროდუქციას უნდა გააჩნდეს ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციის კუთვნილების აღმნიშვნელი დასახელება, რაც იქნება იმის განმსაზღვრელი, რომ ეს პროდუქცია არ არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმსახურო პროდუქცია და, შესაბამისად, არ საჭიროებს არავითარ ლიცენზიას, რაც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-19 მუხლების მოთხოვნებთან.”[44]

თავისი არსით, კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ეხება ლიცენზიისა და ნებართვის გამცემ სახელმწიფო ორგანოებს და მათ ვალდებულებას, ეკლესიასთან შეთანხმებით გასცენ ნებართვა ან ლიცენზია, როდესაც საქმე ეხება ეკლესიის ოფიციალურ

[43] საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრება (18-19.09.1995), მცხეთა, სვეტიცხოველი). http://www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

[44] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი განჩინება №2/18/206 (22.11.2002), საქმის დასახელება: მოქალაქე ზურაბ აროშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანი: „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 დამე-19 მუხლებთან მიმართებით.

ტერმინოლოგიასა და სიმბოლიკას, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებას, შემოტანასა და მიწოდებას. ამ შემთხვევაში კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ გამოიყენება კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების დაცვით. ნორმაში ცალსახად განსაზღვრული არაა, ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიის და სიმბოლიკის სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენებაზე სახელმწიფოს მიერ ეკლესიასთან შეთანხმებული ნებართვა გაიცემა თუ ლიცენზია. ლიცენზიისა და ნებართვის გამცემ სახელმწიფო ორგანოებს ეკლესიასთან შეთანხმება სჭირდებათ ეკლესიის იმ ოფიციალური ტერმინოლოგიისა თუ სიმბოლიკის გამოყენებისას, ასევე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით („საქართველოს კანონით ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“) დადგენილია ნებართვა ან ლიცენზია. ეს წესი არ ეხება სხვა რელიგიის კუთვნილი ტერმინოლოგიის, სიმბოლიკისა თუ საღვთისმსახურო პროდუქციის გამოყენებას, რადგან კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებისგან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმებას ითხოვს იმ საეკლესიო ოფიციალურ ტერმინოლოგიასა და სიმბოლიკაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციაზე სახელმწიფო ნებართვის ან ლიცენზიის გაცემისას, რაც ითვლება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებად.

რაც შეეხება ოფიციალური რელიგიური ტერმინოლოგიისა თუ სიმბოლიკის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განხილვისას უნდა შეფასდეს, თუ რომელი რელიგიის კუთვნილებაა ესა თუ ის ტერმინი ან სიმბოლო და არსებობს თუ არა რელიგიური ტერმინისა თუ სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი. „ოფიციალურ რელიგიად“ უნდა განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $1509^1$ მუხლის საფუძველზე საქართველოში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული ისლამური, იუდეური, რომაულ–კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური

გაერთიანებები“.[45] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად“.[46] შესაბამისად, ზემოაღნიშნული რელიგიური გაერთიანებების კუთვნილი ტერმინოლოგია და სიმბოლიკა უნდა განიხილებოდეს ოფიციალურ რელიგიურ ტერმინებად და სიმბოლოებად. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადი შეიცავს ამ ოფიციალური რელიგიის კუთვნილი ტერმინებსა და სიმბოლოებს, უნდა შეფასდეს, თუ როგორ შეიძლება მომხმარებელმა აღიქვას ნიშანი და ეწინააღმდეგება თუ არა ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების მიმართ განცხადებული სასაქონლო ნიშანი საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (რელიგიას).

იმ შემთხვევაში, თუ ტერმინი ან სიმბოლო განეკუთვნება საქართველოს ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ეკლესიას, საერთო სასამართლოს განმარტებით, საქპატენტმა უნდა იხელმძღვანელოს კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლით და მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით და საკითხის სრულფასოვანი გამოკვლევა-შეფასების მიზნით – იმ საკითხის გასარკვევად, ეწინააღმდეგება თუ არა განცხადებული სასაქონლო ნიშანი საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (რელიგიას) – წერილობითი მოსაზრებისთვის მიმართოს ეკლესიას. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს შეფასების საგანია. ოფიციალური რელიგიური ტერმინისა თუ სიმბოლიკის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის საკითხი, საქპატენტის მიერ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონის შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

---

[45] „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №117 (27.01.2014), პირველი მუხლის მე-3 პუნქტი

[46] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509(პრიმა1) მუხლის მე-4 ნაწილი

### 2.2.1. სასამართლო პრაქტიკა

საერთო სასამართლომ გამოიყენა კონკორდატის 1-ლი და მე-6 მუხლები, როდესაც მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, უპირისპირდებოდა თუ არა „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მიზნებს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია:

სიტყვიერი ნიშანი: **„წმინდა ანდრიას ჯვარი“**

გამოსახულებითი ნიშანი:




სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ აღნიშნული კანონით რელიგიური სიმბოლოების სასაქონლო ნიშნის სახით რეგისტრაცია აკრძალული არ არის. ამასთან, ამ კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რომელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება შეურაცხყოფდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს შეფასების საგანია.

სასამართლოს მიერ განსაზღვრული სტანდარტის თანახმად, „იმის გამოკვლევა-შეფასების მიზნით, თუ რა განაპირობებს „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიყენოს კონკორდატის 1-ლი და მე-6 მუხლები; ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უნდა მიმართოს საქართველოს ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ეკლესიას, რის შემდგომაც აღნიშნულ საკითხზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საქპატენტი მოქმედებს საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და ვალდებულია საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე

გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“.

სასამართლო განმარტავს, რომ კანონი სრულად ვერ მოაწესრიგებს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლებიც განსხვავდება ფაქტობრივი შემადგენლობით, სამართლებრივი რეგულირების ფორმებითა და მეთოდებით. დისკრეციულია ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ისეთი უფლებამოსილება, რომელსაც კანონმდებლობა არ ზღუდავს კონკრეტული მოწესრიგებით, თუმცა, ამ უფლებამოსილებას ადგენს კანონი. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია სამართლის ნორმის შინაარსის სწორი განმარტება. ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, რაც ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს მიზნის მისაღწევად გონივრული საშუალების გამოყენებას. თუ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არის დასაბუთებული, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისგან დაცვის ვალდებულების, იგნორირება არის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენის და, შესაბამისად, აქტის გაუქმების საფუძველი. სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის ხელახლა განხილვის შემდგომ გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე, ადმინისტრაციულმა ორგანომ შესაბამისი დასაბუთებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.[47]

სასამართლოს დასკვნით, „გადაწყვეტილების მიღებისას, აღნიშნული საკითხის შეფასების მიზნით, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიყენოს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის პირველი მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ხსენებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე“.[48] შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ განსახილველ საკითხზე უნდა მიმართოს საქართველოს

---

[47] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №3/3709-12, 29.11.2012 („ასოციაცია მეოხი“)

[48] კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის http://patriarchate.ge/geo/eklesia/saeklesio-samartali/konstituciuri-shetanxmeba-saqartvelos-saxelmwifosa-da/

ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, რის შემდგომაც სადავო საკითხზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რელიგიური ტერმინისა თუ სიმბოლიკის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია აკრძალული არ არის. თუმცა, ამგვარი ტერმინისა თუ სიმბოლიკის შემცველი სასაქონლო ნიშნის განაცხადის ექსპერტიზისას აუცილებელია:

(1) სიმბოლო შეფასდეს განაცხადში წარმოდგენილი საქონლის/მომსახურების ჩამონათვალის მიმართ.

(2) განისაზღვროს, თუ რომელ რელიგიას განეკუთვნება სასაქონლო ნიშნად განცხადებული სიმბოლო: კონსტიტუციური შეთანხმების თანდართულ ტერმინთა განმარტების 24-ე პუნქტის თანახმად, „ეკლესიის ოფიციალურ ტერმინოლოგიას წარმოადგენს შემდეგი სიტყვები: „საქართველოს სამოციქულო", „ავტოკეფალური", „მართლმადიდებელი", „კათოლიკოს-პატრიარქი", „წმინდა სინოდი". 25-ე პუნქტის თანახმად კი, საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქციას წარმოადენს „ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი (კათოლიკოს-პატრიარქის ან მღვდელმთავრის რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები), მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა... საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთები... საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა..."[49] ზემოაღნიშნულ ტერმინთა განარტების 27-ე პუნქტის თანახმად, „ეკლესიის ოფიციალური სიმბოლიკა – მოცემულია ეკლესიის მართვა-გამგეობის წესდებაში" (დებულებაში).[50] „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების" მე-4 თავის 21-ე მუხლში მოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „პატივის ნიშნები", ანუ სიმბოლიკა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივის ნიშნებია ძოწისფერი მანტია, შავი საპატრიარქო კუნკულ-ბარტყული ჯვრითა

49 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №2/18/206 (22.11.2002), საქმის დასახელება: მოქალაქე ზურაბ აროშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. http://constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/moqalaqe-zurab-aroshvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-634.page

50 ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალის საკითხები, დანართი 3. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველო სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის http://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/danarti3.htm

და ფრთებზე გამოსახული სერაფიმებით, ორი პანაღია და ჯვარი, დიდი პარამანი და ჯვრის წინგაძღოლის უფლება."[51] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების ტექსტში ეკლესიის ოფიციალური სიმბოლიკის რაიმე კონკრეტული ჩამონათვალი არ არის განსაზღვრული, ამ აქტით დადგენილი ტერმინები და სიმბოლოები საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალურ ტერმინოლოგიად და სიმბოლიკად შეიძლება ჩაითვალოს. ექსპერტმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს სასაქონლო ნიშნის განაცხადში წარმოდგენილი რელიგიური დატვირთვის ცნებები და სიმბოლოები და დაადგინოს მათი კუთვნილება ამა თუ იმ რელიგიისადმი.

(3) თუ სიმბოლო, ექსპერტიზის შეფასებით, მართლმადიდებლური რელიგიის კუთვნილებაა, იმ საკითხის გასარკვევად, შეურაცხმყოფელია თუ არა შესაბამისი სიმბოლოს გამოყენება კონკრეტული საქონლის/მომსახურების ჩამონათვალისთვის, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საკითხის სრულფასოვანი შეფასება-გამოკვლევის მიზნით, კონკორდატის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის, ასევე, მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვალდებულია მიმართოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს.

(4) თუ სიმბოლო, ექსპერტიზის შეფასებით, რომელიმე სხვა რელიგიის კუთვნილებაა, იმ საკითხის გასარკვევად, ეწინააღმდეგება თუ არა კონკრეტული საქონლის/მომსახურების ჩამონათვალისთვის განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ზნეობის აღიარებულ ნორმებს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საკითხის სრულფასოვანი შეფასება-გამოკვლევის მიზნით, უფლებამოსილია (თუმცა, ვალდებული არ არის) მიმართოს შესაბამის რელიგიურ ორგანიზაციას.

[51] საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრება (18-19.09.1995), მცხეთა, სვეტიცხოველი) http://www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული ისლამური, იუდეური, რომაულ–კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებების კუთვნილი ტერმინოლოგია და სიმბოლიკა უნდა განიხილებოდეს ოფიციალურ რელიგიურ ტერმინებად და სიმბოლოებად. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადი შეიცავს ზემოაღნიშნულ ტერმინებსა და სიმბოლოებს, ექსპერტიზამ უნდა შეაფასოს, თუ როგორ შეიძლება მომხმარებელმა აღიქვას ნიშანი და ეწინააღმდეგება თუ არა ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების მიმართ განცხადებული სასაქონლო ნიშანი საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (რელიგიას).

(5) ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი არ არის ვალდებული გაითვალისწინოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ან ნებისმიერი სხვა რელიგიური ორგანიზაციის პოზიცია, რჩევები თუ მითითებები ამა თუ იმ სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შესახებ ან რეგისტაციის დაუშვებლობის თაობაზე, არამედ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დამოუკიდებელი ექსპერტიზის დისკრეციული უფლებამოსილებების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე. საქპატენტი ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან მიიღოს ყველაზე მისაღები, დასაბუთებული გადაწყვეტილება. *(იხ. დანართი 1).*

### 2.2.2. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ პრაქტიკა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ პრაქტიკაში განცხადებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის საკითხი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიმართ განიხილებოდა შემდეგ სიტყვიერ ნიშნებთან დაკავშირებით: „წმინდა ანდრიას ჯვარი Cross of St. Andrea“, „SAINT GEORGE“, ,„Святой Грааль“, „GRAAL“, „გიორგი ლუქსი ქართული არაყი GEORGIAN VODKA GEORGE“, „Deus Softener for linen Adoucisseur pour la linge“, „გიორგობა Giorgoba Гиоргоба“, “GIORGOBA”,

„ბედია BEDIA ხარება“, “JESUS”, „ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI“ და სხვა. გარდა ამისა, უახლესი პრაქტიკა ეხება საბჭოთა სიმბოლიკისა და ჟღერადობის შემცველ ისეთ სიტყვიერ ნიშნებს, როგორებიცაა: „STALIN VODKA”, კომბინირებული ნიშანი „GENERALISSIMUS IOSIF”, „SOVIET“ და სხვ.

სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის არსობრივი ექსპერტიზის რამდენიმე დასკვნაში ზემოაღნიშნული ნიშნების რეგისტრაციაზე უარის შესახებ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (ზ) ქვეპუნქტიდან მითითებულია მხოლოდ „რელიგია“ (სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი „GRAAL“ (საიდ. №62512/03, კლასები: 14, 18, 35), „GIORGOBA“ (საიდ. №67550/03; რეგ. №24792, კლასი 33), „ნოეს კიდობანი НОЕВ КОВЧЕГ“ (საიდ. №79337/3, კლასები: 14, 29-31,39), „Святой Грааль“ (საიდ. №61466/03, კლასები: 32,35); ან მითითებულია „რელიგია და ტრადიციები“ („წმინდა ანდრიას ჯვარი Cross of St. Andrea“ (საიდ. №65154/03, კლასი 41); აღნიშნულია, ასევე, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია „არ შეესაბამება „რელიგიასა და ზნეობრივ ნორმებს“ („Deus Softener for linen Adoucisseur pour la linge“ (საიდ. №73721/03, კლასი 3). სხვა შემთხვევებში მითითებულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ყველა საფუძველი, როდესაც ექსპერტმა ჩათვალა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.“ („გიორგი ლუქსი ქართული არაყი GEORGIAN VODKA GEORGE“ (საიდ. №43466/03, კლასი 33); „გიორგობა“, “Giorgoba”, “Гиоргоба“ (საიდ. №60609/03, კლასი 33); „Saint George” (საიდ. №31174/03, კლასი 33); „GLS ბედია BEDIA“ (საიდ. №34957/03, რეგ. №17730, კლასები: 29, 30, 32, 43); „ხარება“ (საიდ. №32954/03, კლასი 33); „JESUS” (საიდ. №24733/03, კლასები: 3,9,14,16,18,24,28)). განცხადებულ სასაქონლო ნიშანთან „SAINT GEORGE“ დაკავშირებით (საიდ. №22367/03, კლასი 34) სააპელაციო პალატის განმარტებით, „წმინდა გიორგის“ სახელის გამოყენება სასაქონლო ნიშნად, მით უფრო, ისეთი საქონლისთვის, როგორიცაა თამბაქოს ნაწარმი, არ შეესაბამება „საქართველოს ტრადიციებსა და შეურაცხყოფს ეროვნულ ღირსებას“.

აქედან გამომდინარე, ექსპერტიზისას „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“

ქვეპუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით შეფასებული სასაქონლო ნიშნები, პირობითად, ორ კატეგორიად შეგვიძლია განვიხილოთ: საქპატენტის პრაქტიკა, რომელიც ეხება რელიგიურ ტერმინოლოგიასა და სიმბოლიკას და საქპატენტის პრაქტიკა ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგიის და სიმბოლიკის თაობაზე.

საქპატენტის პრაქტიკის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით დადგენილი უარის თქმის საფუძვლის გამოყენებისას უნდა შეფასდეს რამდენიმე ფაქტორი:

1. **არის თუ არა სასაქონლო ნიშანში აღნიშნული ტერმინი ან სიმბოლო რელიგიური დატვირთვის მქონე და რომელ რელიგიას მიეკუთვნება იგი?** განცხადებული სასაქონლო ნიშნის „წმინდა ანდრიას ჯვარი Cross of St. Andrea" (საიდ. №65154/03, კლასი 41) რეგისტრაციის განხილვის შემდეგ, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ „წმინდა ანდრიას ჯვარი წარმოადგენს მართლმადიდებლური რელიგიის კუთვნილებას და მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ეწინააღმდეგება რელიგიასა და ტრადიციებს."

2. ნიშნის რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას **მნიშვნელოვანია, ასევე, განცხადებულ ნიშანში გამოყენებული სიტყვის თარგმანი ქართულ ენაზე და მისი სემანტიკური მნიშვნელობა.** ქვემოთ მოცემულია ამონარიდი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან:
   - „Святой Грааль" (საიდ. №61466/03; კლასები: 32, 35) – „წარმოდგენილი ნიშანი ქართულად ითარგმნება, როგორც „წმინდა გრაალი" და მისი სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირება შეურაცხყოფს რელიგიას".
   - „ნიშანი „GRAAL" ასოცირდება „წმინდა გრაალთან" და მისი სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირება შეურაცხყოფს რელიგიას" ("GRAAL" (საიდ. №62512/03, კლასები: 14, 18, 35)).
   - „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანში გამოყენებული სიტყვა „Deus" ლათინურიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან და სხვა ენებიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ღმერთი" (Lingvo 12) და არ შეიძლება იყოს ერთი პირის კუთვნილება. აქედან გამომდინარე, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება რელიგიასა და ზნეობრივ ნორმებს" („Deus Softener for linen Adoucisseur pour la linge" (საიდ. №73721/03, კლასი 3)).

- „მართალია, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ასოებით, მასში გამოყენებული ორი ინგლისურენოვანი სიტყვა აღნიშნავს „წმინდა გიორგის“ და ეს სრულიად აშკარა იქნება ინგლისური ენის არმცოდნე ქართველი მომხმარებლისთვისაც („SAINT GEORGE” (საიდ. №22367/03, კლასი 34)).
- „სიტყვა „GIORGOBA” ქართულად იკითხება, როგორც „გიორგობა“. „გიორგობა“ არის ქრისტიანული წმინდანის გიორგი კაბადოკიელის სახელობის დღესასწაული (“GIORGOBA” (საიდ. №67550/03, კლასი 33)).

3. **განცხადებულ სასაქონლო ნიშანში მითითებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ მომხმარებელთა აღქმა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეფასდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიის შესაბამისად, რაც, ექსპერტის შეფასებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს ნიშნის რეგისტრაციაზე ნაწილობრივად უარის თქმის საფუძველს.** მაგალითად:
    - „ნოეს კიდობანი, ლეგენდის თანახმად, წარმოადგენს ხომალდს, რომელიც ღმერთის ნებით ააგო ნოემ, კაცთა მოდგმის გადასარჩენად. აღნიშნული ნაგებობა კი, ქართველი მომხმარებლისთვის ცნობილია, როგორც „ნოეს კიდობანი“ და ასოცირდება სარწმუნოებასთან, სიწმინდესთან, რელიგიასთან. სარწმუნოებიდან გამომდინარე კი, თამბაქოს (სიგარეტის) მოწევა, წარმოადგენს ცოდვას და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის „Ноев ковчег“ რეგისტრაცია 34-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ეწინააღმდეგება და შეურაცხყოფს რელიგიას.“ („Ноев Ковчег“ (საიდ. №79337/3, კლასები: 14, 29-31, 39).
    - „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის „Ноев ковчег“ რეგისტრაცია 34-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, კონკრეტულად კი თამბაქო; მწეველთა საკუთვნო; ასანთი; სიგარეტები, პაპიროსები; არასამედიცინო დანიშნულების თამბაქოს შემცვლელების შემცველი სიგარეტები; ელექტრონული სიგარეტები; სიგარილოები; სიგარები; საღეჭი თამბაქო; ბურნუთი; სათუთუნეები; მოსაწევი ბალახები; ყუთები სიგარებისათვის; ყუთები სიგარეტებისათვის, პაპიროსებისათვის;

კოლოფები სიგარების დამატენიანებლით; სიგარის ბოლოს წასაკვეთი მანქანები; მუნდშტუკები სიგარებისათვის; მუნდშტუკები სიგარეტებისათვის; საფერფლეები; ჩიბუხები; სიგარეტის, პაპიროსის გასახვევი ჯიბის მოწყობილობები" ეწინააღმდეგება და შეურაცხყოფს რელიგიას. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის „გ" პუნქტის და თანახმად, წარმოადგენს ნიშნის რეგისტრაციაზე ნაწილობრივად უარის თქმის საფუძველს, კერძოდ კი 32-ე და 34-ე კლასების საქონლის მთლიანი ჩამონათვალის მიმართ. ხოლო მე-14, 29-ე, 30-ე და 39-ე საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ არ არსებობს "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომლისთვისაც ნიშანი რეგისტრირდება: 14, 29, 30, 31, 39." („Ноев ковчег" (საიდ. №79337/3, კლასები: 14, 29-31,39)".

- „განცხადებული სასაქონლო ნიშანი ბარძიმი Bardzimi Бардзими ბარძიმი Bardzimi Бардзими" (საიდ. №71582/3 2014-04-14, 010(097), კლასი 33) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი წარმოადგენს განსაკუთრებული სახის წმინდა ჭურჭელს, რომელიც ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გამოიყენება ღვთისმსახურების დროს ზიარების რიტუალის შესასრულებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მისი გამოყენება სასმელებისთვის ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ რელიგიასა და ტრადიციებს. შესაბამისად, განცხადებულ ნიშანს „ბარძიმი Bardzimi Бардзими" უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე საქონლის სრული ჩამონათვალისთვის".
- „წმინდა გიორგი საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობის წმინდანია, რომელსაც ქართველები გამორჩეული პატივისცემით ეპყრობიან. აქედან გამომდინარე, მისი სახელის გამოყენება სასაქონლო ნიშნად, მით უფრო, ისეთი საქონლისათვის, როგორიცაა თამბაქოს ნაწარმი, არ შეესაბამება საქართველოს ტრადიციებსა და შეურაცხყოფს ეროვნულ ღირსებას." („SAINT GEORGE" (საიდ. №22367/03, კლასი 34)".
- „განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რაც მოიცავს

ალკოჰოლურ სასმელებს. აღნიშნულის შესაბამისად მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ეწინააღმდეგება რელიგიას ("GIORGOBA" (საიდ. №67550/03, კლასი 33). საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის" სააპელაციო პალატის განმარტებით (გადაწყვეტილება №1230313; 18.10.2013), „რაც შეეხება უშუალოდ სიტყვიერ აღნიშვნას „გიორგობა", განცხადებული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს 33-ე კლასის შეზღუდული საქონლის ჩამონათვალის „ღვინის" მიმართ და არა სრული ჩამონათვალის „ალკოჰოლური სასმელები"-ს მიმართ. კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშნის 33-ე კლასის შეზღუდული ჩამონათვალის „ღვინო" მიმართ რეგისტრაციის შემთხვევაში, განცხადებული ნიშანი არ უნდა იქნეს მიჩნეული რელიგიის შეურაცხმყოფელ სასაქონლო ნიშნად." ("GIORGOBA" (საიდ. №67550/03, კლასი 33) გადაწყვეტილება №1230313; 18.10.2013)".

4. როგორც აღინიშნა, მართლმადიდებლური ქრისტიანული ტერმინებისა და სიმბოლიკის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციისას, საქპატენტი ითვალისწინებს საქართველოს საპატრიარქოს პოზიციას განცხადებულ ნიშანთან დაკავშირებით. **სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება, თუ საპატრიარქო (და სხვა ოფიციალური რელიგიური ორგანიზაცია) არ არის წინააღმდეგი, რომ ფიზიკური პირის განცხადებულ სასაქონლო ნიშანში გამოყენებული იყოს რელიგიური ტერმინი და ნიშანში შევიდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის გარეშე.** მაგალითად:
   - „კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემულ წერილზე, სადაც აღნიშნულია, რომ საპატრიარქო არ არის წინააღმდეგი, რომ ფიზიკური პირის განცხადებულ სასაქონლო ნიშანში გამოყენებულ იქნეს სიტყვიერი აღნიშვნა „გიორგობა" და იგი ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით. კოლეგია თვლის, რომ განცხადებული ნიშანი „GIORGOBA" უნდა დარეგისტრირდეს მთლიანობაში... 33-ე კლასის შეზღუდული საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ღვინო". აღნიშვნა „GIORGOBA"-ს არ მიენიჭოს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით." ("GIORGOBA" (საიდ. №67550/03; რეგ. №24792, კლასი 33).

5. **მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სასაქონლო ნიშანში გამო-**

**ყენებული სიტყვის შინაარსი, სემანტიკური მნიშვნელობა. შესაძლებელია, ტერმინი, გარდა სამონასტრო კომპლექსის სახელისა, წარმოადგენდეს გვარს, ასევე, დასახლებული პუნქტის სახელწოდებას.** ამდენად, აღნიშნული სიტყვის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია კონკრეტულ კლასში, გარკვეული საქონლის მიმართ, არ წარმოადგენს ეროვნული ღირსებების, რელიგიისა და ტრადიციების, ზნეობრივი ნორმების შეურაცხყოფას. მაგალითად:

- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის" სააპელაციო პალატის განმარტებით (გადაწყვეტილება №757; 11.12.2006), „კოლეგიამ გაითვალისწინა საქართველოს საპატრიარქოს დაზუსტებული პოზიცია სადავო ნიშნის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის დასაშვებობის შესახებ. ამასთან, კოლეგიამ მიიჩია, რომ სიტყვა „ბედია", გარდა სამონასტრო კომპლექსის სახელისა, წარმოადგენს გვარს, ასევე, დასახლებული პუნქტის სახელწოდებას. ამდენად, აღნიშნული სიტყვის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, ისეთი საქონლის მიმართ, როგორიც არის საკვები პროდუქტები, მინერალური სასმელები და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (გათვალისწინებული ნიცის კლასიფიკაციის 29-ე. 30-ე, 32-ე და 43-ე კლასებით), არ წარმოადგენს ეროვნული ღირსებების, რელიგიისა და ტრადიციების, ზნეობრივი ნორმების შეურაცხყოფას. აქედან გამომდინარე, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ზ" ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი." („GLS ბედია BEDIA" (რეგ. №34957/03, კლასები: 29, 30, 32,43).
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის" სახელმწიფო ექსპერტიზის გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ეყრდნობა საპატრიარქოს ნებართვას სასაქონლო ნიშანში ზოგიერთი აღნიშვნის გამოყენების თაობაზე: „საქართველოს საპატრიარქო ნებას რთავს კომპანია „შპს მეღვინეობა ხარებას" საქპატენტში დაარეგისტრიროს სასაქონლო ნიშანი „ხარება" ნიცის კლასიფიკატორის 1-დან 45-მდე კლასის ჩათვლით (N103; 29.10.2014).
- „სიტყვა „ხარება"-ს, ამ შემთხვევაში, არ აქვს რელიგიური დანიშ-

ნულება და იგი წარმოადგენს საკუთარ სახელს. შესაბამისად, არ არსებობს სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის გამოყენების აუცილებლობა." („ხარება Khareba Хареба" საიდ. №75483/3, კლასი 1–34).

6. **განცხადებული სასაქონლო ნიშნის შინაარსის, სემანტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესასრულებლად განკუთვნილი სიტყვის მონოპოლიზება და რეგისტრაციით განსაკუთრებული უფლების წარმოშობა პირდაპირ წარმოშობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული სასაქონლო ნიშანზე რეგისტრაციის უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს.** ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი გადაწყვეტილება:
   - „განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან სიტყვა „ტაძარი" წარმოადგენს (ლათ. TADZARI, კირილიცა ТАДЗАРИ) საკულტო ნაგებობას ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესასრულებლად. ტაძრის სახე და მისი განვითარების ისტორია განპირობებულია არა მარტო საკულტო მოთხოვნილებებით, არამედ სხვადასხვა ხალხისა და ქვეყნის არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის განვითარების დონით და, შესაბამისად, ატარებს მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ ხასიათს. აღნიშნული გარემოება კი წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ერთი სუბიექტის მიერ სიტყვა „ტაძრის" მონოპოლიზება და მასზე რეგისტრაციით განსაკუთრებული უფლების წარმოშობა პირდაპირ წარმოშობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სასაქონლო ნიშანზე რეგისტრაციის უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს, კერძოდ კი სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: „ზ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს". ზემოაღნიშნული გარემოებების შესაბამისად, სასაქონლო ნიშანს „ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI" უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე." („ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI" (საიდ. №81888/3, კლასი 33))".
   - „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანში გამოყენებული სიტყვა „Deus" ლათინურიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან და

სხვა ენებიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ღმერთი" (Lingvo 12) და არ შეიძლება იყოს ერთი პირის კუთვნილება. აქედან გამომდინარე, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება რელიგიასა და ზნეობრივ ნორმებს." („Deus Softener for linen Adoucisseur pour la linge" (საიდ. №73721/03, კლასი 3).

საქპატენტში „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ" მე-4 (1) (ზ) საფუძვლით უარის თქმის ერთგვაროვანი პრაქტიკის განსაზღვრის აუცილებლობაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტები: ნიშანი „ნოეს კიდობანი" (26641/03; რეგ. №15433, კლასი 33) დარეგისტრირდა 33-ე კლასში შემავალი საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ, მაშინ, როდესაც ნიშანი „გიორგობა"-ს შემთხვევაში 33-ე კლასი შეიზღუდა და ნიშნის რეგისტრაცია განხორციელდა მხოლოდ „ღვინის" მიმართ. სხვა შემთხვევაში სიტყვიერი ნიშანი „ნოეს კიდობანი" შეზღუდული საქონლის ჩამონათვალის მიმართ დარეგისტრირდა და უარი ეთქვა რეგისტრაციაზე განცხადებული 34-ე კლასის მიმართ. ეს მაგალითები მოწმობს საქპატენტში ექსპერტიზისას საქმიანობაში ერთგვაროვანი პრაქტიკის, ევროკავშირში მოქმედი სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით შესაბამისი პრინციპებისა და სტანდარტების განსაზღვრისა და „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის გამოყენებისას სახელმძღვანელო პრინციპების დადგენის აუცილებლობაზე.

*(იხ. დანართი 2 და 4)*

## 2.3. ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგია და სიმბოლიკა

ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებულ, მათ შორის, საბჭოთა კომუნისტური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის შემცველი ნიშნების შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლათინური ან სხვა ანბანით შესრულებული ნიშნის მნიშვნელობა, რაც უნდა განიხილებოდეს ქართული სემანტიკით. განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ მარტივად შეიძლება იყოს აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სიმბოლო, რაც გამოიწვევს ასოციაციას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან (შემოკლებით: სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი). საქპატენტი ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი საჯარო წესრიგის განმსაზღვრელ ერთ-

ერთ ნორმატიულ აქტს – „თავისუფლების ქარტიას“, როგორც მტკიცებულებას, რომ კონკრეტული სიმბოლიკა ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის განმარტების თანახმად, (გადაწყვეტილება №10-03/16; 01.03.2016) ტოტალიტარულ რეჟიმთან ასოცირებული შინაარსის მქონე ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება სამართლებრივად განმტკიცებულ ზნეობრივ ნორმებს, მათ შორის, ზნეობის აღიარებულ პრინციპებს (ეროვნული ღირსება). კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგიასა და სიმბოლიკასთან დაკავშირებით დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით: „თუ ნიშანი სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს ისეთ გამოსახულებით ელემენტს, რომელიც, ასევე, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სიმბოლიკას, ამგვარი კომბინაცია ქმნის ასოციაციას საბჭოთა კავშირთან. საქართველოს კანონმდებლობიდან და საჯარო წესრიგიდან გამომდინარე, დაუშვებელია ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელშიც გამოყენებულია კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკა. „რაც შეეხება საქართველოს კანონს „თავისუფლების ქარტია“, აღნიშნული კანონი გამოიყენება არა მისი ნორმატიული შინაარსის მიხედვით, არამედ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის განმარტებისათვის და იმის შესაფასებლად, რომ განცხადებული სიმბოლო ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებსა და საჯარო წესრიგს.“ (საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება №10-03/16; 01.03.2016).

გარკვეულ შემთხვევებში, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ტოტალიტარული რეჟიმის სიმბოლიკის შემცველი ნიშანი შეიძლება „მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნის მსგავსი აღმოჩნდეს: მაგალითად, საქპატენტში რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი „STALINSKAYA“ (საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი: IR692450, თარიღი: 1998-01-13, საქართველოზე გავრცელების თარიღი: 2000-11-29). აღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ შესაძლებელია არსებობდეს „მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოზე გავრცელებული, ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის შემცველი სასაქონლო ნიშანი, რომელიც დარეგისტრირდა „თავისუფლების ქარტიის“ ძალაში

შესვლამდე (2011 წლის 22 ივნისამდე)[52] და ეს იწვევდეს არსებულ და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშნებს შორის აღრევისა და, შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკს, რაც განცხადებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის დამატებით საფუძველს წარმოადგენს. ტოტალიტარული სიმბოლიკის შემცველი ზოგიერთი ნიშანი დარეგისტრირდა მაშინ, როდესაც საქართველოში არ არსებობდა კონკრეტული ნორმატიული საფუძველი, რაც გაამყარებდა ექსპერტის მოსაზრებას, რომ განცხადებული ნიშანი უარყოფითად აღიქმებოდა საზოგადოების მიერ და ეწინააღმდეგებოდა ზნეობრივ ნორმებს. შესაბამისად, ეს ნიშნები ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშანს წარმოადგენს, რომლის მფლობელიც სარგებლობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული უფლებებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავს შემთხვევაში ზოგიერთი ადრე რეგისტრირებული ნიშანი, მათ შორის, საერთაშორისო რეგისტრაციის წესით, „მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშანი, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგიასა და სიმბოლიკას შეიცავს, სარგებლობს უპირატესი მოპყრობით და რეგისტრირებულია, ვინაიდან მისი რეგისტრაციის დროისთვის არ არსებობდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის განმარტების სამართლებრივი საფუძველი – ამჟამად მოქმედი კანონის „თავისუფლების ქარტიის“ მიერ დადგენილი საჯარო წესრიგი. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 28-ე მუხლი დაინტერესებულ პირებს ანიჭებს უფლებას, ბათილად სცნონ ზემოაღნიშნული ნიშნების რეგისტრაცია; სასაქონლო ნიშანს ბათილად სცნობს სასამართლო თუ დადგინდება, რომ ნიშანი რეგისტრირებულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დარღვევით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა ამ სახის სასაქონლო ნიშნების მიმართ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ექსპერტიზის დასკვნა საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარის შესახებ („СЕРП И МОЛОТ“, საიდ. №83845/3, 20.06.2016) ყურადღებას ამახვილებს წარმოდგენილი ნიშნის ქართულ თარგმანზე, რომელიც განასახიერებს კომუნისტური პარტიისა და მასთან ერთად სსრკ სახელმწიფო სიმბოლიკის მთავარ, განუყოფელ ნაწილს. ექსპერტმა

[52] „თავისუფლების ქარტია“ მიღებულია 2011 წლის 31 მაისს, ძალაში შევიდა 2011 წლის 22 ივნისს; კანონის მე-15 მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მისია მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლი – 2012 წლის 1 იანვრიდან.

აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. დასკვნაში მითითებულია საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტიის“ პირველი მუხლი, რომელიც განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა". ექსპერტის შეფასებით, „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისთვის, რათა არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს." შესაბამისად, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზის დროს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შინაარსის (სიტყვები „ეროვნული ღირსება და ზნეობრივი ნორმები“) განმარტებისათვის გამოყენებულია კანონის „თავისუფლების ქარტიის“ მიერ დადგენილი საჯარო წესრიგი, რომლის მიზანი ემსახურება ეროვნული ღირსებისა და ზნეობრივი ნორმების დაცვას.

საქპატენტში რეგისტრაციისთვის განცხადებული იყო ნიშანი გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტებით „СТАЛИН წინანდალი цинандали ქართული ღვინო“. ექსპერტის დასკვნის თანახმად, „ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ელემენტს „СТАЛИН“, ასევე, მამაკაცის გამოსახულებას, რომელიც მომხმარებლის მიერ მარტივად იქნება აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იოსებ სტალინის გამოსახულება. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების

აკრძალვა”. ამგვარი სიმბოლიკის შემცველი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და მასზე სამართლებრივი დაცვის გავრცელება ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ მართლწესრიგს – ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს), რაც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს.“ (27.03.2017).

*(იხ. დანართი 3)*

# 3. სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზისას სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები EUIPO-ს სახელმძღვანელოს მიხედვით – სასაქონლო ნიშნები, რომელთა რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს („სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის 4(1)(ზ))

## 3.1. ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია დაუშვებელია, თუ საქპატენტი მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიას, ტრადიციებსა და ზნეობრივ ნორმებს. მნიშვნელოვანია, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განხილვისას სწორად შეფასდეს, რამდენად ეწინააღმდეგება ან შეურაცხყოფს ნიშნის რეგისტრაცია ზნეობრივ ნორმებს. გამოხატვის თავისუფლება იცავს ისეთ იდეებს, ინფორმაციას, რაც გამოხატულია რაიმე ფორმით, მათ შორის, ისეთ ტერმინებსა და სიმბოლოებსაც, „რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია ან აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.“[53] სასაქონლო ნიშანი, როგორც სიტყვიერი ნაწილი, ასევე, გრაფიკული გამოსახულება, რომელიც გამოხატავს რაიმე იდეას და ინტელექტუალური, კომერციული შემოქმედების გარკვეულ ფორმას წარმოადგენს, ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიებით დაცული ობიექტია, რომელიც შეიძლება, თუმცა, სავალდებულო არაა, შეიზღუდოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მათ შორის მაშინ, თუ არის უხამსი. ძირითადი კანონით დაცული ობიექტის „შეზღუდვაში“ იგულისხმება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ნიშნავს,

[53] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/421,422 (10.11.2009) საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ყიფიანი გ. და უნგიაძე ა. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ნაწილი II, პარაგ. 7, გვ. 16-17

რომ ნიშანზე არ გავრცელდება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სამართლებრივი დაცვა და განსაკუთრებული უფლებები, თუმცა, სასაქონლო ნიშანი, როგორც საკუთრება და რაიმე იდეის გამოხატულება, რეგისტრაციის გარეშეც შეიძლება თავისუფლად გამოიყენებოდეს სავაჭრო ურთიერთობებში და სამეწარმეო საქმიანობაში.[54] შესაბამისად, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შინაარსი და ამ ნორმით დადგენილი შეზღუდვა პროპორციულია და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუ-ციითა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას (ასევე, საკუთრების ძირითად უფლებას, შემოქმედებით თავისუფლებასა და ინტელექტუალური საკუთრების კონსტიტუციურ გარანტიებს).

საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსის თანახმად, არ დაიშვება ისეთი სა-საქონლო ნიშნების რეგისტრაცია, რომლებზეც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული უფლების მინიჭება ეწინააღმდეგება კანონმდებლობით განმტკიცებულ (საჯარო წესრიგს) ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (მორალის აღიარებულ პრინციპებს).

სახელმწიფო არ უშვებს ისეთი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას, როდესაც მონოპოლიური უფლების მინიჭება ეწინააღმდეგება სამართლებრივ წესრიგს ან, შესაბამისი საზოგადოების აღქმით, უშუალოდ უპირისპირდება საზოგადოებაში მოქმედ არსებით ზნეობრივ ნორმებს. EUTMR რეგულაციის მე-7(1)(f) მუხლი, ასევე, „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4(1)(ზ) მუხლი ასახავს პარიზის კონვენციის მე-6$^{quinquies}$ (B(3)) მუხლს,[55] რომელიც განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმისა და რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლებს, როდესაც ნიშანი „ეწინააღმდეგება მორალს და საზოგადოებრივ [საჯარო] წესრიგს“.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4(1)(ზ) მუხლისა და, ანალოგიურად, EUTMR რეგულაციის მე-7(1)(f) მუხლის შინაარსი ძალიან ფართოა და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს

54 გადაწყვეტილება T-417/10 (09.03.2012), „¡Que buenu ye! Hijoputa“ პარაგ. 26

55 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენცია (შესწორებულია 1967 წლის 14 ივლისის სტოკჰოლმის აქტით), მუხლი 6$^{quinquies}$ *ნიშნები*: კავშირის ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული ნიშნების დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში.

კანონის მე-4(1)(ზ) მუხლის გონივრული გამოყენებისთვის აუცილებელია, დაბალანსდეს, ერთი მხრივ, სავაჭრო ურთიერთობაში ჩართულ პირთა უფლება, თავისუფლად გამოიყენონ სხვადასხვა სიტყვა თუ სიმბოლო, რაც მათ სურთ, დაარეგისტრირონ სასაქონლო ნიშნად; მეორე მხრივ, საზოგადოებას გააჩნია უფლება, არ შეხვდეს შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ, მუქარის შემცველ სასაქონლო ნიშნებს (გადაწყვეტილება R0495/2005-G (06.07.2006) – SCREW YOU, პარაგ. 14).[56]

ზემოაღნიშნული ნორმის დანიშნულებაა, არ დაუშვას ისეთი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, როდესაც მონოპოლიური უფლებების მინიჭება ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს ან საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც საზოგადოებაში მიღებული, ძირითადი ზნეობრივი ნორმების დარღვევა. სხვა სიტყვებით, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული უწყება ხელს არ უნდა უწყობდეს პირებს, რომელთაც სურთ საკუთარი სამეწარმეო მიზნების მიღწევა იმგვარი სასაქონლო ნიშნებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ცივილიზებული საზოგადოების გარკვეულ ფუძემდებლურ ღირებულებებს (გადაწყვეტილება R0495/2005-G (06.07.2006) – SCREW YOU, პარაგ. 13).[57]

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით,[58] სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ წესრიგს [public policy] ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ პრინციპებს, რაშიც მოიაზრება ეროვნული ღირსებები, რელიგია, ტრადიციები [morality]. ექსპერტიზამ ან სასამართლომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უნდა შეაფასოს ზნეობრივი ნორმების ორი კატეგორიის მიმართ: (1) სასაქონლო ნიშანი ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს); (2) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ პრინციპებს (მორალის აღარებულ პრინციპებს).

---

56 EUIPO სააპელაციო პალატის 2006 წლის გადაწყვეტილებების წლიური მიმოხილვა (BOARDS OF APPEAL DOCUMENTATION AND SUPPORT SERVICE Yearly overview of decisions 2006), გვ.18-19 http://euipo.europa.eu/en/office/diff/pdf/BOA_COMPILATION_2006.pdf

57 იქვე

58 ანალოგიურად, EUIPO-ს ექსპერტიზისთვის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების შესახებ რეგულაციის [EUTMR] მე-7 (1) (ვ [f]) თანახმად COUNCIL REGULATION (EC) №207/2009 of 26 February 2009 on the Community trade mark

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნების მიხედვით, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების ეკონომიკური ნაწილის ძირითად ბირთვს წარმოადგენს, საქართველომ უნდა დანერგოს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემა, რომლის ფარგლებშიც სასაქონლო ნიშნების შესაბამისი უწყების მიერ მიღებული ყოველი საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და წერილობით უნდა ეცნობოს განმცხადებელს. ქართულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო სამართალწარმოების პრაქტიკაში ცხადად უნდა მიუთითოს, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რომელი საფუძვლით განიხილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარი. იმისათვის, რომ განმცხადებელმა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, მისთვის ნათელი უნდა იყოს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კონკრეტული საფუძველი. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა ცხადად უნდა ხსნიდეს ყველა გარემოებას და ასაბუთებდეს, უარის მიზეზი განპირობებულია კანონმდებლობით დადგენილ ზნეობრივ ნორმებთან (საჯარო წესრიგთან) საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ პრინციპებთან (მორალის აღიარებულ პრინციპებთან, როგორიცაა ეროვნული ღირსება, რელიგია და ტრადიციები და სხვ.) შეუსაბამობით.

უნდა შეფასდეს საქართველოში შესაბამისი საზოგადოების მიერ ნიშნის აღქმა; ყურადღება უნდა მიექცეს განცხადებული ნიშნის სემანტიკურ მნიშვნელობას: თარგმანს და მის შინაარსს ქართულ ენაზე; „საჯარო წესრიგის“ და „მორალის აღიარებული პრინციპების“ კონცეფციები (მათ შორის, ეროვნული ღირსებები, რელიგია, ტრადიციები და ზნეობრივი ნორმები) უნდა განიმარტებოდეს არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყანაში, საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების მიხედვით, არამედ კონკრეტული ქვეყნისთვის – საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, რაც, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს საქართველოში შესაბამისი საზოგადოების მიერ ნიშნის აღქმაზე.[59]

[59] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს საერთო სასამართლოს (მეოთხე პალატის) 2011 წ. 20 სექტემბრის გადაწყვეტილება Couture Tech Ltd v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (OHIM). კავშირის სასაქონლო ნიშანი – კავშირის გამოსახულებით ნიშანზე, რომელიც განასახიერებს საბჭოთა გერბს – უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი – ეწინააღმდეგება თუ არა საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს – მუხლი 7(1)(f), რეგულაცია (EC) №207/2009. საქმე T-232/10

იმის დასადგენად, რომ ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ადამიანის ღირსებას ან საზოგადოებრივი ზნეობის აღიარებულ ნორმებს, მნიშვნელობა არა აქვს, არის თუ არა სასაქონლო ნიშნისთვის განცხადებული ესა თუ ის საქონელი ან მომსახურება კანონიერი.

განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვანია ნიშნის მახასიათებლები და არა ის გარემოებები, რაც უკავშირდება სასაქონლო ნიშნის განმცხადებელს.

ნიშნის ექსპერტიზისას შესაძლებელია, გათვალისწინებული იყოს როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პრაქტიკა, მაგრამ არა ნორმატიული შინაარსით, არამედ, როგორც ფაქტის მტკიცებულება, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს საზოგადოების აღქმა. შესაბამისად, თუ განცხადებული სასაქონლო ნიშანი უკანონო ან დაუშვებელია რომელიმე ქვეყანაში, ეს ფაქტი თავისთავად ვერ განაპირობებს უარის თქმას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად. საჯარო წესრიგის განმსაზღვრელ სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმას გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა საქართველოში ამ ნიშნის საზოგადოებრივი აღქმის შეფასებისას.[60]

### 3.2. კანონმდებლობით დადგენილი ზნეობრივი ნორმები (საჯარო წესრიგი)

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც „შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს“. საჯარო წესრიგი იგულისხმება ზემოაღნიშნულ მუხლში გამოყენებულ ცნებაში – „ზნეობრივი ნორმები“ და ნიშნავს კანონმდებლობით დადგენილ ნორმათა ერთიანობას, ხოლო „ეროვნული ღირსებები, ასევე, რელიგია და

[60] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს საერთო სასამართლოს (მეოთხე პალატის) 2011 წ. 20 სექტემბრის გადაწყვეტილება Couture Tech Ltd v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (OHIM). კავშირის სასაქონლო ნიშანი – კავშირის გამოსახულებით ნიშანზე, რომელიც განასახიერებს საბჭოთა გერბს – უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი – ეწინააღმდეგება თუ არა საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს – მუხლი 7(1)(f), რეგულაცია (EC) №207/2009. საქმე T-232/10.

ტრადიციები“ საქართველოში მორალურ-ზნეობრივ ნორმებად, ანუ საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ პრინციპებად უნდა განვიხილოთ. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ უნდა შეურაცხყოფდეს, ანუ არ უნდა მოქმედებდეს პირის სუბიექტურ განცდებზე ან, ობიექტური შეფასებით, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ წეს-ჩვეულებებს, ზნეობრივ ნორმებს – საჯარო წესრიგს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ ნიშანი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს (კანონმდებლობით დადგენილ საჯარო წესრიგს), ემყარება ობიექტურ კრიტერიუმს.

„საჯარო წესრიგი“ წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის და კანონის უზენაესობისთვის აუცილებელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას. „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4(1)(ზ) მუხლის ნორმატიულ შინაარსში განსაზღვრული „ზნეობრივი ნორმები“ (საჯარო წესრიგი) გულისხმობს კონკრეტულ სფეროში მოქმედ საქართველოს, ევროკავშირისა და საერთაშორისო კანონმდებლობას, ასევე, სამართლებრივ წესრიგსა და კანონის უზენაესობას, რაც დადგენილია საერთაშორისო შეთანხმებებით. გარდა ამისა, „ზნეობრივი ნორმების“ ნაწილია ევროკავშირის ე.წ. „მეორადი“ სამართალი [secondary EU legislation], მათ შორის, საქართველო ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება; საჯარო წესრიგი – კანონით დადგენილი ზნეობრივი ნორმების ერთიანობა – აგრეთვე, ასახავს ისეთ პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას უნდა ეთქვას უარი „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4(1)(ზ) მუხლის საფუძველზე, რადგან ნიშანი ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს) ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში (რაც არ არის ამომწურავი):

- **სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოსა და ევროკავშირის პოლიტიკურ და სოციალურ წესრიგთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებსა და ფუნდამენტურ ღირებულებებს, განსაკუთრებით ისეთ უნივერსალურ ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპები,** რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით და სხვ.

- **ნებისმიერი სასაქონლო ნიშნის განაცხადი შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხელს შეუწყობს ან სარგებელს მოუტანს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო აქტებით განსაზღვრულ პირებსა თუ ჯგუფებს, შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე გამოტანილი იქნება უარყოფითი გადაწყვეტილება** საქართველოს კანონის მე-4(1)(ზ) მუხლის საფუძველზე, რადგან ნიშანი **ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს):** მაგალითად, სასაქონლო ნიშნის განაცხადი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, თუ შეიცავს ევროკავშირის ერთიანი მიდგომით [Common Position] 2001/931/CFSP დადგენილ, ტერორიზმის დამარცხებისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში განსაზღვრული პირების, ჯგუფებისა და გაერთიანებების დასახელებას (ან მათ ელემენტებს), რომლებიც ხელს უწყობენ, ახორციელებენ ან ცდილობენ, განახორციელონ ტერორისტული აქტები საქართველოს ან ევროკავშირის ტერიტორიაზე.
  საქპატენტში სასაქონლო ნიშანს რეგისტაციაზე უნდა ეთქვას უარი, თუ იგი შეიცავს იმ პირების, ჯგუფებისა და გაერთიანების დასახელებებს (ან მათ ელემენტებს), რომლებიც განსაზღვრულია საქართველოში ტერორიზმში მხილებულ ფიზიკურ, და იურიდიულ პირთა, გაერთიანებათა და დაჯგუფებათა პერიოდულად განახლებად ჩამონათვალში. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" ექსპერტების, სააპელაციო პალატის წევრების, სასამართლოს, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ შესაბამისი ინფორმაცია შესაძლებელია, გა-დამოწმდეს ევროკავშირსა და საქართველოში, ტერორიზმში მხილებულ პირთა პერიოდულად განახლებად ჩამონათვალში. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ანუ კანონით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს, თუ შეიცავს საქართველოში, ასევე, ევროკავშირში ტერორიზმში მხილებულ პირთა (პერიოდულად განახლებად) სიაში და აქტებში მითითებული პირების, ჯგუფებისა და გაერთიანების სახელწოდებებს.[61]

[61] საქართველოში ტერორიზმში მხილებულთა სრული სია https://www.fms.gov.ge/geo/page/45; Council Implementing Regulation (EU) 2017/1420 of 4 August 2017 implementing Article 2(3) of Regulation (EC) No 2580/2001 on specific restrictive measures directed against certain persons and entities with a view to combating terrorism, and repealing Implementing Regulation (EU) 2017/150 OJ L 204, 5.8.2017, p. 3–6 ELI: http://data.europa.eu/eli/reg_impl/2017/1420/oj

- **ნებისმიერი სახის ორგანიზებული დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინისა თუ სიმბოლოს შემცველი სასაქონლო ნიშანი:** მაგალითად, განცხადებული ნიშანი La Mafia se sienta a la mesa”-ს შემთხვევაში ექსპერტმა უნდა შეაფასოს განცხადებული ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა (სემანტიკური მნიშვნელობა: „მაფია შენს სუფრასთან“) და გაითვალისწინოს, რომ მაფიის ტიპის ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს ცხად და აქტუალურ საფრთხეს ქვეყნის დემოკრატიული, სოციალური და პოლიტიკური წესრიგისთვის. სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზა უნდა მოხდეს ამ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სემანტიკური შინაარსი არბილებს კრიმინალური ორგანიზაციიდან მომდინარე საფრთხეს, როდესაც მაფიას აცხადებს „თანამესუფრედ“ („La Mafia se sienta a la mesa”), რაც, მომხმარებლის აღქმით, შეურაცხმყოფელია, ასევე, ეწინააღმდეგება კანონმდებლობით განსაზღვრულ ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს).
- **ეროვნული კანონმდებლობით (ასევე, ევროკავშირის მასშტაბით) აკრძალული ნივთიერების აღმნიშვნელი ტერმინის და/ან სიმბოლოს შემცველი ნიშნის რეგისტრაცია გარკვეული კლასების მიმართ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს (ზნეობრივ ნორმებს)**. მაგალითად, EUIPO-ს სააპელაციო პალატის პირველმა კოლეგიამ განიხილა განცხადებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევა 31-ე და 34-ე კლასის მიმართ და დაადგინა, რომ სიტყვები "KRITIKAL BILBO" აღნიშნავს მცენარე „კანაფის“ ნაირსახეობას, რომელსაც, ასევე, ეწოდება „მარიხუანა“. ზემოაღნიშნული მცენარე, მასში ტეტრაჰიდროკანაბინოლის (THC/ტჰკ) მაღალი, კერძოდ, 21.47% შემცველობის გამო, გამოიყენება ნივთიერება „მარიხუანას“ დასამზადებლად (R1881/2015-1 Appeal 27.10.2016 EUTM 013523865, შემდგომში: „KB KRITIKAL BILBO“ პარაგ. 19). მცენარე კანაფის აქტიური შემადგენელი ნივთიერების – ტეტრაჰიდროკანაბინოლის (THC/ტჰკ) შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0.2% (ევროკავშირის (EC) რეგულაცია №1251/1999 (17.05.1999), მუხლი 5a (KB KRITIKAL BILBO პარაგ. 27). სასაქონლო ნიშანი განცხადებული იყო საქონლის ჩამონათვლის მიმართ, რომელიც მოიცავს თესლსა და მცენარეებს, რაც გამოიყენება მარიხუანას ან მის მოსაწევად

განკუთვნილი საგნების დასამზადებლად (KB KRITIKAL BILBO პარაგ. 6). მარიხუანას, როგორც კანაფისგან დამზადებული პროდუქტის მოწევა იწვევს ეიფორიულ და ნარკოტიკულ ეფექტს. THC/ტჰკ მაღალი დოზა, რომელიც კანაფის აქტიური ინგრედიენტია, შესაბამის პირებში, იწვევს ინტოქსიკაციას. როგორც ნარკოტიკი, ის მოხსენებულია ნარკოტიკებთან დაკავშირებით გაერო-ს საერთაშორისო კონვენციებით გან-საზღვრულ ყველაზე საშიშ ნივთიერებათა შორის (გაერო-ს 1961 წლის „ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ“ (1972 წლის შესწორებებით). აქედან გამომდინარე, ტკჰ-ს მაღალი შემცველობის კანაფი ითვლება ნარკოტიკად, რომელიც აკრძალულია ევროკავშირის უმეტეს წევრ ქვეყანაში (19.11.2009, ECJ: T-234/06 DEP – Torresan v OHMI – Klos-terbrauerei Weissenohe (CANNABIS) EU:T:2009:448 https://euipo.europa.eu/eSearch/#details/trademarks/001073949). ზოგიერთი ნივთიერება, რომელსაც არ გააჩნია ფსიქოაქტიური ზემოქმედება, არ არის აკრძალული და უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გასცეს ლიცენზია მისი სამედიცინო მიზნებით გამოყენებაზე. თუმცა, მასში ტკჰ-ს მაღალი შემცველობის გამო შესაბამისი საქონელი წარმოადგენს ფსიქო-აქტიურ, მოსაწევად განკუთვნილ ნივთიერებას, რაც მკაცრად კონტროლდება ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაში (KB KRITIKAL BILBO პარაგ. 22), მათ შორის, საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართ-ლოს გადაწყვეტილების შედეგად („საქართველოს მოქა-ლაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 30.11.2017) საქართველოში არაკონსტიტუციურად იქნა ცნო-ბილი სისხლისსამართლებრივი დევნა და სასჯელი ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვის გამო, აგრეთვე, ექიმის დანიშნულების გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მარიხუანის მოხმარების აკრძალვა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისკენ გადადგმულ ნაბიჯს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გან-ხილვისას აღსანიშნავია, რომ „მარიხუანას“ აღმნიშვნელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (კანონმდებლობით და საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს). ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის (ასევე, საქართველოს) კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი

სიმძიმის სამართალდარღვევად განიხილავს კანაფის კულტივირებას, ფლობას, გასაღებასა და მოხმარებას“ (EUIPO-ს სააპელაციო პალატის პირველი კოლეგიის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება R1881/2015, პარაგ. 22). ყოველივე ამის საფუძველზე EUIPO-ს შეფასებით, აკრძალული ნივთიერების აღმნიშვნელი ტერმინის რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს). EUIPO-ს პოზიციის თანახმად, ვინაიდან მარიხუანას არადანიშნულებისამებრ მოხმარებას შეუძლია პირს მიაყენოს სერიოზული ზიანი და იწვევს ეკონომიკურ და სოციალურ საფრთხეებს ფართო საზოგადოებისთვის, განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელიც აღნიშნავს მარიხუანას სრულიად ეწინააღმდეგება ეთიკურ და ზნეობრივ პრინციპებს, რაც აღიარებულია არა მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, არამედ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში (KB KRITIKAL BILBO პარაგ. 28).

მაღალი ტკჰ-ს შემცველი „კანაფის“ ნაირსახეობის აღმნიშვნელი სასაქონლო ნიშნისთვის სამართლებრივი დაცვისა და განსაკუთრებული უფლებების მინიჭება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოყენების მიზნით, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ ნორმებს, ვინაიდან ევროკავშირის ქვეყნებში უკანონოდ ითვლება “KRITIKAL BILBO”-ს სახელწოდებით ცნობილი მცენარისაგან დამზადებული თესლის, მცენარეების, ფხვიერი ნივთიერების, სიგარების, სიგარეტებისა და თამბაქოს ფლობა, გაყიდვა, გავრცელება და კულტივირება, მაღალი ტკჰ-ს შემცველი კანაფის ნაირსახეობის აღმნიშვნელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და მისთვის სამართლებრივი დაცვისა და განსაკუთრებული უფლებების მინიჭება ევროკავშირის ტერიტორიაზე ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოყენების მიზნით ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ ნორმებს. შესაბამისად, დაუშვებელია იმ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომლის საქონლის ჩამონათვალი შეიცავს მარიხუანას მოსაწევად განკუთვნილ საგნებს (KRITIKAL BILBO, პარაგრ. 29).

ზემოაღნიშნული ნიშანი არ დარეგისტრირდა 31-ე და 34-ე კლასების მიმართ EUTMR ორი საფუძვლით: წარმოდგენილი ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგსა და

მორალს [7(1)(f)] და იყო აღწერილობითი შესაბამისი საქონლის მიმართ [7(1)(c)]; აღსანიშნავია, რომ შესაბამისი საკანონმდებლო და ზნეობრივი მოსაზრებების გათვალისწინებით, ნიშანი დარეგისტრირდა 20.06.2017 (ნიცის კლასიფიკაციით) მე-5 კლასში შემავალი საქონლისთვის (მათ შორის, ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების პრეპარატები; ხელოვნური ჩაი [სამედიცინო მიზნებისთვის] და სხვ. (R1881/2015-1Appeal 27/10/2016 EUTM 013523865 KB KRITIKAL BILBO (fig.)).

### 3.2.1. ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგია და სიმბოლიკა

როდესაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანში გამოყენებულია ტოტალიტარული რეჟიმის (კომუნისტური, ფაშისტური) ტერმინოლოგია და სიმბოლიკა, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის სახელმძღვანელოს თანახმად, საქართველოში მოქმედი კანონი „თავისუფლების ქარტია" გამოიყენება არა მისი ნორმატიული შინაარსის მიხედვით, არამედ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მუხლის 4(1)(ზ) განმარტებისთვის, მომხმარებელთა მიერ ნიშნის ნეგატიური აღქმისა და იმის შესაფასებლად, რომ განცხადებული სიმბოლო ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს – საჯარო წესრიგს. საქართველოს კანონი „თავისუფლების ქარტია" ადგენს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის აღმოფხვრას, აგრეთვე, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვას (მუხლი 1). ამ კანონის თანახმად, კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკა ისეთი სიმბოლიკაა, რომელიც დაკავშირებულია კომუნისტურ ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან და გამოხატავს კომუნისტურ ტოტალიტარულ რეჟიმს (მუხლი 2(ვ)), ხოლო კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგია — ისეთი იდეოლოგია, რომელიც ხასიათდებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევით, მასობრივი ფიზიკური ტერორის სხვადასხვა ფორმით, ინდივიდუალური და მასობრივი მკვლელობებითა და განადგურებით, საკონცენტრაციო ბანაკებში სიკვდილით დასჯით, შიმშილობითა და დეპორტაციით, წამებითა და მონური შრომით, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დევნით,

სინდისის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით და სხვა (მუხლი 2(ე)). ამგვარი სიმბოლიკის და ტერმინოლოგიის შემცველი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და მასზე სამართლებრივი დაცვის გავრცელება ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ მართლწესრიგს – ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს), რაც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ" მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს.

EUIPO-ს სახელმძღვანელოს თანახმად, ტოტალიტარულ რეჟიმთან ასოცირებული ტერმინებისა და სიმბოლოების სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (მაგალითად: „დესპოტიზმის სიმბოლოები" – ნამგალი და ურო, ასევე, 5-ქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც განასახიერებს ყოფილ სსრკ-ს). ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს ტოტალიტარული რეჟიმის დამახასიათებელ ნიშნებს, გამოიყენება არა მისი ნორმატიული შინაარსის გამო, არამედ იმის მტკიცებულებად, რომ ამგვარი სიმბოლოები საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც დეს-პოტური, ტოტალიტარული რეჟიმის ამსახველი ნიშნები, რაც აკრძალულია კანონით. მაგალითად, სასაქონლო ნიშნის განაც-ხადი, რომელიც შეიცავს სიტყვას „APARTHEID" უკავშირდება ყოფილ ძალადობრივ პოლიტიკურ რეჟიმს სამხრეთ აფრიკაში, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო ტერორს, წამებასა და ადამიანის ღირსების უგულვებელყოფას. ზემოაღნიშნული შინაარსის სასაქონლო ნიშანი, რომელიც განკუთვნილია კომპიუტერული თამაშებისთვის, მსგავსი გამოცემებისა და გართობის სფეროსთვის, ეწინააღმდეგება უნივერსალურ ღირებულებებს, რომლებსაც ემყარება ევროკავშირი (ასევე – საქართველო): ადამიანის ღირსებას, თავისუფლებას, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, თანასწორობასა და სოლიდარობას, ასევე, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. ამგვარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას უნდა ეთქვას უარი „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რადგან ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს).

ტოტალიტარული სიმბოლიკის შემცველი ზოგიერთი ნიშანი საქპატენტში დარეგისტრირდა მაშინ, როდესაც საქართველოში არ არსებობდა კონკრეტული ნორმატიული საფუძველი, რაც გაამყარებდა ექსპერტის მოსაზრებას, რომ განცხადებული ნიშანი უარყოფითად იქნებოდა აღქმული საზოგადოების მიერ და ეწინააღმდეგებოდა

ზნეობრივ ნორმებს. შესაძლებელია, არსებობდეს „მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოზე გავრცელებული, ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის შემცველი სასაქონლო ნიშანი, რომელიც დარეგისტრირდა „თავისუფლების ქარტიის“ ძალაში შესვლამდე (22.06.2011)[62] და ეს იწვევდეს არსებულ და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშნებს შორის აღრევისა და, შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკს, რაც განცხადებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის დამატებით საფუძველს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი დაინტერესებულ პირებს ანიჭებს უფლებას, ბათილად სცნოს ზემოაღნიშნული ნიშნების რეგისტრაცია; სასაქონლო ნიშანს ბათილად სცნობს სასამართლო, თუ დადგინდება, რომ ნიშანი რეგისტრირებულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დარღვევით.

„თავისუფლების ქარტიის“ ძალაში შესვლის შემდეგ, საქპატენტის 2016 წლის 20 ივნისის ექსპერტიზის დასკვნა საერთაშორისო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის შესახებ (СЕРП И МОЛОТ (საიდ. №83845/3)) ყურადღებას ამახვილებს წარმოდგენილი ნიშნის ქართულ თარგმანზე, რომელიც განასახიერებს კომუნისტურ პარტიას და სსრკ სახელმწიფო სიმბოლიკის მთავარი განუყოფელი ნაწილია. ექსპერტიზის თანახმად წარმოდგენილი ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას; საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზის დროს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შინაარსის (სიტყვები „ეროვნული ღირსება და ზნეობრივი ნორმები“) განმარტებისათვის გამოყენებულია კანონის „თავისუფლების ქარტიის“ მიერ დადგენილი საჯარო წესრიგი, რომლის მიზანია ეროვნული ღირსებისა და ზნეობრივი ნორმების დაცვა. საქპატენტში დამკვიდრებული პრაქტიკით, ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის შემცველი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და მასზე სამართლებრივი დაცვის გავრცელება ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ მართლწესრიგს – ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს), რაც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს

[62] „თავისუფლების ქარტია“ მიღებულია 2011 წლის 31 მაისს, ძალაში შევიდა 2011 წლის 22 ივნისს; კანონის მე-15 მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მისია მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-13 მუხლი – 2012 წლის 1 იანვრიდან.

კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს.“

საქპატენტის პრაქტიკის თანახმად, EUIPO სახელმძღვანელოს მიხედვით, განისაზღვრა, რომ ტოტალიტარულ რეჟიმთან ასოცირებულ, მათ შორის, საბჭოთა კომუნისტური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის შემცველ ნიშნებთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლათინური ან სხვა ანბანით შესრულებული სიტყვის მნიშვნელობა, რაც უნდა განიხილებოდეს ქართული სემანტიკით. მაგალითად, განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ მარტივად შეიძლება იყოს აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სიმბოლო, რაც გამოიწვევს ასოციაციას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან (შემოკლებით: სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი). საქპატენტი ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი საჯარო წესრიგის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნორმატიულ აქტს – „თავისუფლების ქარტიას“, როგორც მტკიცებულებას, რომ კონკრეტული სიმბოლიკა ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის განმარტების თანახმად, (გადაწყვეტილება №10-03/16; 01.03.2016) ტოტალიტარულ რეჟიმთან ასოცირებული შინაარსის მქონე ნიშნის რეგისტრაცია, ეწინააღმდეგება, ასევე, საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (ეროვნულ ღირსებას). კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგიასა და სიმბოლიკასთან დაკავშირებით დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით: „თუ ნიშანი სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს ისეთ გამოსახულებით ელემენტს, რომელიც, ასევე, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სიმბოლიკას, ამგვარი კომბინაცია ქმნის ასოციაციას საბჭოთა კავშირთან. საქართველოს კანონმდებლობიდან და საჯარო წესრიგიდან გამომდინარე, დაუშვებელია ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელშიც გამოყენებულია კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკა. „რაც შეეხება საქართველოს კანონს „თავისუფლების ქარტია“, აღნიშნული კანონი გამოიყენება არა მისი ნორმატიული შინაარსის მიხედვით, არამედ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის განმარტებისათვის და იმის შესაფასებლად, რომ განცხადებული სიმბოლო ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებსა და საჯარო წესრიგს.“ (საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება №10-03/16 (01.03.2016)). ასევე, უარი უნდა ეთქვას ისეთი ტერმინებისა და სიმბოლოების გამოყენებას,

რომლებიც, საშუალო მომხმარებლის აღქმით, ტოტალიტარულ ტერმინოლოგიასა და სიმბოლიკასთან ასოცირდება. ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად ეწინააღმდეგება ზნეობრივი ნორმების ობიექტურ და სუბიექტურ კატეგორიებს: როგორც კანონით დადგენილ, ასევე, საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს.
*(იხ. დანართი 3)*

### 3.3. საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმები (მორალის აღიარებული პრინციპები)

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ ნიშანი ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობის ნორმებს (მორალის აღიარებულ პრინციპებს), არ გამორიცხავს, რომ ნიშანი, ასევე, ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს). განცხადებული სასაქონლო ნიშანი საშუალო მომხმარებლისთვის შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს როგორც საზოგადოების არსებით მორალურ ღირებულებებს, ამავდროულად, არღვევდეს ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური წესრიგის ძირითად პრინციპებსა და ფუნდამენტურ ღირებულებებს. მაგალითად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი BIN LADIN საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის, ალ-ქაედას ლიდერის სახელი და ამ სახელთან დაკავშირებული პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობაც ღიად უპირისპირდება საზოგადოებრივ წესრიგს. ტერორისტული დანაშაული ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს (საჯარო წესრიგს), ასევე, საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს.

EUIPO სახელმძღვანელოს თანახმად, ისეთი სასაქონლო ნიშნის განაცხადს, როგორიცაა, მაგალითად, MH17 MH370 ან „Je suis Charlie“ უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე, რადგან არსებობს უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესი: დაუშვებელია ამგვარ ნიშნებზე სასაქონლო ნიშნებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გავრცელება, რადგან ფინანსური სარგებლის მოპოვების განზრახვა იმ ფაქტიდან, რაც უნივერსალურად აღიარებულია, როგორც ტრაგიკული შემთხვევა და რამაც გამოიწვია ადამიანების სიცოცხლის დაკარგვა -ეწინააღმდეგება როგორც კანონით დადგენილ, ასევე საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს.

დაუშვებელია ისეთი შინაარსის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია, რომლებიც ქართულ ენაზე ან საქართველოში გავრცელებულ სხვა ენებზე აღნიშნავს უხამს, ვულგარულ ან რასისტულ, ასევე, გენდერულ და დისკრიმინაციულ ტერმინებს და საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც შეურაცხმყოფელი სიტყვები.

არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ პოზიტიური შინაარსის ტერმინებისა და სიმბოლოების რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად ამა თუ იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის შეიძლება აღმოჩნდეს შეურაცხმყოფელი. მაგალითად, „ათათურქი" ეროვნული სიმბოლოა სულიერი და პოლიტიკური დატვირთვით ევროკავშირში, ზოგადად, თურქული წარმოშობის მომხმარებლისთვის. ანალოგიურად, საქართველოში საშუალო მომხმარებელი შეიძლება უარყოფითად აღიქვამდეს გარკვეული საქონლისა და მომსახურების მიმართ ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, რომელშიც გამოყენებულია ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის აღმნიშვნელი ტერმინი თუ სიმბოლო, რაც წარმოადგენს ნიშნის რეგისტრაციისთვის უარის თქმის საფუძველს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის 4(1)(ზ) მუხლის თანახმად.

ამასთანავე, შესაძლებელია, რომ შესაბამისი მომხმარებელი სასაქონლო ნიშანს აღიქვამდეს პროვოკაციული, რევოლუციური და სამართალდამრღვევი შინაარსით, თუმცა, ვერ აღიქვამდეს, რომ ნიშანი მიუთითებს საქონლის კრიმინალურ წარმომავლობაზე. სიტყვათა წყობამ შესაძლებელია ნიშანს ფანტაზიური შინაარსი შესძინოს: განსაკუთრებით, თუ ნიშანი შესაბამის საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით მოკლებულია შინაარსს იმდენად, რომ აღარ არის შეურაცხმყოფელი. შესაბამისად, ამგვარი ნიშნები დასაშვებია სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაციისთვის და არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ" 4(1)(ზ) მუხლით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი.

არსებობს აშკარა საფრთხე, რომ ზემოაღნიშნული, 4(1)(ზ) მუხლით განსაზღვრული საფუძველი (ანალოგიურად, EUTMR-ს მუხლი 7(1)(f)) შეიძლება გამოყენებულ იქნეს სუბიექტურად და არ დარეგისტრირდეს ისეთი სასაქონლო ნიშნები, რომლებიც არ შეესაბამება ამა თუ იმ ექსპერტის პირად გემოვნებას. თუმცა, იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე სუბიექტურად იქნეს გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილება, მას აშკარად შეურაცხმყოფელი ზეგავლენა უნდა

ჰქონდეს საშუალოდ ემოციურ ადამიანზე. გამოიყენება შეფასების სტანდარტი, რომ **ნიშანი შეურაცხმყოფელია „საშუალოდ მგრძნობიარე და ტოლერანტი, გონიერი მომხმარებლისთვის**."[63]

საქართველოს კანონმდებლობა შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც მტკიცებულება, რომ სასაქონლო ნიშანი, რეგისტრაციის შემთხვევაში, ეწინააღმდეგება მორალის (ზნეობის) აღიარებულ ნორმებს:

- თუ სასაქონლო ნიშანი შეიცავს ისეთი პარტიების ან ორგანიზაციების სიმბოლოებს და სახელწოდებებს, რომლებიც აკრძალულია ან ანტიკონსტიტუციურად არის აღიარებული, ასევე, თუ მათი საქმიანობა ეწინააღმდეგება სამართლებრივ სახელმწიფოსა და კონსტიტუციურ უსაფრთხოებას.
- თუ სასაქონლო ნიშანში გამოყენებულია „ტოტალიტარულ რეჟიმებთან დაკავშირებული სიმბოლოები" (მაგ.: ნამგალი და ურო და ხუთქიმიანი ვარსკვლავი), ასევე, მათთან აღრევამდე მსგავსი ტერმინები და სიმბოლოები, განსაკუთრებით იმ ფორმით, რომლის მიზანია შელახოს ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა და რეპრესირებულთა უფლებები (იხ. ECJ გადაწყვეტილება T-232/10 (20.09.2011), „Soviet Coat of Arms of the Soviet Union"[64]).

სასაქონლო ნიშნის შეფასებისას აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს საქონელი და მომსახურების ჩამონათვალი, რისთვისაც განცხადებულია ნიშანი, ვინაიდან ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების მომხმარებელი განსხვავდება, შესაბამისად, საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა აღქმა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ცალსახად, მიუღებლად შეურაცხმყოფელი. ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ გამოითქმის ესა თუ ის (განსაკუთრებით, უცხო ენაზე მოცემული) ასოები.[65]

საქპატენტის უახლესი პრაქტიკით მნიშვნელოვანია, შეფასდეს განცხადებული ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა ქართულ ენაზე. გასათვალისწინებელია განცხადებული საქონელი ან მომსახურება, ასევე, მომხმარებლის მიერ ნიშნის აღქმა, რაც შეესაბამება სასაქონლო

---

63 გადაწყვეტილება T-417/10 (09.03.2012), "¡Que buenu ye! Hijoputa", პარაგ. 21

64 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ზოგადი სასამართლოს (მეოთხე პალატის) 2011 წ. 20 სექტემბრის გადაწყვეტილება Couture Tech Ltd v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (OHIM). საქმე T-232/10.

65 გადაწყვეტილება 22/12/2012, R482/2012-1 – „kuro", პარაგ. 12 et seq.

ნიშნის რეგისტრაციის განაცხადის ექსპერტიზისთვის სახელმძღვანელო პრინციპებს EUIPO-ში. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ნიშანი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ ნიშნით მონიშნული საქონელი განკუთვნილია ბავშვებისთვის, სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, რადგან, მაგალითად, ცეცხლსასროლ იარაღზე, ფეთქებად ნივთიერებებზე, ასევე, ჭურვებსა და საბრძოლო მასალაზე ბავშვების გამოსახულება მიუღებელი იქნებოდა საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილისთვის; მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული საქონლის მომხმარებლები არ არიან ბავშვები, არ არის სასურველი ისინი მსგავს ნიშნებს შეხვდნენ სავაჭრო ობიექტებში. შესაძლებელია, ნიშანს არ აქვს ნეგატიური შინაარსი, პირიქით მას აქვს პოზიტიური შინაარსი, მაგრამ (ზომიერად ტოლერანტი) მომხმარებლის დიდი ნაწილისთვის ან თუნდაც მცირე ნაწილისთვის, მიუღებელია ზემოაღნიშნული ნიშნის ხილვა გარკვეულ საქონელზე (მაგალითად, ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე) და/ან მომსახურებაზე. ამის დასადგენად საკმარისია ობიექტური ფაქტის არსებობა, რომ მომხმარებელი ნიშანს ჩათვლის ასეთად". წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე გარკვეული კლასის ან კლასში საქონლის ჩამონათვალის ნაწილისთვის (ცეცხლსასროლი იარაღი; საბრძოლო მასალა და ჭურვები; ფეთქებადი ნივთიერებები); თუმცა, შეიძლება დარეგისტრირდეს რაიმე სხვა საქონლის კლასებისთვის. („piccolo პიკოლო" ს/N 89103/3 (07.06.2017) (სიტყვიერი ნიშანი); ს/N89102/3 (07.06.2017) (გამოსახულებითი ნიშანი).

ზოგიერთი სიტყვა და ნიშანი, შეიძლება საკმაოდ შეურაცხმყოფელი იყოს იმისთვის, რომ ისინი დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშნებად.[66] არსებობს საჯარო ინტერესი, რომ ბავშვები და ახალგაზრდები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ არიან შესაბამისი საქონლისა და მომსახურების მომხმარებლები, არ შეხვდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს სავაჭრო ობიექტებში. როგორც წესი, ლექსიკონები მიანიშნებენ, არის თუ არა ესა თუ ის სადავო სიტყვა შეურაცხმყოფელი ქართულ ენაზე.[67] გადამწყვეტი ფაქტორია შესაბამისი მომხმარებლის აღქმა კონკრეტულ გარემოებებში, თუ როგორ და როდის ხვდება ზოგადად მომხმარებელი ამა თუ იმ საქონელსა და მომსახურებას.

„შესაბამისი მომხმარებელი" არ არის მაინცდამაინც მხოლოდ ის, ვინც ყიდულობს აღნიშნული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებულ საქონელსა და მომსახურებას, ვინაიდან სასაქონლო ნიშანი მიზნობრივი

[66] გადაწყვეტილება R0168/2011-1 (01.09.2011) – „fucking freezing! by TÜRPITZ", პარაგ. 16
[67] იქვე, პარაგ. 25

მომხმარებლის გარდა ფართო საზოგადოებისთვისაც შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი. (ECJ გადაწყვეტილება T-526/09 (05.10.2011), „PAKI“, პარაგ.: 17, 18).[68]

იმისათვის, რომ ნიშანს უარი ეთქვას რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 4(1)(ზ) საფუძვლით, სასაქონლო ნიშანს შესაბამისი მომხმარებელი ან, სულ მცირე, მისი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა აღიქვამდეს, რომ განცხადებული ნიშანი უშუალოდ ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ძირითად ზნეობრივ ნორმებს.

აუცილებელი არ არის, რომ განმცხადებელი მიზნად ისახავდეს შესაბამისი საზოგადოების შეურაცხყოფას. საკმარისია ობიექტური ფაქტის არსებობა, რომ მომხმარებელი განცხადებულ სასაქონლო ნიშანს შეიძლება აღიქვამდეს, როგორც შოკის მომგვრელს ან შეურაცხმყოფელს. შესაბამისად, განზრახვის არსებობა არ არის მნიშვნელოვანი იმ საკითხის შეფასებისას, რომ ნიშანი ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ პრინციპებს.

„სკანდალური“, ანუ აღმაშფოთებელი, შეურაცხმყოფელი სიმბოლო თუ ტერმინი დასაშვებია გამოიყენებოდეს სასაქონლო ნიშნად, თუმცა, მისი რეგისტრაციისას უნდა შეფასდეს, შესაბამისი საქონლის ან მომსახურებასთან დაკავშირებით აღიქვამს თუ არა ამ ნიშანს მოსახლეობის არსებითი ნაწილი სკანდალური, ამორალური და შეურაცხმყოფელი შინაარსით.

ნიშნები შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხასიათდებიან „ნეგატიური“ შინაარსითა და ჟღერადობით. ზოგიერთი პოზიტიური შინაარსის შემცველი ნიშნის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი. მაგალითად, რელიგიური მნიშვნელობის ტერმინები ან სასულიერო და პოლიტიკური მნიშვნელობის ეროვნული სიმბოლოები.

---

[68] Judgment of the General Court (Third Chamber) of 5 October 2011. PAKI Logistics GmbH v Office for Harmonisation in the Internal Market (Trade Marks and Designs) (OHIM). Community trade mark – Application for the Community word mark PAKI – Absolute ground for refusal – Trade mark contrary to public policy or to accepted principles of morality – Article 7(1)(f) of Regulation (EC) №207/209. Case T-526/09.

### 3.3.1. რელიგიური ტერმინები და სიმბოლიკა

რელიგიური ტერმინებისა და სიმბოლიკის გამოყენება სასაქონლო ნიშნად აკრძალული არ არის. განსხვავებული სამართლებრივი რეგულირებისა და მოთხოვნების გამო, მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ რელიგიური ტერმინებისა და სიმბოლიკის (ა) გამოყენება და მათი (ბ) რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად:

(ა) „კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შემთხვევაში საუბარია მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის და არა ნებისმიერი სხვა რელიგიური მიმდინარეობის ოფიციალური ტერმინოლოგიის და სიმბოლიკის გამოყენებაზე, (ასევე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე), რასაც მოწმობს სადავო ნორმაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებაც."[69] კონკორდატის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის განმარტებისას საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საღვთისმსახურო პროდუქციის (ნივთების და სხვა) გარეგნული მსგავსება არ ნიშნავს მათ სრულ იდენტურობას. ყველა სხვა რელიგიურ ორგანიზაციას უფლება აქვს, თავისუფლად (შეუზღუდავად) აწარმოოს და მიაწოდოს საკუთარი საღვთისმსახურო პროდუქცია იმ აუცილებელი პირობით, რომ აღნიშნულ პროდუქციას უნდა გააჩნდეს ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციის კუთვნილების აღმნიშვნელი დასახელება, რაც იქნება იმის განმსაზღვრელი, რომ ეს პროდუქცია არ არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმსახურო პროდუქცია და, შესაბამისად, არ საჭიროებს არავითარ ლიცენზიას, რაც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-19 მუხლების მოთხოვნებთან."[70]

(ბ) შესაძლებელია რელიგიური ტერმინისა და სიმბოლოს გამოყენება სასაქონლო ნიშნად. იმისათვის, რომ პირმა მოიპოვოს ზემოაღნიშნული შინაარსის სასაქონლო ნიშანზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული

---

[69] საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრება (18-19.09.1995), მცხეთა, სვეტიცხოველი) http://www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

[70] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №2/18/206 (22.11.2002), საქმის დასახელება: მოქალაქე ზურაბ აროშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

განსაკუთრებული უფლებები, აუცილებელია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას არსებობს უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი, თუ ექსპერტიზა ჩათვლის, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (მათ შორის, რელიგიას).

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი რელიგიური ტერმინისა თუ სიმბოლიკის შემცველი სასაქონლო ნიშნის განაცხადის ექსპერტიზისას მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სასაქონლო ნიშანში გამოყენებული სიტყვის შინაარსი, სემანტიკური მნიშვნელობა; ასევე, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელ ოფიციალურ რელიგიას განეკუთვნება სასაქონლო ნიშნად განცხადებული ტერმინი ან სიმბოლო:

- **მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სასაქონლო ნიშანში გამოყენებული სიტყვის შინაარსი, სემანტიკური მნიშვნელობა.**

შესაძლებელია, ტერმინი, გარდა სამონასტრო კომპლექსის სახელისა, წარმოადგენდეს გვარს, ასევე, დასახლებული პუნქტის სახელწოდებას. ამდენად, აღნიშნული სიტყვის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია კონკრეტულ კლასში, გარკვეული საქონლის მიმართ, არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს („GLS ბედია BEDIA" (რეგ. №34957/03l, კლასები: 29, 30, 32, 43; სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება №757 (11.12.2006); „ხარება" №103 (29.10.2014) „ხარება Khareba Хареба" საიდ. №75483/3, კლასები: 1-34). მნიშვნელოვანია განცხადებული ნიშნის თარგმანი და შინაარსი ქართულ ენაზე („Святой Грааль" (საიდ. №61466/03, 32, 35); ("GRAAL" (საიდ. №62512/03, 14, 18, 35); („Deus Softener for linen Adoucisseur pour la linge" (საიდ. №73721/03, კლასი 3); „SAINT GEORGE" (საიდ. №22367/03, კლასი 34). "GIORGOBA" (საიდ. №67550/03, კლასი 33); „Ноев ковчег" (საიდ. №79337/3, კლასები: 14, 29-31, 39).

- **აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელ რელიგიას განეკუთვნება სასაქონლო ნიშნად განცხადებული ტერმინი ან სიმბოლო.**

რელიგიური ტერმინებისა და სიმბოლოების შემცველი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრის „საქპატენტის" სახელმწიფო ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ტერმინი ან სიმბოლო რელიგიური დატვირთვის. („წმინდა ანდრიას ჯვარი Cross of St. Andrea" (საიდ. №65154/03, კლასი 41)).

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქპატენტმა უნდა შეაფასოს, თუ რომელი ოფიციალური რელიგიის კუთვნილებაა ესა თუ ის ტერმინი ან სიმბოლო და არსებობს თუ არა რელიგიური ტერმინისა თუ სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი.

საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებების კუთვნილი ტერმინოლოგია და სიმბოლიკა უნდა განიხილებოდეს ოფიციალურ რელიგიურ ტერმინებად და სიმბოლოებად. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადი შეიცავს ზემოაღნიშნულ ტერმინებსა და სიმბოლოებს, ექსპერტიზამ უნდა შეაფასოს, თუ როგორ აღიქვამს მომხმარებელი ნიშანს და ეწინააღმდეგება თუ არა ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების მიმართ განცხადებული სასაქონლო ნიშანი საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (რელიგიას). სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას ექსპერტიზის ტესტი, თუ რამდენად ეწინააღმდეგება განცხადებული ნიშანი საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, ეხება, ასევე, იმ რელიგიური მიმდინარეობის ტერმინებსა და სიმბოლოებს, რომლებსაც (1) საქართველოსთან ისტორიული კავშირი გააჩნია და თუ (2) ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არის მიჩნეული რელიგიად; საქართველოშიც პოტენციურად შესაძლებელია შესაბამისი რელიგიური მიმდინარეობის რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და გასათვალისწინებელია, რომ საშუალო მომხმარებელი ამა თუ იმ ტერმინსა თუ სიმბოლოს რელიგიური თვალსაზრისით აღიქვამს. იმ საკითხის გასარკვევად, ეწინააღმდეგება თუ არა კონკრეტული საქონლის/მომსახურების ჩამონათვალისთვის განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საკითხის სრულფასოვანი შეფასება-გამოკვლევის მიზნით, უფლებამოსილია (თუმცა ვალდებული არ არის) მიმართოს შესაბამის რელიგიურ ორგანიზაციას.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა მიიჩნევს, რომ რელიგიური ტერმინი ან სიმბოლო წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებას და მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ საქონლისთვის ან მომსახურებისთვის განცხადებული ნიშანი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებაში

აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (რელიგიას), საერთო სასამართლოს განმარტებით, საკითხის სრულყოფილი გამოკვლევა-შეფასების მიზნით, საქპატენტი ვალდებულია, გამოიყენოს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების (კონკორდატის) პირველი მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის საფუძველზეც საქპატენტმა უნდა მიმართოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შესაბამისი წერილობითი მოსაზრების მისაღებად. ამასთანავე, განცხადებულ ნიშანთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეს შეუძლია, წარმოადგინოს საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია, როგორც მტკიცებულება, ეწინააღმდეგება თუ არა განცხადებული სასაქონლო ნიშანი საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (რელიგიას).

როგორც წესი, მართლმადიდებლური ქრისტიანული ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციისას საქპატენტი ითვალისწინებს საქართველოს საპატრიარქოს პოზიციას განცხადებულ ნიშანთან დაკავშირებით, თუ საპატრიარქო არ არის წინააღმდეგი, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშანში გამოყენებული იყოს რელიგიური ტერმინი, რომელიც ნიშანში შევა დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის გარეშე. (“GIORGOBA” (საიდ. №67550/03; რეგ. №24792, კლასი 33).

საქპატენტი ითვალისწინებს საქართველოს საპატრიარქოს ნებართვას, როგორც წერილობით მოსაზრებას განცხადებული ნიშნის შეურაცხმყოფელი შინაარსის შესახებ, იმის დასადგენად, თუ როგორ აღიქვამს მომხმარებელი სარეგისტრაციოდ განცხადებულ სასაქონლო ნიშანს და იღებს დამოუკიდებელ, დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში [თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №3/3709-12, 29.11.2012 („ასოციაცია მეოხი“)].

კონკორდატის თანდართულ ტერმინთა განმარტების 24-ე პუნქტის თანახმად, „ეკლესიის ოფიციალურ ტერმინოლოგიას წარმოადგენს შემდეგი სიტყვები: „საქართველოს სამოციქულო“, „ავტოკეფალური“, „მართლმადიდებელი“, „კათოლიკოს-პატრიარქი“, „წმინდა სინოდი“. კონკორდატის თანდართულ ტერმინთა განმარტების 27-ე პუნქტის თანახმად, „ეკლესიის ოფიციალური

სიმბოლიკა მოცემულია ეკლესიის მართვა-გამგეობის წესდებაში";[71] „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების" მე-4 თავის 21-ე მუხლში მოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „პატივის ნიშნები", ანუ ოფიციალური სიმბოლიკა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივის ნიშნებია ძოწისფერი მანტია, შავი საპატრიარქო კუნკულ-ბარტყული ჯვრითა და ფრთებზე გამოსახული სერაფიმებით, ორი პანაღია და ჯვარი, დიდი პარამანი და ჯვრის წინგაძღოლის უფლება."[72] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების ტექსტში ეკლესიის ოფიციალური სიმბოლიკის რაიმე კონკრეტული ჩამონათვალი არ არის დადგენილი, ამ აქტით განსაზღვრული ტერმინები და სიმბოლოები საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალურ ტერმინოლოგიად და სიმბოლიკად უნდა ჩაითვალოს. ექსპერტმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს სასაქონლო ნიშნის განაცხადში წარმოდგენილი, რელიგიური დატვირთვის ცნებები და სიმბოლოები და დაადგინოს მათი კუთვნილება ამა თუ იმ რელიგიისადმი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი არ არის ვალდებული გაითვალისწინოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ან ნებისმიერი სხვა რელიგიური ორგანიზაციის პოზიცია, რჩევები თუ მითითებები ამა თუ იმ ტერმინის თუ სიმბოლოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის თაობაზე და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დამოუკიდებელი ექსპერტიზის დისკრეციული უფლებამოსილებების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე. საქპატენტი, ასევე სასამართლო, ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან მიიღოს ყველაზე მისაღები, დასაბუთებული გადაწყვეტილება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №3/3709-12 (29.11.2012) („ასოციაცია მეოხი")).

---

71 ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალის საკითხები, დანართი 3: კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

72 საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრება, (18-19.09.1995), მცხეთა, სვეტიცხოველი) http://www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

სასაქონლო ნიშნების შეფასებისას აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს შემდეგი პრინციპები: განცხადებული ნიშანი, მათ შორის, რელიგიური ტერმინი ან სიმბოლო უნდა შეფასდეს განაცხადში წარმოდგენილი საქონლის/მომსახურების ჩამონათვალის მიმართ; მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სასაქონლო ნიშანში გამოყენებული სიტყვის შინაარსი, სემანტიკური მნიშვნელობა; განცხადებული სასაქონლო ნიშნის შინაარსისა და სემანტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესასრულებლად განკუთვნილი ტერმინისა თუ სიმბოლოს მონოპოლიზება დაუშვებელია:

- **რელიგიური ტერმინი ან სიმბოლო უნდა შეფასდეს განაცხადში წარმოდგენილი საქონლის/მომსახურების ჩამონათვალის მიმართ.**

განცხადებული სასაქონლო ნიშანი უნდა შეფასდეს მასში მითითებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ნიშან-თვისებები და ხასიათი შეიძლება წარმოადგენდეს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის ნიშნის რეგისტრაციაზე სრულად ან ნაწილობრივად უარის თქმის საფუძველს. მაგალითად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში მითითებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად გახდა ნიშნების – „Ноев ковчег" (საიდ. №79337/3, კლასები 14,29-31,39); „GIORGOBA", (საიდ. №67550/03, კლასი 33, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება №1230313 (18.03.2013)) – რეგისტრაციაზე ნაწილობრივად უარის თქმის საფუძველი.

- **მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სასაქონლო ნიშანში გამოყენებული სიტყვის შინაარსი, სემანტიკური მნიშვნელობა.**

შესაძლებელია, ტერმინი, გარდა სამონასტრო კომპლექსის სახელისა, წარმოადგენდეს გვარს, ასევე, დასახლებული პუნქტის სახელწოდებას. ამდენად, აღნიშნული სიტყვის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია კონკრეტულ კლასში, გარკვეული საქონლის მიმართ, არ წარმოადგენს საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების (ეროვნული ღირსებების, რელიგიისა და ტრადიციების) შეურაცხყოფას („GLS ბედია BEDIA" (რეგ. №34957/03, კლასები 29, 30, 32,43, „ხარება Khareba Хареба" საიდ. №75483/3, კლასები: 1-34):

- **განცხადებული სასაქონლო ნიშნის შინაარსისა და სემანტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესასრულებლად განკუთვნილი სიტყვის მონოპოლიზება დაუშვებელია.**

რეგისტრაციის საფუძველზე განსაკუთრებული უფლების მინიჭება პირდაპირ წარმოშობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის განსაზღვრული სასაქონლო ნიშანზე რეგისტრაციის უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს („ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI“ (საიდ. №81888/3, კლასი 33); საიდ. №79337/3, კლასები: 14, 29-31, 39).

### 3.4. კოლექტიური სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი – კანონმდებლობით დადგენილი და საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმები

ევროკავშირის კანონმდებლობის მსგავსად, საქართველოში კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის ექსპერტიზის ეტაპზე, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლების გარდა, ექსპერტიზის დროს უნდა შემოწმდეს კოლექტიური სასაქონლო ნიშნის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნით სარგებლობის წესს („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 32.2(დ)). ექსპერტმა უნდა დაადგინოს, ეწინააღმდეგება თუ არა დებულებით განსაზღვრული კოლექტიური ნიშნით სარგებლობის წესები საქართველოში კანონმდებლობით დადგენილ და/ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის ამ სპეციფიურ საფუძვლებთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრებები შეიძლება წარადგინონ მესამე პირებმა. საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ სასაქონლო ნიშნის, მათ შორის, კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით (დებულების შესწორების შესაძლებლობა განსაზღვრულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე და 38-ე მუხლებით).

სასაქონლო ნიშნის მსგავსად კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია დაუშვებელია, ასევე, თუ მისი სარგებლობისა და

გამოყენების წესები ეწინააღმდეგება საქართველოში კანონ-მდებლობით დადგენილ და/ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს. უარის თქმის ეს საფუძველი უნდა განვასხვავოთ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში მოცემული საფუძვლისგან, რომელიც კრძალავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, როდესაც ნიშანი, თავისი შინაარსით და განცხადებული საქონლის / მომსახურების ჩამონათვალის გათვალისწინებით ეწინააღმდეგება საქართველოში კანონმდებლობით დადგენილ და/ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს.

კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციაზე უარი შეიძლება გაუქმდეს, თუ შეიცვლება და გაუქმდება წესდებით განსაზღვრული წესები, რომელთა საფუძველზეც ნიშნის გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოში კანონმდებლობით დადგენილ და/ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მუხლებიდან 30(4), 33 და 38 გამომდინარე, აღნიშნული ნორმების სისტემატური ინტერპრეტაციის საფუძველზე, კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის არსობრივ ექსპერტიზაზე ვრცელდება სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ანალოგიური წესები, ანუ განაცხადი მოწმდება, მათ შორის, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილი საფუძვლის მიმართ. ამით ქართულ კანონმდებლობაში გაზიარებულია, თუმცა, ცალსახად არ არის მოცემული EUTMR-ის რეგულაციის ანალოგიური დებულებები: კოლექტიური ნიშანი არ რეგისტრირება, თუ კოლექტიური ნიშნის დებულება (გამოყენების წესები) შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საქარ-თველოში კანონმდებლობით დადგენილ და/ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს, როგორიცაა წესები, რომლებიც დისკრიმინაციულ მოპყრობას ადგენენ სქესის, რწმენის, ან რასის მიხედვით. ექსპერტის უარი შეიძლება გაუქმდეს, თუ შეიცვლება რეგულაციები და კოლექტიური ნიშნის დებულებიდან ამოღებული იქნება ნორმა, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. კანონის სიცხადის მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასურველია აღნიშნული საკითხის ცალსახად რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლი-ლებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტი ითვა-ლისწინებს, რომ ზემოაღნიშნული კანონის რეგულირების სფერო გავრცელდეს კოლექტიური და – საქართველოს კანონმდებლობით

ამგვარი ნიშნების დაცვის შემთხვევაში – აგრეთვე, სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე, მათ გამოყე-ნებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე. კოლექტიური ნიშნების ექსპერტიზისთვის განსაზღვრული წესები, კანონპროექტის თანახმად, გავრცელდება სასერტიფიკაციო ნიშნებზეც. ევროკავშირის კანონ-მდებლობის მსგავსად საქართველოში უნდა განისაზღვროს სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძ-ველი, როდესაც სასერტიფიკაციო ნიშნების გამოყენების წესები ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ ან საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს).[73]

[73] EUIPO-ს სახელმძღვანელო, ნაწილი B, მე-4 განყოფილება, თავი 15 (კოლექტიური ნიშნები, გვ. 6-7), თავი 16 (სასერტიფიკაციო ნიშნები, გვ. 8-9) 01.10.2017; EUTMR 2017/1001, მუხლი 76

დანართი 1

## თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №3/3709-12, 29.11.2012 („ასოციაცია მეოხი“) „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესახებ

**(ამონარიდი)**

(ა) „საქართველოს კანონით სასაქონლო ნიშნების შესახებ“ რელიგიური სიმბოლოების სასაქონლო ნიშნის სახით რეგისტრაცია აკრძალული არ არის. ამასთან, ზემოაღნიშნული კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რომელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება შეურაცხყოფდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს, შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს შეფასების საგანს.

(ბ) თუ რა განაპირობებს „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ” მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევას – აღნიშნული საკითხის გამოკვლევა-შეფასების მიზნით, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიყენოს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პირველი და მე-6 მუხლი [სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ; სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.] საქპატენტმა განსახილველ საკითხზე უნდა მიმართოს საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, რის შემდგომაც სადავო საკითხზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სასამართლოს არგუმენტაცია:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ლ" ქვეპუნქტი განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

... სასამართლო განმარტავს, რომ კანონი სრულად ვერ მოაწესრიგებს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლებიც განსხვავდებიან ფაქტობრივი შემადგენლობით, სამართლებრივი რეგულირების ფორმებითა და მეთოდებით. ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დისკრეციული უფლებამოსილება არის ისეთი უფლებამოსილება, რომელიც კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მოწესრიგებით, თუმცა, ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დისკრეციულ უფლებამოსილებას ადგენს კანონი. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია სამართლის ნორმის შინაარსის სწორი განმარტება.

... დადგენილია, რომ „ასოციაცია მეოხმა" საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრ „საქპატენტს" საქართველოში სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის – „წმინდა ანდრიას ჯვარი" – რეგისტრაციის თაობაზე განცხადებით მიმართა 41-ე კლასში შემავალი საქონლისა და მომსახურებისათვის – მართლმადიდებლური კონფერენციებისა და ფესტივალების ორგანიზება, კინოფილმების გადაღება და წარმოება, რელიგიური განათლება. „საქპატენტის" არსობრივი ექსპერტიზის 2012 წლის 25 ივლისის დასკვნის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, „წმინდა ანდრიას ჯვარი" წარმოადგენდა მართლმადიდებლური რელიგიის კუთვნილებას და მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ეწინააღმდეგებოდა რელიგიასა და ტრადიციებს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა საქპატენტმა 2012 წლის 26 ივლისის №909/03 ბრძანებით მოსარჩელეს უარი უთხრა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე.

... სასამართლო განმარტავს, რომ ნებისმიერი სამართლებრივი

წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, რაც ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს მიზნის მისაღწევად გამოიყენოს გონივრული საშუალება. ვინაიდან გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არის დასაბუთებული, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისგან დაცვის ვალდებულების იგნორირება არის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენის და, შესაბამისად, აქტის გაუქმების საფუძველი, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის ხელახლა განხილვის შემდგომ გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე ადმინისტრაციულმა ორგანომ შესაბამისი დასაბუთებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

... მოპასუხეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოუკვლევია და შესაბამისი შეფასება არ მიუცია – მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში რა განაპირობებდა „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესახებ" მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევას. შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნული საკითხის გამოკვლევა-შეფასების მიზნით, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის პირველი მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ, მე-6 მუხლის შესაბამისად (სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.), ადმინისტრაციულმა ორგანომ განსახილველ საკითხზე უნდა მიმართოს საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, რის შემდგომაც სადავო საკითხზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება."

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 2

## საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის მაგალითები: რელიგიური ტერმინოლოგია და სიმბოლიკა

| ნიშანი | კლასი | საიდ. № სტატუსი | სამართ. საფუძველი | დასაბუთება |
|---|---|---|---|---|
| **Святой Грааль** | 32, 35 | 61466/03; 2012-04-19, O10(097), არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:** „შეურაცხყოფს რელიგიას და „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განცხადებულ ნიშანს უარი უნდა ეთქვას დაცვაზე.“ (12.01.2012) |
| **GRAAL** | 14, 18, 35 | 62512/03; 2012-06-11, O10(097), არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:** “შეურაცხყოფს რელიგიას და „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განცხადებულ ნიშანს უარი უნდა ეთქვას დაცვაზე.“ (20.02.2012) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **გიორგი ლუქსი ქართული არაყი GEORGIAN VODKA GEORGE**   | 33 | 43466/03; 2008-05-14, O10(097), არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:** „შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.“ (N9682; 05.02.2008) |
| **Deus Softener for linen Adoucisseur pour la linge** | 3 | 73721/03; 2014-11-28, O10(097), არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:** „Deus“ ლათინურიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან და სხვა ენე-ბიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ღმერთი“ (Lingvo 12) და არ შეიძლება იყოს ერთი პირის კუთვნილება. შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.“ [N60609/03; 25.07.2011) |
| **JESUS** | 3, 9, 14, 16, 18, 24, 28 | 24733/03; 2003-07-11, O4(081), არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | |
| **ხარება** | 33 | 32954/03; 2005-10-25, O10(097), არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:** „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან ... შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.“ (N21993; 2005-09-07) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| Saint George<br> | 34 | 31174/03;<br>2005-07-27,<br>010(097),<br>არსობრივი<br>ექსპერტიზის<br>დასრულება<br>უარყოფითი<br>გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.“ (N12382; 23.03.2005) |
| **წმინდა ანდრიას ჯვარი**<br>**Cross of St. Andrea**<br> | 41 | 65154/03;<br>2012-11-29,<br>010(097),<br>არსობრივი<br>ექსპერტიზის<br>დასრულება<br>უარყოფითი<br>გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„ვინაიდან წმინდა ანდრიას ჯვარი წარმოადგენს მართლმადიდებლური რელიგიის კუთვნილებას და მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია ეწინააღმდეგება რელიგიასა და ტრადიციებს.“ (25.07.2012)<br>**სასამართლო გადაწყვეტილება:**<br>„საქართველოს კანონით სასაქონლო ნიშნების შესახებ” რელიგიური სიმბოლოების სასაქონლო ნიშნის სახით რეგისტრაცია აკრძალული არ არის. ამასთან, ზემოაღნიშნული კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რომელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება შეურაცხყოფდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს, შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს შეფასების საგანს.<br>- თუ რა განაპირობებს „სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევას – აღნიშნული საკითხის გამოკვლევა-შეფასების მიზნით, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიყენოს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პირველი და მე-6 მუხლი. საქპატენტმა განსახილველ საკითხზე უნდა მიმართოს საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, რის შემდგომაც სადავო საკითხზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.“ (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №3/3709-12, 29.11.2012 („ასოციაცია მეოხი“)) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **SAINT GEORGE** | 34 | საიდ. №22367/03 2002-07-30 O10(097) არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება:** „წმინდა გიორგი საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობის წმინდანია, რომელსაც ქართველები გამორჩეული პატივისცემით ეპყრობიან. გამოყენება სასაქონლო ნიშნად, მით უფრო, ისეთი საქონლისათვის, როგორიცაა თამბაქოს ნაწარმი, არ შეესაბამება საქართველოს ტრადიციებსა და შეურაცხყოფს ეროვნულ ღირსებას“ (გადაწყვეტილება №301; 12.02.2003) |
| **ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI** | 33 | საიდ. №81888/03 18.03.16 არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**„განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან სიტყვა „ტაძარი“ წარმოადგენს (ლათ. – TADZARI, კირილიცა – ТАДЗАРИ) საკულტო ნაგებობას ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესასრულებლად. ტაძრის სახე და მისი განვითარების ისტორია განპირობებულია არა მარტო საკულტო მოთხოვნილებებით, არამედ სხვადასხვა ხალხისა და ქვეყნის არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის განვითარების დონით და, შესაბამისად ატარებს მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ ხასიათს. აღნიშნული გარემოება კი წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ერთი სუბიექტის მიერ სიტყვა „ტაძრის“ მონოპოლიზება და მასზე რეგისტრაციით განსაკუთრებული უფლების წარმოშობა პირდაპირ წარმოშობს „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სასაქონლო ნიშანზე რეგისტრაციის უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს, კერძოდ კი სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც: „ზ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს“. ზემოაღნიშნული გარემოებების შესაბამისად, სასაქონლო ნიშანს „ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI“ უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე. (01.03.2016) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **გიორგობა<br>Giorgoba<br>Гиоргоба** | 33 | საიდ.№60609/03 2011-11-15, O10 (097), არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ" მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ"' მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ"' ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც.შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს. |
| **ბარძიმი<br>Bardzimi<br>Бардзими** | 32 | საიდ. №71582/3 2014-04-14, O10(097), არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვეტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ" მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი წარმოადგენს განსა-კუთრებული სახის წმინდა ჭურჭელს, რომელიც ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გამოიყენება ღვთისმსახურების დროს ზიარების რიტუალის შესასრულებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მისი გამოყენება სასმელებისთვის ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ რელიგიასა და ტრადიციებს. შესაბამისად, განცხადებულ ნიშანს "ბარძიმი Bardzimi Бардзими" უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე სრული საქონლის ჩამონათვლისათვის. |

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 3

## საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის მაგალითები: ტოტალიტარული რეჟიმის ტერმინოლოგია და სიმბოლიკა

| ნიშანი | კლასი | საიდ. № სტატუსი | სამართლებრივი საფუძველი | დასაბუთება |
|---|---|---|---|---|
|   | 34, 30, 33 | საიდ. №85492/03 22.01.2016 არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვე-ტილებით – 22/01/2016 | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლათინური ანბანით შესრულებული კომბინირებული ნიშანი „GENERALISSIMUS IOSIF“ ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც გენერალისიმუსი იოსები. სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტები მოთავსებულია ოთხკუთხედი ფორმის ჩარჩოში, თავში მოთავსებულია გამოსახულება, მამაკაცის ბიუსტი, რომელიც ქართველი მომხმარებლის მიერ მარტივად იქნება აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იოსებ სტალინის გამოსახულება, ამის შემდეგ ლათინური ასოებით წერია „GENERALISSIMUS“, შემდეგ მოთავსებულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც კომუნიზმის იდეის საბოლოო გამარჯვების სიმბოლოა დედამიწის ხუთ კონტინენტზე.<br>ნიშნის ბოლოს მოთავსებულია ლათინური ასოებით „IOSIF“. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა“.<br>სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისთვის, რათა არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს.<br>„საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.“ (N85492/3). |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **STALIN VODKA**  | 33 | საიდ. №86234/03 04.03.2016 არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვე-ტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ" მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლათინური ანბანით შესრულებულ კომბინირებულ ნიშანს „STALIN VODKA" უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე საქონლის მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისთვის. სიტყვიერი ელემენტები „STALIN" და „VODKA" მოთავსებულია ორნამენტული ჩარჩოს თავსა და ბოლოში, ხოლო ჩარჩოს შიგნით ორი მამაკაცის გამოსახულება, რომელიც ქართველი მომხმარებლის მიერ მარტივად იქნება აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იოსებ სტალინისა და გერმანელი პოლიტიკოსის, მეწარმის, ფილოსოფოსისა და სამხედრო ისტორიკოსის ფრიდრიხ ენგელსის გამოსახულება. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია" პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა".<br>სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისთვის, რათა არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს." |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **STALIN VODKA** | 33 | საიდ. №86236/03 04.03.2016 არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვე-ტილებით | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლათინური ანბანით შესრულებულ კომბინირებულ ნიშანს „STALIN 99 VODKA“ უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე საქონლის მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისთვის. სიტყვიერი ელემენტები „STALIN“ და „VODKA“ მოთავსებულია ორნამენტული ჩარჩოს თავსა და ბოლოში, ხოლო ჩარჩოს შიგნით მამაკაცის გამოსახულება, რომელიც ქართველი მომხმარებლის მიერ მარტივად იქნება აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იოსებ სტალინის გამოსახულება. მის გვერდით მოთავსებულია წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც კომუნიზმის იდეის საბოლოო გამარჯვების სიმბოლოა დედამიწის ხუთ კონტინენტზე. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა“. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისთვის, რათა არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს. (04/03/2016)* |

* გარდა ამისა, ორივე ზემოაღნიშნული ნიშნის შემთხვევაში (საიდ. №№86234/3, 86236/3) ექსპერტიზამ დაადგინა, რომ „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშანი მსგავსია ... „მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნისა „STALINSKAYA“ (საერთაშორისო რეგისტრაცია №692450, თარიღი: 1998-01-13, საქართველოზე გავრცელების თარიღი: 2000-11-29) 33-ე კლასით განსაზღვრული საქონლის ჩამონათვალისთვის. ნიშნების დომინანტ ელემენტებს შორის არის არსებითი მსგავსება ფონეტიკური კრიტერიუმით. ამის გამო ჩნდება ნიშნებს შორის აღრევისა და, შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკი. სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **STALIN VODKA**  | 33 | საიდ. №86235 04.03.2016 არსობრივი ექსპერტიზის დასკვნა | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი | სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლათინური ანბანით შესრულებულ კომბინირებულ ნიშანს „STALIN 99 VODKA” უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე საქონლის მთლიანი განცხადებული ჩამონათვლისათვის. სიტყვიერი ელემენტები “STALIN“ და “VODKA” მოთავსებულია ორნამენტული ჩარჩოს თავსა და ბოლოში, ხოლო ჩარჩოს შიგნით ორი მამაკაცის გამოსახულება, რომელიც ქართველი მომხმარებლის მიერ მარტივად იქნება აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იოსებ სტალინისა და კარლ ჰაინრიხ მარქსის გამოსახულება (გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პოლიტიკური თეორეტიკოსი, სოციოლოგი, კომუნისტი და რევოლუციონერი, რომლის იდეებსაც ეფუძნება თანამედროვე კომუნიზმი). სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა”.სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისათვის, რათა არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **STALIN VODKA**  | 33 | საიდ. №86191 04.03.2016 არსობრივი ექსპერტიზის დასკვნა | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი | სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლათინური ანბანით შესრულებულ კომბინირებულ ნიშანს „STALIN VODKA" უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე საქონლის მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისათვის. სიტყვიერი ელემენტები "STALIN" და "VODKA" მოთავსებულია ორნამენტული ჩარჩოს თავსა და ბოლოში, ხოლო ჩარჩოს შიგნით მამაკაცის გამოსახულება, რომელიც ქართველი მომხმარებლის მიერ მარტივად იქნება აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იოსებ სტალინის გამოსახულება. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა".<br>სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისათვის, რათა არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს. [04/03/2016].** |

** გარდა ამისა, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშანი მსგავსია კომპანია „SC PRODAL '94 SRL“-ის (მის.: Com. Cernica, Str. Drumul intre Tarlale nr. 1, jud. Ilfov, BUCAREST, RO) სახელზე „მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნისა „STALINSKAYA“ (საერთაშორისო ნომერი: 692450, თარიღი: 1998-01-13; საქართველოზე გავრცელების თარიღი: 2000-11-29) 33-ე კლასით განსაზღვრული საქონლის ჩამონათვალისთვის. ნიშნების დომინანტ ელემენტებს შორის არსებითი მსგავსებაა ფონეტიკური კრიტერიუმით. ამის გამო ჩნდება ნიშნებს შორის აღრევისა და, შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკი. სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| SOVIET | 25 | საიდ. №80173/03 21.10.2015<br>ა) არსობრივი ექსპერტიზის დასრულება უარყოფითი გადაწყვე-ტილებით<br>ბ) სააპელა-ციო პალატის გადაწყვე-ტილება | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლათინური ანბანით შესრულებული კომბინირებული ნიშანი „SOVIET“ ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „საბჭოთა“. აღნიშნული ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა.<br>სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისთვის, რათა არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.“ (21/10/2015) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | **სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება:**<br>სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი (საიდ. №80173/03, IR 1227595) ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ნიშანი არ არის დაკავში-რებული საბჭოთა კავშირის სიმბოლიკასთან და იგი წარმოადგენს მმართველობითი ორგანოს დასახელებას. კოლეგია თვლის, რომ მართალია ცალკე აღებული სიტყვა „SOVIET“ ქართულად ითარგმნება, როგორც „საბჭო“, მაგრამ ნიშანი სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს გამოსახულებით ელემენტს – ხუთქიმიან ვარსკვლავს, რომელიც, ასევე, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სიმბოლიკას. შესაბამისად, ხუთქიმიან ვარსკვლავთან ნიშნის სიტყვიერი ნაწილის „SOVIET“ კომბინაცია ქმნის ასოციაციას საბჭოთა კავშირთან. კოლეგიას მიაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობიდან და საჯარო წესრიგიდან გამომდინარე, დაუშვებელია ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელშიც გამოყენებულია კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკა. რაც შეეხება საქართველოს კანონს „თავისუფლების ქარტია“, აღნიშნული კანონი გამოიყენება არა მისი ნორმატიული შინაარსის მიხედვით, არამედ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის განმარტებისათვის და იმის შესაფასებლად, რომ განცხადებული სიმბოლო ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებსა და საჯარო წესრიგს. საქართველოს კანონი – „თავისუფლების ქარტია“ ადგენს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის აღმოფხვრას, აგრეთვე, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვას. კერძოდ, საქართველოს კანონის – „თავისუფლების ქარტია“ მიზანია კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის აღმოფხვრა, აგრეთვე, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა. აღნიშნული კანონის თანახმად, კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკა არის ისეთი სიმბოლიკა, რომელიც დაკავშირებულია კომუნისტურ ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან და გამოხატავს კომუნისტურ ტოტალიტარულ რეჟიმს. ხოლო კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგია – ისეთი იდეოლოგიაა, რომელიც ხასიათდებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევით, მასობრივი ფიზიკური ტერორის სხვადასხვა ფორმით, ინდივიდუალური და მასობრივი მკვლელობებითა და განადგურებით, საკონცენტრაციო ბანაკებში სიკვდილით დასჯით, შიმშილობითა და დეპორტაციით, წამებითა და მონური შრომით, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დევნით და ა.შ.(N10-03.16, 28.03.16) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **СЕРП И МОЛОТ СЕРП И МОЛОТ** | 03 | საიდ. №83845/3 20/06/2016 ექსპერტიზის დასკვნა საერთა-შორისო ნიშნის დაცვაზე უარის შესახებ | „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი | წარდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე საქონლის მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისათვის, რადგან სიტყვიერი ნიშანი ქართულად ითარგმნება, როგორც ნამგალი და ურო, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური მოძრაობის სიმბოლოს. იგი არის კომუნისტური პარტიისა და მასთან ერთად სსრკ სახემწიფო სიმბოლიკის მთავარი განუყოფელი ნაწილი. იგი განასახიერებს მშრომელ მასებს: მუშებისა და გლეხების ერთობას. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა”. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მთლიანი განცხადებული ჩამონათვალისათვის, რათა არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| СТАЛИН<br>წინანდალი<br>цинандали<br>ქართული ღვინო<br> | 33 | საიდ.<br>№88335/3<br>17.08.2016<br>ექსპერტის<br>დასკვნა | „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი | **ექსპერტის დასკვნა:**<br>ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ელემენტს „СТАЛИН“, ასევე, მამაკაცის გამოსახულებას, რომელიც მომხმარებლის მიერ მარტივად იქნება აღქმული, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იოსებ სტალინის გამოსახულება.<br>საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს: „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა“.<br>ამგვარი სიმბოლიკის შემცველი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და მასზე სამართლებრივი დაცვის გავრცელება ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ მართლწესრიგს – ზნეობრივ ნორმებს (საჯარო წესრიგს), რაც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს (27.03.2017). |

დანართი 4

## საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დაშვებული მაგალითები (ნებართვის საფუძველზე / კლასების შეზღუდვის შედეგად)

| ნიშანი | კლასი | საიდ. № რეგ. № სტატუსი | სამართლებრივი საფუძველი | დასაბუთება |
|---|---|---|---|---|
| **GIORGOBA**<br><br> | 33 | საიდ. №67550/03; რეგ. №24792 30.05.2014 R3(110) ძალაშია | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„სიტყვა „GIORGOBA” ქართულად იკითხება, როგორც „გიორგობა“. „გიორგობა“ არის ქრისტიანული წმინდანის გიორგი კაბადოკიელის სახელობის დღესასწაული. განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რაც მოიცავს ალკოჰოლურ სასმელებს. აღნიშნულის შესაბამისად მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია.<br>**სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება:**<br>უნდა დარეგისტრირდეს 33-ე კლასის შეზღუდული საქონლის ჩამონათვალის „ღვინის“ მიმართ და არა სრული ჩამონათვალის „ალკოჰოლური სასმელები“-ს მიმართ. განცხადებული ნიშნის 33-ე კლასის შეზღუდული ჩამონათვალის „ღვინო“ მიმართ რეგისტრაციის შემთხვევაში, განცხადებული ნიშანი არ უნდა იქნეს მიჩნეული რელიგიის შეურაცხმყოფელ სასაქონლო ნიშნად. ამასთან, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემულ წერილზე (საპატრიარქო არ არის წინააღმდეგი, რომ ფიზიკური პირის განცხადებულ სასაქონლო ნიშანში გამოყენებულ იქნას სიტყვიერი აღნიშვნა „გიორგობა“ და იგი ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.).<br>განცხადებული ნიშანი „GIORGOBA” უნდა დარეგისტრირდეს მთლიანობაში, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნა „GIORGOBA” ნიშანში უნდა შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით, დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.“ (გადაწყვეტილება №1230313; 18.10.2013) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **GLS**<br>**ბედია**<br>**BEDIA**<br>GLS | 29,30<br>32,43 | საიდ.<br>№34957,03<br>რეგ.<br>№17730<br>18.09.2007<br>R3(110)<br>ძალაშია | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.“ (№34957, 14.06.2006);<br>**სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება:**<br>„კოლეგიამ გაითვალისწინა საქართველოს საპატრიარქოს დაზუსტებული პოზიცია სადავო ნიშნის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის დასაშვებობის შესახებ. ამასთან, სიტყვა „ბედია“, გარდა სამონასტრო კომპლექსის სახელისა, წარმოადგენს გვარს, ასევე, დასახლებული პუნქტის სახელწოდებას. ამდენად, აღნიშნული სიტყვის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციით, ისეთი საქონლის მიმართ, როგორიც არის საკვები პროდუქტები, მინერალური სასმელები და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (გათვალისწინებული ნიცის კლასიფიკაციის 29-ე. 30-ე, 32-ე და 43-ე კლასებით) არ წარმოადგენს ეროვნული ღირსებების, რელიგიისა და ტრადიციების, ზნეობრივი ნორმების შეურაცხყოფას – არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.“ (გადაწყვეტილება №757; 11.12.2006) |
| **Ноев ковчег** | 14, 29, 30 ,<br>31, 39 | საიდ.<br>№79337/03<br>23.07.15<br>ძალაშია | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>ნოეს კიდობანი, ლეგენდის თანახმად, წარმოადგენს ხომალდს, რომელიც ღმერთის ნებით ააგო ნოემ, კაცთა მოდგმის გადასარჩენად. აღნიშნული ნაგებობა კი, ქართველი მომხმარებლისთვის ცნობილია, როგორც „ნოეს კიდობანი’’ და ასოცირდება სარწმუნოებასთან, სიწმინდესთან, რელიგიასთან. სარწმუნოებიდან გამომდინარე კი, თამბაქოს (სიგარეტის) მოწევა წარმოადგენს ცოდვას და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის „Ноев ковчег’’ რეგისტრაცია 34-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, კონკრეტულად კი „თამბაქო; მწეველთა საკუთვნო; ასანთი; სიგარეტები, პაპიროსები; არასამედიცინო დანიშნულების თამბაქოს შემცვლელების შემცველი სიგარეტები; ელექტრონული სიგარეტები; სიგარილოები; სიგარები; საღეჭი თამბაქო; ბურნუთი; სათუთუნეები; მოსაწევი ბალახები; ყუთები სიგარებისათვის; ყუთები სიგარეტებისათვის, პაპიროსებისათვის; კოლოფები სიგარების დამატენიანებლით; სიგარის ბოლოს წასაკვეთი მანქანები; მუნდშტუკები სიგარებისათვის; მუნდშტუკები სიგარეტებისათვის; საფერფლეები; ჩიბუხები; სიგარეტის, პაპიროსის გასახვევი ჯიბის მოწყობილობები.“ ეწინააღმდეგება და შეურაცხყოფს რელიგიას. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **Piccolo**<br> | 13 | საიდ. №89103/3, 07.06.2017 (სიტყვიერი ნიშანი);<br>საიდ. №89102/3, 07.06.2017 (გამოსახუ-ლებითი ნიშანი) ძალაშია | „საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშ-ნების შესახებ“ მუხლი 4.1(ზ) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>ნიშანი არ ექვემდებარება რეგისტრაციას მე-13 კლასით განსაზღვრული წარდგენილი საქონლის ჩამონათვალის ნაწილისთვის (ცეცხლსასროლი იარაღი; საბრძოლო მასალა და ჭურვები; ფეთქებადი ნივთიერებები) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად.<br>სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.<br>წარდგენილი ნიშანი შედგება როგორც სიტყვიერი, ისე გამოსახულებითი ნაწილისგან. მისი სიტყვიერი ნაწილი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: “Piccolo”, რაც იტალიურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც პატარა, ბავშვი და “Kids Shops Chain” (საბავშვო მაღაზიების ქსელი). ასევე, ნიშანი შეიცავს გეომეტრიული ფიგურებისგან შემდგარ, ორი ბავშვის გამოსახულებას. ნიშანი საერთო ჯამში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ ნიშნით მონიშნული საქონელი განკუთვნილია ბავშვებისთვის. წარდგენილი ნიშანი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, რადგან ცეცხლსასროლ იარაღზე, ფეთქებად ნივთიერებებზე, ასევე, ჭურვებსა და საბრძოლო მასალაზე არსებული წარწერა “Piccolo KIDS SHOPS CHAIN” და ბავშვების გამოსახულება მიუღებელი იქნება საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული საქონლის მომხმარებლები არ არიან ბავშვები, არ არის სასურველი ისინი მსგავს ნიშნებს შეხვდნენ სავაჭრო ობიექტებში. განცხადებულ ნიშანს არ აქვს ნეგატიური შინაარსი, პირიქით, მას აქვს პოზიტიური შინაარსი, მაგრამ აღნიშნული საქონლისთვის, მომხმარებლის დიდი ნაწილისთვის ან თუნდაც მცირე ნაწილისთვის, მიუღებელი იქნება მისი ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე ხილვა. ამის დასადგენად საკმარისია ობიექტური ფაქტის არსებობა, რომ მომხმარებელი ნიშანს ჩათვლის ასეთად.<br>ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მე-13 კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილისთვის (ცეცხლსასროლი იარაღი; საბრძოლო მასალა და ჭურვები; ფეთქებადი ნივთიერებები).“ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნოეს კიდობანი<br>НОЕВ КОВЧЕГ<br><br>ნოეს კიდობანი<br>НОЕВ КОВЧЕГ | 33 | საიდ. №26641/03;<br>რეგ. №15433;<br>27.02.2004<br>R3(110) ძალაშია | უარის თქმის საფუძველი არ არსებობს. | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქონლის ან/და მომსახურების მთელი ჩამონათვალის მიმართ.“ (№1005. 08.10.2003) |
| **ხარება**<br>**Khareba** | 33 | საიდ. №32350/03<br>31.01.2005<br>O5(098),<br>განხილვის შეწყვეტა არსობრივი ექსპერტიზის სტადიაზე | საპატრიარქოს ნებართვა სასაქონლო ნიშანში ზოგიერთი აღნიშვნის გამოყენების თაობაზე: „საქართველოს საპატრიარქო ნებას რთავს კომპანია „შპს მეღვინეობა ხარებას“ საქპატენტში დაარეგისტრიროს სასაქონლო ნიშანი „ხარება“ ნიცის კლასიფიკატორის 1-დან 45-ე კლასის ჩათვლით.<br>სიტყვა „ხარება“-ს, ამ შემთხვევაში, არ აქვს რელიგიური დანიშნულება და იგი წარმოადგენს საკუთარ სახელს. შესაბამისად, არ არსებობს სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის გამოყენების აუცილებლობა.“<br>(N103,29.10.2014) | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ხარება**<br>**Khareba** | 33 | საიდ. №32351/03<br>31.01.2005<br>05(098),<br>განხილვის შეწყვეტა არსობრივი ექსპერტიზის სტადიაზე (არ არის გადახდილი არსობრივი ექსპერტიზისა და გამოქვეყნების საფასური) | | |
| **ხარება**<br>**Khareba**<br>**Хареба** | 1-34 | საიდ. №75483/03<br>10.12.2014 | საპატრიარქოს ნებართვა სასაქონლო ნიშანში ზოგიერთი აღნიშვნის გამოყენების თაობაზე:<br>„საქართველოს საპატრიარქო ნებას რთავს კომპანია „შპს მეღვინეობა ხარებას“ საქპატენტში დაარეგისტრიროს სასაქონლო ნიშანი „ხარება“ ნიცის კლასიფიკატორის 1-დან 45-ე კლასის ჩათვლით.<br>სიტყვა „ხარებას“, ამ შემთხვევაში, არ აქვს რელიგიური დანიშნულება და იგი წარმოადგენს საკუთარ სახელს.<br>შესაბამისად, არ არსებობს სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის გამოყენების აუცილებლობა.“<br>(N103,29.10.2014) | **ექსპერტის დასკვნა:**<br>„არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.“ (03.12.2014) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ხარება**<br>**KHAREBA**<br>**ХАРЕБА** | 33 | საიდ. №37846/3<br>რეგ.№17344<br>2007-03-02,<br>R3(110), ძალაშია | | |
| **ხარება კოლხური**<br>**KHAREBA**<br>**KOLCHURI**<br>**ХАРЕБА**<br>**КОЛХУРИ** | 33 | საიდ. №44313/3<br>რეგ. №18672<br>2008-08-29,<br>R3(110), ძალაშია | | |
| **მეღვინეობა ხარება**<br>**Winery KHAREBA**<br>**Виноделие**<br>**ХАРЕБА** | 33 | საიდ. №48654/3<br>რეგ.№19711<br>2009-09-08,<br>R3(110), ძალაშია | | |
| **ღვინოს ქმნის**<br>**ხარება** | 33 | საიდ. №67336/3<br>რეგ.№22855<br>2012-08-10,<br>R3(110), ძალაშია | | |
| **ხარება**<br>**Khareba**<br>**Хареба** | 35, 43 | საიდ. №79293/3<br>რეგ. №25453<br>2014-12-10,<br>R3(110), ძალაშია | | |
| **მირონი**<br>**MIRONI**<br>**МИРОНИ** | 33 | საიდ. №81374/3<br>31.05.2016 | | |

დანართი 5

# კანონმდებლობა

## საქართველოს კანონმდებლობა

(ამონარიდი)

### საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ

მუხლი 4
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები
(20.12.2005 №2380, ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან)

1. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც:

ზ) შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.

# ევროკავშირის კანონმდებლობა

(ამონარიდი)

- **EUTMR Regulation (EU) 2017/1001 – ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის რეგულაცია (EU) 2017/1001 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის შესახებ (კოდიფიცირებული, ევროპის ეკონომიკურ ზონასთან [EEA] დაკავშირებული ტექსტი)**[1]

მუხლი 7. უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები

(1) სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ:

(f) ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს.

მუხლი 76. განაცხადზე უარის თქმა

(1) 41-42-ე მუხლებით განსაზღვრული უარის თქმის საფუძვლებს გარდა, ევროკავშირის კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია, [როდესაც სახეზე არ არის EUTMR 74-ე და 75-ე მუხლებით დადგენილი პირობები და] თუ კოლექტიური ნიშნის მარეგულირებელი წესები ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს.

მუხლი 85. განაცხადზე უარის თქმა

(1) 41-42-ე მუხლებით განსაზღვრული უარის თქმის საფუძვლებს გარდა, ევროკავშირის სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია, [როდესაც სახეზე არ არის EUTMR 83-ე და 84-ე მუხლებით დადგენილი პირობები და] თუ სასერტიფიკაციო ნიშნის მარეგულირებელი წესები ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს.

1 Regulation (EU) 2017/1001 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 on the European Union trade mark (Text with EEA relevance. )
OJ L 154, 16.6.2017, p. 1–99
ELI: http://data.europa.eu/eli/reg/2017/1001/oj

- **Directive (EU) 2015/2436 – ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის დირექტივა (EU) 2015/2436 წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით (ევროკავშირის ეკონომიკურ ზონასთან (EEA) დაკავშირებული ტექსტი).**[2]

მუხლი 4. უარის თქმის ან გაუქმების საფუძვლები

(1) არ რეგისტრირდება ან, თუ რეგისტრირებულია, უქმდება:

(f) სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს.

მუხლი 31. განაცხადზე უარის თქმა

(1) მე-4-ე მუხლით განსაზღვრული უარის თქმის საფუძვლებს გარდა, ევროკავშირის კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, თუ ნიშნის გამოყენების მარეგულირებელი წესები ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს.

(3) განაცხადი რეგისტრირდება, თუ ნიშნის გამოყენების დებულებაში შევა შესაბამისი ცვლილებები.

---

2 Directive (EU) 2015/2436 of the European Parliament and of the Council of 16 December 2015 to approximate the laws of the Member States relating to trade marks (Text with EEA relevance); OJ L 336, 23.12.2015, p. 1–26; ELI: http://data.europa.eu/eli/dir/2015/2436/oj

# გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მეორე: საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი / ავტ.: ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ. და სხვ.; სამეცნ. რედ. პაატა ტურავა; კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონ. ცენტრი, GIZ. – თბ., 2013, გვ. 249. http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf
2. ჩიკვაიძე დ., კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის: კომენტარები / [რედ.: ნანული კორძაია-სამადაშვილი] – თბ., 2003; ასევე, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3597; http://library.court.ge/gil/index.php?term_id=912
3. ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალის საკითხები, დანართი 3. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. http://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/danarti3.htm
4. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 1997
5. ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, 2012, გამომცემლობა მერიდიანი
6. Je suis Charlie – acceptability by OHIM of any potential applications, January 16, 2015 About the EUIPO https://euipo.europa.eu/ohimportal/en/news/-/action/view/1787585
7. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრება (18-19.09.1995), მცხეთა, სვეტიცხოველი). http://www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm
8. ჟურნალი „Alicante News", „ევროკავშირის სასაქონლო ნიშნე-

ბისა და კავშირის რეგისტრირებული დიზაინების შესახებ სახელმძღვანელო ცვლილებებითა და დამატებებით“, დეკემბერი 2016. https://euipo.europa.eu/tunnel-web/secure/webdav/guest/document_library/contentPdfs/about_euipo/alicante_news/alicantenewsDecember2016_en.pdf, https://euipo.europa.eu/ohimportal/en/alicante-news

### ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

9. T-140/02 – Sportwetten v OHIM – Intertops Sportwetten (INTERTOPS) 13.09.2005. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-140/02
10. T-232/10 – Couture Tech v OHIM (Représentation du blason soviétique) 20.09.2011. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-232/10#
11. T-417/10 – Cortés del Valle López v OHIM (¡Que buenu ye! HIJOPUTA) 09.03.2012. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-417/10&language=EN
12. T-526/09 – PAKI Logistics v OHIM (PAKI) 05.10.2011 http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-526/09
13. T-266/13 – Brainlab v OHIM (Curve) 26.09.2014. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-266/13&language=EN
14. 17/09/2012, R2613/2011-2 Yaqub v OHIM 0 Turkey (ATATURK). http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=T-580/12; http://eur-l ex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ%3AC%3A2013%3A336%3AFULL
15. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო [The Court of Justice of the European Union]. http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2_6999/, http://infocenter.gov.ge/euinfo-institutions/
16. 1.9.2011, R168/2011 (nrk) – Fucking Freezing http://www.eurolawyer.at/pdf/HABM-R-168-2011.pdf
17. T-234/06 DEP – Torresan v OHIM – Klosterbrauerei Weissenohe (CANNABIS) http://curia.europa.eu/juris/liste.jsf;jsession-

id=9ea7d2dc30d6463aeeb87b6e4c1ca0a1f20129335371.e34KaxiLc3qMb40Rch0SaxyMchn0?num=C-5/10&language=en; https://euipo.europa.eu/eSearch/#details/trademarks/001073949

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/421,422, 10.11.2009 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. („მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრების სარჩელი) გვ. 16-17. http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-yifiani-da-avtandil-ungiadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-568.page
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №2/18/206, 22.11.2002, საქმის დასახელება: მოქალაქე ზურაბ აროშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. . http://constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/moqalaqe-zurab-aroshvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-634.page
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს №771, 775, 776, 777, 786, 787, 788 წარდგინებებზე, 17.10.2017. http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/rulings
21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/13/732, 30.11.2017 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-13-732-saqartvelos-moqalaqe-givi-shanidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page

## საქალაქო სასამართლო

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე №3/3709-12, 29.11.2012 („ასოციაცია მეოხი“)

**EUIPO-ს სააპელაციო პალატა**

23. 06/07/2006 R0495/2005-G – „SCREW YOU (დიდი პალატა) http://euipo.europa.eu/en/office/diff/pdf/BOA_COMPILATION_2006.pdf
24. EUIPO სააპელაციო პალატის 2006 წლის გადაწყვეტილებების წლიური მიმოხილვა (BOARDS OF APPEAL DOCUMENTATION AND SUPPORT SERVICE Yearly overview of decisions 2006), გვ.18-19. http://euipo.europa.eu/en/office/diff/pdf/BOA_COMPILATION_2006.pdf
25. R1881/2015-1Appeal 27/10/2016 EUTM 013523865 KB KRITIKAL BILBO (fig.) https://euipo.europa.eu/eSearchCLW/#basic/*///name/kritikal%20bilbo

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის" სააპელაციო პალატა**

26. გადაწყვეტილება №10-03/16 (01.03.2016) – SOVIET (საიდ. №80173/3)
27. გადაწყვეტილება №757 (11.12.2006) – GLS ბედია BEDIA (საიდ. №34957/03, რეგ. №17730)
28. გადაწყვეტილება №1230313 (18.10.2013) – GIORGOBA (საიდ. №67550/03; რეგ. №24792, 2014-05-30)

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის განყოფილების ექსპერტიზის გადაწყვეტილებები**

29. „GRAAL" (საიდ. №62512/03)
30. „GIORGOBA", (საიდ. №67550/03; რეგ. №24792)
31. „ნოეს კიდობანი НОЕВ КОВЧЕГ" საიდ. №26641/03)
32. „Святой Грааль" (საიდ. №61466/03)
33. „წმინდა ანდრიას ჯვარი Cross of St. Andrea" (საიდ. №65154/03)
34. „Deus Softener for linen Adoucisseur pour la linge" (საიდ. №73721/03)

35. „გიორგი ლუქსი ქართული არაყი GEORGIAN VODKA GEORGE“ (საიდ. №43466/03)
36. „გიორგობა Giorgoba Гиоргоба“ (საიდ. №60609/03)
37. „Saint George“ (საიდ. №31174/03)
38. „GLS ბედია BEDIA” (საიდ. №34957/03)
39. „ხარება“ (საიდ. №32954/03)
40. “JESUS” (საიდ. №24733/03)
41. „SAINT GEORGE“ (საიდ. №22367/03)
42. „ხარება  Khareba Хареба“ (საიდ. №75483/03)
43. „ხარება  Khareba“ (საიდ. №32350/03)
44. „ხარება KHAREBA“ (საიდ. №32351/03)
45. „ხარება ХАРЕБА KHAREBA“ (საიდ. №37846/03; რეგ. №17344)
46. „ხარება კოლხური ХАРЕБА КОЛХУРИ KHAREBA KOLCHURI“ (საიდ. №44313/03; რეგ. №18672)
47. „მეღვინეობა ხარება Winery KHAREBA Виноделие ХАРЕБА“ (საიდ. №48654/03; რეგ. №19711)
48. „ღვინოს ქმნის ხარება“ (საიდ. №67336/03; რეგ. №22855)
49. „ხარება  Khareba Хареба“ (საიდ. №79293/03; რეგ. №25453)
50. „ტაძარი ТАДЗАРИ TADZARI“ (საიდ. №81888/03)
51. „GENERALISSIMUS IOSIF“ (საიდ. №85492/03)
52. „STALIN VODKA“ (საიდ. №86234/03)
53. „STALIN VODKA“ (საიდ. №86236/03)
54. „Stalin Vodka“ (საიდ. №86191/03)
55. „SOVIET“ (საიდ. №80173/03)
56. „СЕРП И МОЛОТ“ (საიდ. №83845/3)
57. „ბარძიმი Bardzimi Бардзими“ (საიდ. №71582/3)
58. „СТАЛИН წინანდალი цинандали ქართული ღვინო“ (საიდ. №88335/3)
59. „პიკოლო PICCOLO“ (სიტყვიერი ნიშანი №89103/3; გამოსახულებითი ნიშანი №89102/3)

**ევროკავშირის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების და საერთაშორისო კანონმდებლობა**

60. ევროკავშირის სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული სამართლიბრივი დოკუმენტები https://euipo.europa.eu/ohimportal/en/eu-trade-mark-legal-texts
61. EUTMR Regulation – Regulation (EU) 2017/1001 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 on the European Union trade mark (Text with EEA relevance. ) ELI: http://data.europa.eu/eli/reg/2017/1001/oj
62. Directive (EU) 2015/2436 of the European Parliament and of the Council of 16 December 2015 to approximate the laws of the Member States relating to trade marks (Text with EEA relevance) OJ L 336, 23.12.2015, p. 1–26 ELI: http://data.europa.eu/eli/dir/2015/2436/oj ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის დირექტივა 2015/2436 წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით [დირექტივა 2015/2436/EC]
63. Primary law http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:l14530
64. Sources of European Law http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:l14534
65. 2010 წლის 20 მარტის ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია [Charter of Fundamental Rights of the European Union] OJ C 83, 30.3.2010, p. 389–403. http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2010:083:0389:0403:en:PDF; http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A12010P.
66. Council Common Position 2001/931/CFSP of 27 December 2001 on the application of specific measures to combat terrorism (OJ L 344, 28.12.2001, p. 93). http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2001:344:0093:0096:EN:PDF
67. Council Implementing Regulation (EU) 2017/1420 of 4 August 2017 implementing Article 2(3) of Regulation (EC) No 2580/2001 on specific restrictive measures directed against

certain persons and entities with a view to combating terrorism, and repealing Implementing Regulation (EU) 2017/150 OJ L 204, 5.8.2017, p. 3–6 (BG, ES, CS, DA, DE, ET, EL, EN, FR, HR, IT, LV, LT, HU, MT, NL, PL, PT, RO, SK, SL, FI, SV) ELI: http://data.europa.eu/eli/reg_impl/2017/1420/oj

68. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). http://www.dcfta.gov.ge/
69. 1883 წლის 20 მარტის სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია. http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/48/
70. § 86a dt. StGB ( გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი), BGBl. Nr. I 75/1998 https://dejure.org/gesetze/StGB/86a.html
71. § 1 öst. Abzeichengesetz (ავსტრიის კანონი სიმბოლოებისა და ორდენების შესახებ), BGBl. Nr. 84/1960 § 1 öst. Verbotsgesetz („აკრძალვების შესახებ“ ავსტრიის კანონი), BGBl. Nr. 25/1947 ერთად. შესახებ). http://www.jusline.at/1_AbzG.html
72. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია - Charter of Fundamental Rights of the European Union, OJ C 326, 26.10.2012, p. 391–407 ELI: http://data.europa.eu/eli/treaty/char_2012/oj
73. გაერთიანებული ერების 1961 წლის „ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ" (საქართველოში ძალაშია 2000 წლის 26 აპრილიდან საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 23 თებერვლის N 152 დადგენილებით) http://police.ge/files/narkopolitika/13_UN_1961_Convention_Geo.pdf

## საქართველოს კანონმდებლობა

74. საქართველოს კონსტიტუცია
75. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
76. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ
77. საქართველოს კანონი „თავისუფლების ქარტია“
78. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

79. სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულება
80. ტერორიზმში მხილებულთა სრული სია https://www.fms.gov.ge/geo/page/45

## სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით ევროკავშირის და საერთაშორისო პრაქტიკა

81. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზისთვის სახელმძღვანელო პრინციპები ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში (EUIPO სახელმძღვანელო) https://euipo.europa.eu/ohimportal/en/trade-mark-guidelines
82. EUIPO სახელმძღვანელო – რედაქტორის წინასიტყვაობა და ზოგადი შენიშვნები (საბოლოო ვერსია 1.0, ძალაში შესვლის თარიღი 01.10.2017); https://euipo.europa.eu/tunnel-web/secure/webdav/guest/document_library/contentPdfs/law_and_practice/trade_marks_practice_manual/WP_2_2017/Part-A/00-editors_note_and_general_introduction/00_editors_note_and_general_introduction_en.pdf
83. EUIPO სახელმძღვანელო ნაწილი „ბ“, მე-4 ნაწილი, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები, პირველი თავი, ზოგადი პრინციპები; (საბოლოო ვერსია 1.0, 01.02.2017) https://euipo.europa.eu/tunnel-web/secure/webdav/guest/document_library/contentPdfs/law_and_practice/trade_marks_practice_manual/WP_1_2017/Part-B/04-part_b_examination_section_4_absolute_grounds_for_refusal/part_B_examination_section_4_chapter_1_general_principles/part_B_examination_section_4_chapter_1_general_principles_en.pdf
84. EUIPO სახელმძღვანელო, ნაწილი „ბ“, მე-4 ნაწილი, უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები, მე-7 თავი, სასაქონლო ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და მორალის აღიარებულ პრინციპებს (მუხლი 7(1) )(f) EUTMR) გვ.: 1-10; (სამუშაო ვერსია 1.0, 01.10.2017), https://euipo.europa.eu/tunnel-web/secure/webdav/guest/document_library/contentPdfs/

law_and_practice/trade_marks_practice_manual/WP_2_2017/Part-B/04-part_b_examination_section_4_absolute_grounds_for_refusal/part_B_examination_section_4_chapter_7/part_B_examination_section_4_chapter_7_tm_contrary_to_public_policy_en.pdf

85. EUIPO-ს სახელმძღვანელო, ნაწილი B, მე-4 განყოფილება, თავი 15, ევროკავშირის კოლექტიური ნიშნები (გვ. 6-7), 01.10.2017 https://euipo.europa.eu/tunnel-web/secure/webdav/guest/document_library/contentPdfs/law_and_practice/trade_marks_practice_manual/WP_2_2017/Part-B/04-part_b_examination_section_4_absolute_grounds_for_refusal/part_B_examination_section_4_chapter_15/part_B_examination_section_4_chapter_15_EU_Collective_marks_en.pdf
86. EUIPO-ს სახელმძღვანელო, ნაწილი B, მე-4 განყოფილება, თავი 16, ევროკავშირის სასერტიფიკაციო ნიშნები, (გვ.8-9) 01.10.2017 https://euipo.europa.eu/tunnel-web/secure/webdav/guest/document_library/contentPdfs/law_and_practice/trade_marks_practice_manual/WP_2_2017/Part-B/04-part_b_examination_section_4_absolute_grounds_for_refusal/part_B_examination_section_4_chapter_16/part_B_examination_section_4_chapter_16_EU_Certification_marks_en.pdf
87. სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაცია (INTA) – სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები, 2007, გვ. 31. [International Trademark Association (INTA) Guidelines for Trademark Examination Examination Guidelines Subcommittee Trademark Office Practices Committee Revised Edition, 2007]http://www.inta.org/Advocacy/Documents/INTAModelLawGuidelines.doc.

## ინტერნეტრესურსები

88. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ http://www.sakpatenti.gov.ge/ka/
89. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება https://euipo.europa.eu/ohimportal/en/law-and-practice (სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობა და პრაქტიკა)
90. ევროკავშირის სამართალი http://eur-lex.europa.eu/homepage.html

91. საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი ევროკავშირის ინსტიტუტები http://infocenter.gov.ge/euinfo-institutions/
92. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO) https://euipo.europa.eu/ohimportal/en/home

გამოცემის ავტორი – ელენე სეხნიაშვილი არის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სამართალწარმოების და ევროპასთან დაახლოების განყოფილების უფროსი. მას დამთავრებული აქვს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და კვლევითი სტიპენდიებით სწავლობდა ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტში, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტსა და ლონდონის „ქვინ მერის“ უნივერსიტეტში; გავლილი აქვს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის აკადემიის სხვადასხვა კურსი და პროფესიული განვითარების პროგრამა; დაამთავრა ევროკავშირის „ერაზმუს მუნდუსის“ სამაგისტრო პროგრამა სამართლის ეკონომიკური ანალიზის სპეციალობით, ფლობს ევროპული მაგისტრის ხარისხს (LL.M EMLE) ბოლონიისა და ჰამბურგის უნივერსიტეტებიდან.

ელენე სეხნიაშვილი არის გერმანიის საერთაშორისო თანამშრობლობის საზოგადოების (GIZ) რეგიონული აკადემიის „ტრანსფორმაციის იურისტები – სამართლებრივი დიალოგი სამართლებრივი განვითარებისთვის“, გერმანიის ბუნდესტაგის საერთაშორისო სტიპენდიის პროგრამის და კავკასიის კვლევითი რესურსების პროგრამის – კარნეგის ფონდის სტიპენდიანტთა კავშირების წევრი.

Author of the publication – Elene Sekhniashvili is the head of the European Approximation and Case Management Unit at the Legal and International Relations Department of National Intellectual Property Center of Georgia – Sakpatenti. She graduated from Tbilisi Iv. Javakhishvili State University with specialization in Law and was awarded several scholarships to attend Berlin Humboldt University in Berlin, George Washington University and Queen Mary University London;  has completed several distance learning courses and professional development programs of World Intellectual Property Organization Academy; graduated European Erasmus Mundus Master Program in Law and Economics and acquired European Master Degree in Law and Economics (LL.M EMLE) from universities of Hamburg and Bologna.

Elene Sekhniashvili is an alumna of German International Cooperation Organization (GIZ) Regional Academy “Transformation Lawyers – Legal Dialogue for Legal Transformation”, International Scholarship Program of the German Bundestag, and the Caucasus Research Resource Center’s Carnegie Research Scholarship Program.

**ინტელექტუალური საკუთრება**
**პრაქტიკა და ანალიზი**

ევროკავშირის ინტელექტუალური
საკუთრების უწყების (EUIPO)
ექსპერტიზის სახელმძღვანელო პრინციპები
და საქართველოს პრაქტიკა

სასაქონლო ნიშნები,
რომელთა რეგისტრაცია ეწინააღმდეგება
ზნეობრივ ნორმებს:
საჯარო წესრიგსა და მორალის აღიარებულ პრინციპებს

ელენე სეხნიაშვილი LL.M (EMLE)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

**INTELLECTUAL PROPERTY**
**PRACTICE AND ANALYSIS**

GUIDELINES FOR EXAMINATION OF EUROPEAN UNION TRADE MARKS EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE (EUIPO) AND THE PRACTICE IN GEORGIA

**TRADEMARK REGISTRATION IN CONFLICT WITH NORMS: PUBLIC ORDER AND THE ACCEPTED PRINCIPLES OF MORALITY**

Elene Sekhniashvili LL.M (EMLE)

National Intellectual Property Center of Georgia
Sakpatenti

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ პოლიგრაფია
0179, თბილისი, საქართველო, ნინო რამიშვილის ქ. №31
ტელ.: +995 32 2252533, info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.gov.ge